

1075.3)
03-74

**ქუჩუნა
ფიქრიშვილი**

**ქართველოლოგიის
საკითხები**



ილიჯინა და კურთხული
მდაბალი და დაწუნებული
მოელის დღესა მას მეორე

და სასწაულად ესე აქვს:
ოთხმეოც და ათოთხმეტი წ
უმეტეს სხვათა ენათა
ქრისტეს მოსლუივან წ

და ესე ყოველი, რომელი წ
მოწამედ წარმოგიტზარ, წ
ასი ესე წელი,
და წელი ანბანიხაა.

ქიმიკოლოგნი
იგნიქოიგნი

შუშუნა შვიტრიუვილი

ქართველთა საკითხები

-92199-

დრო: ხათი, წყითა

მომხმარებელი (გვამი)

ფოტო

მამის სახელი

86186

მამის სახელი (გვამი)

ფოტო

მამის სახელი

ომელი, მოქალაქე

ფოტო

სტალიან საქართველოს რუსთაველის საზოგადოების
განმომედილოზა „სარანგი“
ქუთაისი, 1992

0208602086020860

წიგნი მოგვეთხოვს ქართული ენის რთული და, მრავალფერო-
ვანი ბუნების შესახებ. იგი დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე-
ახალგაზრდობას, სტუდენტობასა და ფილოლოგიით დაინტერესე-
ბულ მკითხველებს.

0208602086020860
0208602086020860

რეცენზენტები: ფილ. მეცნ. კანდ. ლ. **კვანტალიანი**
დოც. პ. **გაბუნიანი**



წინასიტყვაობა

„ქართველოლოგიის საკითხები“ ზოგადად მოგვეთხოვს ქართ-
ული ზალხის, მისი ენისა და დამწერლობის გენეზისის პრობლემებ-
ზე, ქართული ფილოლოგიურ-გრამატიკული აზრის ჩასახვისა და გან-
ვითარების გზებზე, წარმოაჩენს ქართველოლოგთა მეცნიერულ ნაღ-
ევებს და საცნაურს ხდის „ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული...
შინაგანი თვისებებით მსოფლიური ენის“ ბუნებასა და ღირსება-
უპირატესობას.

„ქართველოლოგიის საკითხებს“ მკითხველი შეჰყავს ჩვენი ენის
რთულსა და საინტერესო სამყაროში, რითაც ახალგაზრდობას უწევს
კეთილ მგებურობას მშობლიური ენის საიდუმლოებათა ამოცნობაში,
წარმოდგენილ წიგნს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ წაკით-
ხული ლექციების კურსი ქართველოლოგიის შესავალში. იგი ემ-
ყარება ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითად ნაშრომებს, გათ-
ვალისწინებულია თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგები.
ნაშრომის ყოველ თავს ერთვის სათანადო ლიტერატურის სია.
ავტორი მაღლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას, წი-
ნადადებს და გაითვალისწინებს მათ შემდგომ გამოცემებში.

ქიზა და დიდება ქართლისა ენისა

დამარხულ არს ენა ქართული
დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა,
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენა
შინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა შარიამ და მართა.

და მეგობრობა
ამისთვის თქვა,
ვითარმედ ყოველი საიდუმლოდ
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკვდარი
ამისთვის თქვა დავით წინადასწარმეტყველმან,
რამეთუ „წელი ათასი —
ვითარცა ერთი დღეა“.

და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო თავსა მათეასსა,
წილ ზის, რომელ ასოა არს
და იტყვის ყოველად
ოთხ ათასსა მარავსა, —

და ესე არს ოთხი დღეა,
და ოთხისა დღისა მკვდარი,
ამისთვის მისთანავე ფაფლული
სიკვდილითა ნათლისღებისა მისისადათა.

და ესე ენაა

შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაათა,
მდაბალი და დაწუნებული —
მოელის დღესა მას მეორედ მოსლესა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქვს:

ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი

უმეტემს სხვათა ენათა

ქრისტემს მოსლეთგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,

მოწამედ წარმოგითხარ,

ასი ესე წელი,

და წილი ანბანისა.

თ ა მ ი

ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა

1. ქართველთა წარმომავლობის საკითხი არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით

ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა ქართული ისტორიოგრაფიის, ენათმეცნიერების, საერთოდ, მთელი ქართველოლოგიის ერთ-ერთი რთული და აქტუალური საკითხია. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია უამრავი ურთიეთსაპირისპირო მოსაზრება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ქართველი ხალხის წარმომავლობაზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. ბერძენი ისტორიკოსები ქართველებს დღევანდელ ტერიტორიაზე მიგრაციის გზით მოსულებად თვლიდნენ. მაგალითად, პეროდოტეს (ძვ. წ. 484 — 425 წწ.) აზრით, კოლხები ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. ისინი უნდა იყვნენ შთამომავლები ეგვიპტის ფარაონის სესოსტრისის მოლაშქრეებისა, რომლებიც მდ. ფაზისთან (რიონთან) დარჩენილან. ამის საბუთად პეროდოტეს მიაჩნდა ის, რომ კოლხები, ეგვიპტელთა მსგავსად, შავგვრემანნი და ხუჭუტომიანები არიან, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან ენით, სამეურნეო საქმიანობითა და ცნობრების წესით...

ბერძენი ისტორიკოსი მეგასტენი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის — იბერების პირვანდელ სამშობლოდ ესპანეთს მიაჩნებდა (ამ ქვეყანას ბერძნები ძველთაგანვე იბერიას ეძახდნენ). დასავლეთის იბერიიდან კავკასიის იბერების გადმოსახლებას მიაწერდნენ ძვ. წ. VI საუკუნის ცნობილ ბაბილონელ მეფეს ნაბუქოდონოსორს (თითქოს კავკასიელი იბერები იყვნენ ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის შემდეგ ლტოლვილი იბერები).

ეგლინისტურ ისტორიოგრაფიაში ლაპარაკია ქართველთა ირანულ წარმომავლობაზეც.

ეგლინისტურ ხანაში აღმოსავლეთ მცირე აზიის არაერთ სამეფო-

სამთავროს (პონტოს, სომხეთის, კაპადოკიის) მმართველ დინასტიის თავი თავი აქემენიანთა ხანის ირანის მმართველი დინასტიიდან გამოკავდა. ამისდა კვლად იბერიაშიც, ჩანს, გავრცელებული ყოფილა ვერსია იბერთა მმართველი სამეფო სახლის წარმოშავლობის შესახებ აქემენიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფის დარიოს III-ის (ძვ. წ. IV ს.) სატრაპ მითრიდატესაგან, რომელიც თითქოს აღექვანდრე მაკედონელს დაუნიშნავს მმართველად კავკასიაში მოსახლე იბერებისაგან, ამის შესახებ ვადმოცემა დაცული აქვს სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცხ, იგი მითრიდატეში პონტოს სამეფოს დამაარსებელ მითრიდატე პირველს (ძვ. წ. 337 — 302 წწ.) გულისხმობს.

აღვნიშნულ სამოსელში გახვეული ცნობა აღექვანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად თავისი სარდლის დანაშენის შესახებ დაცულია ძველ ქართულ წყაროებშიც. საისტორიო ქრონიკაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ნათქვამია, რომ, როდესაც მაკედონელმა ქართლი დაიპყრო (სინამდვილეში პირადად მას ქართლი არ დაუღაშქრავს), მან აქ მმართველად დატოვა არიან-ქართლის მეფის ძე აზო. ეს აზო წავიდა თავის სამშობლო არიან-ქართლში და რქიდან მოიყვანა მრავალი „სახლი“ (ე. ი. ვეარი) თანამემამულეთა, აგრეთვე, კერპები გაცი და გაი. ამავე ქრონიკაში ნათქვამია, რომ ჩვენ, ქართველნი, იმ არიან-ქართლიდან ვადმოსახლებულთა მემკვიდრენი ვართ.

მამასადამე, ქართლის მოსახლეობა თავის უშუალო წინაპრებად („მამებად“) ასახელებდა სწორედ აზოს მიერ არიან-ქართლიდან მოყვანილ ხალხს, თუმცა დღესაც არაა საბოლოოდ გამორკვეული მეცნიერების მიერ, რა იგულისხმება „არიან-ქართლში“.

აღსანიშნავია, რომ მეორე ძველ საისტორიო წყაროში — ჯერძოდ — ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“, არიან-ქართლი საერთოდ არ იხსენიება, მაშინ როცა ამ ძეგლმა იცის აზოს მამის სახელი — იარედოსი. მეცნიერთა აზრით, სახელი იარედოსი ახლოს დგას სახელებთან: ირან, არიანა და სხვა. აქედან გამომდინარე ფიქრობენ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს არიან ქართლი და „ქართლის ცხოვრების“ იარედოსი ერთმანეთის ეკვივალენტი უნდა იყოს (გ. მელიქიშვილი).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მამამთავრები ბიბლიური პერსონაჟებიდან მომ-

დინარეობენ. მათი საერთო წინაპარი თარგამოსი იყო ძე თარშისი, ძის წული იაფესი, ძისა ნოესი. მას შემდეგ, ჯრაც ბაბილონის გოდოლის შენება ვერ მოხერხდა და ღმერთმა ადამიანები სხვადასხვა ენაზე ალაპარაკა, ისინი დაიფანტნენ მთელს მაშინდელ მსოფლიოში. თარგამოსიც წამოვიდა „ნათესავითურთ მისით“ ჩრდილოეთით და დაემკვიდრა არარატისა და მასის მთათა შორის. აქ მისი შთამომავლობა ძალიან გამრავლებულა (რადგან თვითონ ექვსას წელს უცხოვრია), ამიტომ ამ მრავალრიცხოვან ხალხს ველარ იტყვიდა „ქუეყანა არარატისა და მასისა“. ჯთარგამოსს ჰყოლია 8 გამოჩენილი, „ქლიერი და სახელოვანი“ შვილი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვკანოს, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს, ეგროს. ამთ გაუყო თარგამოსმა თავისი სამფლობელო და ყველანი თავ-თავის სამფლობელოში დასახლა. მთგან მოდიან: ჰაოსიდან — სომხები, ქართლოსიდან — ქართველები, ბარდოსიდან — რანნი, მოვკანოსიდან — მოვკანელები, ლეკოსიდან — ლეკები, ჰეროსიდან — ჰერები, კავკასოსიდან — კავკასიანნი, ეგროსიდან — მეგრელები.

ქართველმა მეცნიერებმა უცხოურ წყაროთა შეკრებისა და არქეოლოგიურ თუ ლინგვისტურ მასალათა ინტერპრეტაციის საფუძველზე აღამაჯრებლად დასაბუთეს, რომ ქართველები არიან კავკასიისა და მცირე აზიის უძველესი მკვიდრი მოსახლენი.

ჩვენში დიდი პოპულარობა მოიპოვა ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებულმა ეთნო-გენეტიკურმა კონცეფციამ, რომელმაც ფაქტობრივად დღის წესრიგიდან მოხსნა ქართველთა მიგრაციის თეორია.

ს. ჯანაშიას აზრით, დაახლოებით 6 ათასი წლის წინათ წინა აზიის მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ისინი ქართველი ტომების წინაპრები არიან. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ შესობოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე.

ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკავა.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე (დასავლური და აღმოსავლური), რომლებიც შეესაბამებოდა ქართველური ტომების ორ გაერთიანებას — დასავლურქართულსა და აღმოსავლურქართულს.

ამეყ ხანებში სამხრეთში. წინა აზიაში, ასურეთი ვაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან **მუსკები** (მერმინდელი **მესხები**), ძვ. წ. IX საუკუნეში კი ყველაზე უფრო ენერგიულ ბრძოლას ასურელებს უმართავენდნენ **თუბალები**.

ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო **ურარტუ** და სამეფო **მანა**, რომელთა განადგურების შემდეგ ძვ. წ. VI საუკუნისათვის სუბარეთის ჩრდილო რაიონებში ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები — **კოლხეთი** (ეგრისი) და **იბერია** (ქართლი).

ბ. **ჯანაშია** ვრცლად აანალიზებს ანტიკურ წყაროებს. **სტრაბონის** ცნობაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ იბერთა ტერიტორია გაცილებით უფრო შორს იყო სამხრეთისაკენ გადაჭიმული (მდ. არაქსამდე). ვიდრე ძვ. წ. I საუკუნეში, ხოლო **პეროდოტეს** ცნობებზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა, რომ ზღვიდან ზღვამდე ცხოვრობდა ოთხი უდიდესი ხალხი. ამათგან ორი — კოლხები და სასპეარები — ქართული მოდგმისა იყო.

გ. **მელიქიშვილი** საგანგებოდ ეხება საქართველოს. კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხს დაწვრილებით მსჯელობს ქართველთა უძველესი ტომების — სევანების, კოლხების, მესხების, იბერების განსახლებაზე. იგი ყურადღებას აქცევს **პერაკლიდე პონტოელის** (ძვ. წ. IV ს.) ცნობას: „ფაზისის გაცოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ **ჰენიოხები**, შედეგ კი — მილეტელები“ აქ **ლაპარაკია** ძველ ბერძნულ ახალშენზე **ფაზისზე** (და არა რიონის მთელ ხეობაზე). **ტერმინში** „ჰენიოხები“ უნდა იგულისხმებოდნენ სევანები. ჰენიოხის პარალელურ ვარიანტად მონიშნა **სანიგი**. აღსანიშნავია ისიც, რომ სანიგების მიწა-წყალზე იმყოფებოდა დიოსკურია, რომლის ძველი ქართული სახელწოდება „ცხუმია“, მეცნიერთა აზრით, სევანური წარმოშობისაა და ნიშნავს „რცხილას“ (**მ. ქალდანია**).

ანტიკურ მწერლობაშიც აღბანთა. იბერთა და კოლხთა გვერდით დასახლებული არიან ჰენიოხები (სანიგები). **სტრაბონის** ცნობით, დიოსკურიის მახლობლად სევანები უძლიერესი და მრავალრიცხოვანი ტომია. აქედან გამომდინარე, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სევანთა ტომი შედიოდა კოლხურ პოლიტიკურ გაერთიანებაში. **შემ-**

დეგ სევანები შეაეწროვეს და განდევნეს ზღვისპირა ზოლიდან. ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში.

გ. **მელიქიშვილი** ძვ. წ. XII საუკუნის ზოგი ასურული წყაროს ახლებული ინტერპრეტაციითა და ლეგენდარული „კოლხეთის სამეფოს“ შესახებ პარსებულის ცნობების შეჩერების საფუძველზე ასკვნის, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან მდინარე რიონის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შივი ზღვისპირეთის ტერიტორიაზე, ურარტუს სამფლობელოების ახლო მეზობლად მდებარეობდა კოლხთა დიდი და ძლიერი სამეფო, რომლის ცენტრი სავარაუდებელია მდ. ჭორთხის ქვემო წელზე გაქვე უნდა შეენიშნოთ, რომ **მარიც** უძველესი კოლხეთის სამეფოს ვარაუდობდა არა რიონის, არამედ ჭორთხის აუზში.

გ. **მელიქიშვილის** ვარაუდით, ქართველურ ეთნიკურ გჯუფს ძვ. წ. III—II ათასწლეულის მიჯნაზე მაინც უკვე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე. ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძე — **პრექართველური ენა**, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბის განსხვავებანი თუ იყო ჩასახული. უფრო მოგვიანებით უნდა მომხდარიყო ფუძეების დიფერენციაცია.

ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხებს ეხებიან აგრეთვე: **ივ. ჯავახიშვილი**, **არნ. ჩიქობავა**, **თ. გამყრელიძე** და სხვები (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

2. ქართველთა უძველესი ყოფა და რელიგიური წარმოდგენები. ქართველ ტომთა წარმართული პანთეონი

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ქართველთა წინაპრები გენეტურად იყვნენ აზიის უძველესი მკვიდრნი. ისინი ძვ. წ. V—IV ათასწლეულში წინა აზიის ჩრდილო ნაწილში (და მის მიმდებარე ტერიტორიაზე) პრეინდოევროპელებისა და პრესემიტების მეზობლად მოსახლეობდნენ (**თ. გამყრელიძე**).

ამიერკავკასიაში აღმოჩენილი უძველესი ძეგლები (ქვის, სპალენძისა და ბრინჯაოს იარაღები, ქანდაკებანი, საოჯახო ნივთები, ძვირფასი სამკაულები...) ადასტურებენ შორეულ ისტორიულ წარსულში ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, სამეურნეო საქმიანობას.

დაახლოებით 6-7 ათასი წლის წინათ პრექართველური ტომები გეოგრაფიული პირობების შესაბამისად ირჩევდნენ საცხოვრისა და

საქმიანობას; მისდევდნენ მესაქონლეობას, ზამიწათმოქმედო მე-
ურნეობას, ხელოსნობას, თანდათან აღმჯობესებდნენ სამუშაო ია-
რადებს, დაიწყეს ლითონის გამოყენებაც* >

უფრო მოგვიანებით, ძვ. წ. IV—III ათასწლეულში, ქართველთა
წინაპარმა ტომებმა ისწავლეს ბრინჯაოს დამუშავება: ამან კიდევ
უფრო გააუმჯობესა სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, მაღალ-
ნაყოფიერი გახდა ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა. ამ დროის
სათვის საქართველოში ჩამოყალიბდა ბრინჯაოს საკმაოდ მაღალი
კულტურა, რომელიც ფართოდ გაერცვლა არა მარტო ამიერკავ-
კასიაში, არამედ შიელს კავკასიასა და წინა აზიაში.

ღსაუკუნეთა განმავლობაში სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად
იცვლებოდა უძველეს ქართველთა საზოგადოებრივი ურთიერთობაც.
ხანგრძლივად ერთ ადგილზე დასახლებამ ხელი შეუწყო ადამიანთა
მყარი ჯგუფების ჩასახვას. წარმოიქმნა გვაროვნული გაერთიანებანი,
ტომები. ტომში უმთავრესი თემებისა და გვარების უნე-ჩვეულებანი,
რელიგიური წარმოდგენები და სალაპარაკო ენა ძირითადად ერთ-
ნაირი იყო. >

თუ თავდაპირველად გვარში წამყვანი როლი ქალს ეკუთვნოდა,
ენეოლითის (ქვსპილენძის) ხანაში დედამთავრულმა გვარმა (მატ-
რიარქატმა) ადგილი დაუთმო მამამთავრულ გვარს (პატრიარქატს).

ღქართველ ტომებსა და ტომთა კავშირებს უძველესი დროიდანვე
ქმნიდათ მჭიდრო ურთიერთობა ძველი აღმოსავლეთის კულტურ-
ულ ხალხებთან. ძვ. წ. II ათასწლეულში მათი უშუალო მეზობლე-
ბი იყვნენ ხეთები, სუბარები, ასურელები, ურარტუელები. >

უძველესი წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ ამ პერიოდში ქარ-
თველი ტომების ნაწილი (მაგალითად, მუშკები ანუ მესხები) ამიერ-
კავკასიიდან შორს, წინა აზიაში, გადასულან და მნიშვნელოვანი
როლი შეესრულებიათ იქაური ხალხების ცხოვრებაში.

ღწინა აზიის ხალხები და ქართველი ტომები ეცნობოდნენ და
ითვისებდნენ ერთმანეთის კულტურასა და, საერთოდ, იმდროინდელ-
ლი ცივილიზაციის მიღწევებს. >

ღძვ. წ. II ათასწლეულში ბრინჯაოს იარაღის შემდგომი განვითა-
რება და სრულყოფა იწვევდა მეურნეობის სწრაფ დაწინაურებას.

* მეცნიერები მიეთითებენ, რომ ქართველთა ერთ-ერთი ტომი (მაღიები)
რჩენს დამუშავებს სპილენძის იცნობდა ძვ. წ. II ათასწლეულში.

დასკეული მდიდარი ოჯახების გამოყოფას, რამაც, თავის მხრივ,
საფუძველი ჩაუყარა პირველყოფილი საზოგადოების დაშლასა და
კლასობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, > ძვ. წ.
II ათასწლეულის დასასრულს წარმოიშვა ორი დიდი სახელმწიფო-
ებრივი გაერთიანება—**ღიაოხი და კოლხა.** >

ღპირველყოფილი ადამიანი უძლური იყო ბუნების მოვლენების
წინაშე. ამიტომ ქმნიდა იგი გარემომცველ სამყაროზე ფანტასტიკურ
წარმოდგენებს, **ღსახებოდა პირველყოფილი რელიგია.** > იმდროინ-
დელი ადამიანი ამჩნევდა, რომ ზოგი ბუნებრივი მოვლენა
მისთვის სასარგებლო იყო, ზოგი კი—საზიანო, ე. ი. ბუნე-
ბაში არსებობდა კეთილი და ბოროტი სული, ამიტომ ადა-
მიანი ცდილობდა კეთილი სულისათვის პატივი ეცა, ხოლო ბორო-
ტი სული შეეშინებინა ან მისი გული მოეგო რამდეთი. ადამიანი
თაყვანს ხტემა ბუნების მოვლენებს, ფრინველებს, ცხოველებს,
განსაკუთრებით ისეთებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
მის ცხოვრებაში. და ასე თანდათან ცალკეულმა ტომმა თუ თემმა
შექმნა თავისი ღმერთი*.

ღქართველ ტომთა თავდაპირველი რელიგია იყო **ღწარმართული.**
ღწარმართობა იგივე კერპთმსახურებაა (ღუშველთაგანთ მავალნი“
ანბა). > ამ ტერმინით სამწერლობო ქართულში აღინიშნება საერთოდ
არაქრისტიანობა, კერძოდ კი, ის სარწმუნოება, რომელთანაც მო-
უხსნა ბრძოლა ქრისტიანობას. წარმართობა ზოგადად გულისხმობს
როგორც წინარექრისტიანულ, ისე მის თანადროულ, მაგრამ არა-
ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგალითად, ისლამი ქრისტიანობის

* ღმერთი არის რწმენისა და თავჯანსიყმის ზებუნებრივი ობიექტი, რო-
სკლეს დამახასიათებელია გვილა რელიგიისათვის, პირველყოფილი რელიგიის
ღმრთული ფორმების გარდა.

ღმერთი არის სამყაროსა და მისი კანონზომიერების პირველი მიზეზი— შე-
სქმელი.

ღსაღვთიამეტყველო ფილოსოფიის ვაგებით, ღმერთს ახასიათებს შემდეგი ძი-
ნითადა ნიშნები: იგი არის სამყაროს შემოქმედი და განმგებელი არსება, აბსო-
ლუტურად თავისუფალი პიროვნება, უსასრულო ძალა, სრულყოფილი განება
და უსაზღვრო სიყვარული.

ღმერთის შესახები რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება თეოლოგიაა,
ომლისათვისაც ღმერთი მარტო რწმენისა და თავჯანსიყმის ობიექტი კი არ
არის, არამედ იდეოლოგიურ-ფილოსოფიური ცნებაცაა.

პოზიციიდან წარმართობა, რადგან უცხოა (თუმცა ტერმინი „წარმართობა“ ისლამის მიმართ შედარებით იშვიათად იხმარება).

მართალია, წარმართობა კრებითად გამოხატავს ქრისტიანობისაგან განსხვავებულ რელიგიურ და ეთიკურ საწყაროს, მაგრამ არ ხსნის სამყაროს რაიმე ნიშან-თვისებებს. ამიტომ ეს ტერმინი თავის თავში აერთიანებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ არა ქრისტიანულ სარწმუნოებებს, რომლებიც დაშორებული არიან როგორც დროით, ისე მსოფლმხედველობის პრინციპებით. მაგალითად, ქართულთა წარმართული შეხედულებები არსებობდა და სახეს იცვლიდა მთელი ისტორიის მანძილზე, მოიცავდა რელიგიის უძველეს ფორმებს, ნაყოფიერების კულტებს, ჩვენში შემოტანილ რელიგიურ მოძღვრებებს (არმაზის რელიგიას, ცეცხლთაყვანისმცემლობასა და ა. შ.), თითოეული მათგანი გარკვეული ისტორიული და კულტურულ-სოციალური ვითარების შედეგია და მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს, მაგრამ ქრისტიანობის თვალსაზრისით ყველა გაერთიანებულია ერთ ტერმინში — „წარმართობა“.

წინაქრისტიანული ხანის ქართული წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი იყო როგორც საერთო ეროვნული უზენაესი, ისე ცალკე სატომო, სახელო, სათემო, საჯვარედულო ღვთაებები. შესაბამისად, არსებობდა წარმართული პანთეონი*.

გამორკვეულია, რომ ქართულ ასტრალურ (ციხ სხეულებთან დაკავშირებულ) პანთეონს სამეული მეთაურობდა პირველი უზენაესი ღმერთი იყო მთვარე — მამა ღმერთი, მეორე — ქალღმერთი შუენაესი ანუ შუე ქალი, ხოლო მესამე — კვირია. უზენაესი ღმერთი (ანუ მორიგე ღმერთი) პანთეონსაც ჯდგა სათავეში და სამეულსაც**.

იერარქიის მომდევნო საფეხურზე იდგნენ შესაბამისად ხელქვეითი ღვთაებები: ჯვარი ან ხატი, ღვთისშვილები და ა. შ. უკვე იმ დროისათვის ქართველთა ყველა ღვთაება ანთროპომორფულ არსებად არის წარმოდგენილი.

* პანთეონი პერსიული სიტყვაა (pan — ყველა, theos — ღმერთი). იგი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება:

- 1) ძველ საბერძნეთსა და რომში: ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი;
- 2) სასულიერო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ იდამიანებს ასაფლავებენ;
- 3) რომელმე პოლითეისტურ რელიგიაში: ყველა ღმერთის ერთობლიობა.

** სულ აღრუულ საფეხურზე ქართულ წარმართულ პანთეონს სათავეში მისს ღვთაება ჯდგა.

საგულანსშია ის ფაქტიც, რომ სვანები კვირიას თაყვანისცემასთან დაკავშირებული ფერხულის დროს სიტყვებს ქართულად წარმოთქვამენ, მეგრული მეკლეც ახალწლის დღეს ქართული სიტყვებით ლოცავს. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ წარმართობა საერთო იყო ყველა ქართველური ტომისათვის და ეს წესებიც იმდროინდელია, როცა არსებობდა მხოლოდ ერთი ენა — პრექართველური — ერთი ტერმინოლოგიით.

ანტიკურ ხანაში, ძვ. წ. III ს. დასაწყისისათვის, უნდა მომხდარიყო ზოგიერთი ცვლილება ქართველთა რწმენის სფეროში, წარმართულ პანთეონში. საისტორიო წერილობითი წყაროების მიხედვით, ცვლილება შეეხო პანთეონის მეთავე სამეულს: კერძოდ: უზენაეს მთვარე ღმერთს ეწოდა ახალი სახელი — არმა — არმაზი.

ტრადიცია არმაზის კულტს უკავშირებს შეფე ფარნავაზის მოღვაწეობას: „ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისა: ვსე არს არმაზი“ („ქართლის ცხოვრება“) და ქართლის მთაზე აღმართა. როგორც სამეფოს მთავარი ღვთაება, გაცისა და გაისა კერპებს შორის, რომლებიც ახომ დაამკვიდრა ქართლში დიდ ღმერთებად ფარნავაზამღე.

ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებით, არმაზი და კიდევ რამდენიმე სხვა კერპი ქართველთა ეროვნულ ღმერთებადაც კი არის მიჩნეული. „მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს: ქართლის მეოთხე მეფემ ფარნავაზ მირვანის ძემ აღაშენა ციხე ზადენი და იქვე აღმართა კერპი ზადენი (ანთროპომორფული გამოსახულება).

მეტწიერთა აზრით, წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაების — მთვარე ღმერთს სახელი არმაზი, მომდინარეობს ხეთური სიტყვიდან არმა, რაც ნიშნავს მთვარეს, მთვარის ღვთაებას ძველ საბერძნულში მთვარის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიული სახელის: გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიიდან ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომის მუშქების (მესხების) ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმონაცვლებასთან. კერძოდ, ძვ. წ. V — IV საუკუნეებში მესხთა ტომმა შეაღწია მდ. მტკვრისა და არაგვის წყალშესაყართან და იქ არსებული ქალაქი „დედაქალაქად“ გამოაცხადა. როგორც ჩანს, ჯამ დროს გავრცელდა ოფიციალური ღვთაების ახალი სახელი არმა. ამასთანავე, როცა ქართლის სამეფოში პოლიტიკური ჰეგემონი გახდა მუშქების ტომი, მათ საერთო ქართველების მამამთავარ ღმერთს ეწოდეს მთვარის ხეთური სახელი არმა — არმაზი და აღიარეს ქართული წარმართული პანთეონის მეთაურად.

მესხების მიერ მცერვაზიური სამყაროდან უნდა იყოს შემოტანილი მეორე ღვთაების — ზადენის სახელი, ხოლო გაცი და გაი იმ შტოს ეკუთვნის, რომელსაც თავისი პირველსაცხოვრისი სამშობლო არიან-ქართლში ეგულებს.

ანტიკურ წყაროებში გაცილებით მცირე მასალა მოიპოვება შავიზღვრისპირა ქალაქების ქართველთა წარმართული ბანთეონის შესახებ. ლექს პირველ რიგში უნდა დასახელდეს ქალღმერთ ფასისის ღვთაება, რომლის ქანდაკება აღმართული იყო ქალაქ ფასისშიჯგერძნების შენიშვნით. ეს ქალღმერთი ყველაზე უფრო ჰგავს რეას — მცირე აზიის მთავარ ქალღმერთს, რომელიც ატარებდა „დიდი დედის“, „ღვთისმშობლის“ წოდებას. ამ ღვთაებას უნდა შეესაბამებოდეს ქართველთა კოპალა ანუ კოპალი.

▲ მზის — მზექალის გაღმერთება ქართველებში ძირძველი ტრადიციის მქონეა. ამას ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალებიც მოწმობს. მზე (ვითარცა ღვთაღმერთი) ქართული წარმართული ბანთეონის სათავეში იღვავ წინარექრისტიანულ ხანაშიც, ჩანს, ამან თავისთავად შეუწყო ხელი საქართველოში აქემენიანთა სამყაროდან მზის ღვთაების — მითრას კულტის გავრცელებას.

ღუზუნავი ღმერთის მზის კულტი უნდა დაუკავშირდეს მიწათმოქმედების მძლავრ განვითარებას.

▲ წარმართულ ღვთაებებს უკავშირდებოდა კვირის დღეების სახელწოდებანიც. სულხან-საბას მიხედვით: ორშაბათი არის სახელი მთოვარისა, სამშაბათი — არიასი, ოთხშაბათი — ერმისა, ხუთშაბათი — აფროდიტისა, პარასკევი — დიონისა, შაბათი — კრონოსისა, კვირა — მზისა*.

კვამბათის სისტემის სახელები მიჩნეულია ებრაული წარმოშობისად (საბა). სულხან-საბასთან შეიდეულის დღეები იწყება შაბათით. ცნობილია, რომ სხვადასხვა ხანაში (და სხვადასხვა ხალხში) კვირა არ შეიცავდა დღეთა ერთნაირ რაოდენობას, იყო ხუთდღიანი, შეიდედიანი, რვადღიანი, ცხრადღიანი და ათდღიანი კვირა.

▲ ხუთდღიანი კვირა ჰქონიათ ბაბილონელებს, შეიდედიანი — ებ-

* სხვა ქართული მასალების მიხედვით, კვირის დღეთა სახელებია: ორშაბათი — მთოვარისა, სამშაბათი — თარხონისა, ოთხშაბათი — ღიმილისა, ხუთშაბათი — მთოვარისა, პარასკევი — თბისა, შაბათი — შორიგისა, კვირა — მზისა.

რავლებს, სპარსელებს, ინდოელებს, ჩინელებს, მონღოლებს, ბერძნებს, რვადღიანი — რომაელებს, ცხრადღიანი — ინდოელებს, სპარსელებს, ათდღიანი — ეგვიპტელებს. ➤

+

მ. ქრისტიანობის როლი და ქართული ფილოლოგიის ბიბლიოლოგიური პრობლემები. ბიბლიურ თარგმანთა გენეზისის, ქრონოლოგიისა და ტერმინოლოგიის საკითხები

ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ახ. წ. I საუკუნეში. ➤

ამეცნიერთა აზრით, საქართველოში ქრისტიანობა არაოფიციალურად გრცელდებოდა დაახლ. ახ. წ. I — II საუკუნეიდან. პირველი ქრისტიანები შესაძლოა იყვნენ საგანგებოდ მოგზავნილი მისიონერები, რომლებიც ფართულ იწყებენ ახალი რელიგიის ქადაგებას იბერიაში და კოლხეთში.

• ქრისტიანობა ჩვენში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის I მეოთხედში. ქართლის განმანათლებელად მიჩნეულია მოციქულთა მწორი წმინდა ნინო. ➤

დიდია ქრისტიანობის როლი ქართული კულტურის განვითარებაში, რამდენადაც იგი წიგნიერი რელიგია იყო. ქრისტიანობის დამკვიდრებამ გამოიწვია IV საუკუნის საქართველოში ქართული ენისა და მისი დამწერლობის ხელახალი აღორძინება და შემდგომი სრულყოფილი ქრისტიანობამ უდავოდ ბევრი რამ (რაც მისთვის აუცილებელი იყო) შეიტვისა და შეისისხლხორცა წარმართული კულტურისაგან და მძლავრად წასწია წინ ქართული მწერლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი ბიბლიის ქართულად თარგმნისა და გავრცელების საქმეში.

ქ ბიბლია* არის იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების „საღმრთო“ წიგნების კრებული. იგი შედგება ძველი და ახალი აღთქმებისაგან. ➤

ქ ძველ აღთქმაში 22 წიგნია (ე. ყველიძე). ** მათი უმრავლესობა ძველ ებრაულზეა დაწერილი, მხოლოდ ზოგიერთ წიგნში გვხვდება მცირე ჩანაწერები არამეულ ენაზე. ➤

* „ბიბლია“ ბერძნული სიტყვაა, ქართულად ნიშნავს „წიგნებს“ (ბიბლია — წიგნი).

** სხვა ცნობით 39 (იხ. ქართული სამეცნიერო ენციკლოპედია, ტ. 2).

2. ე. უვიკრიშვილი

86183



ძველი აღთქმის წიგნები სხვადასხვა დროსაა შექმნილი, საერთოდ არათარიღად ძვ. წ. XII — ახ. წ. II საუკუნეებს ასახელებენ.

ძველ აღთქმას ებრაულად ერთიანი სათაური არა აქვს. იგი სამ ნაწილად იყოფა: პირველს ეწოდება **კანონი** (ებრაული თორა), რომელსაც ტრადიციით მოსეს მიაწერს (შედგება ხუთი წიგნისაგან: დაბადება, გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯული), მეორე ნაწილია **წინასწარმეტყველნი** (მეფეთა წიგნები, წიგნები ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა... სულ 12 წინასწარმეტყველისა), მესამე — **ებრაული დაწერილობები**, (ფსალმუნნი — დავითნი, სოლომონის იგავები, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, დანიელის წიგნი...).

ქრონოლოგიური ზღვარი ძველი აღთქმის ცალკეულ ნაწილებს შორის მეტად დიდა. მაგალითად, დებორას საგალობელი დაწერილია დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეში, ხოლო დანიელის წიგნი — დაახლ. ძვ. წ. II საუკუნეში.

ძველი აღთქმის ბიბლიური ტექსტიდან მოგვებოვება სხვადასხვა ცალკეული წიგნი. ყველაზე ადრე უნდა გადმოთარგმნილიყო **დავითნი (ფსალმუნნი)** იგი სხვადასხვა დროს შექმნილ ნაწარმოებთა კრებულაა. „შუშანიკის წამებით“ ირკვევა, რომ V საუკუნეში ეს წიგნი ქართულად არსებობდა, მაგრამ ჩვენამდე აღარ მოუღწევია.

დავითნის ყველაზე უძველესი ნუსხა (IX საუკუნეში გადაწერილი პაპირუსზე) სინის მთაზე ინახებოდა, მაგრამ მთლიანი ტექსტი დაკარგულა. დღეს მხოლოდ მისი რამდენიმე ფურცელია დაცული სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შიხედრინის საბ. საჯარო წიგნსაცავში.

მეორე უძველესი რედაქცია ქართული დავითნისა გადაწერილია 904 წელს ასომთავრულით **ხოლო მესამე — განსხვავებული ქართული რედაქცია — შესრულებული ყოფილა X საუკუნეში (მოთავსებულია შატბერდის კრებულში)**.

დავითნი უთარგმნიათ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებსაც. ძველი აღთქმის მეორე წიგნის — წინასწარმეტყველთა წიგნის თარგმანი გადაწერილია პალესტინაში, გერის მონასტერში, XI საუკუნის II ნახევარში.

ძველი აღთქმის წიგნების თემატიკა სხვადასხვაგვარია: შეიცავს ისტორიულ და იურიდიულ დოკუმენტებს, ხალხურ მითებსა და ლეგენდებს, რელიგიური და ლირიკული პოეზიის ნიმუშებს.

ძველი აღთქმის წიგნების თემატიკა და ანტიკურული ფორმა დიდ მსგავსებას აქვდა იველებს როგორც საკუთროვ სემიტურ, ისე საერთოდ ახლო აღმოსავლეთის სამყაროსთან. აქ წარმოდგენილია **ლეგენდები** ქვეყნიერების გაჩენის, ადამიანის წარმოშობისა და მსოფლიო წარღვნის შესახებ; მოცემულია ცნობები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ბაბლონის, ქანაანი — პალესტინის, ეგვიპტის) ისტორიისა.

ეკლესიასტე და იგავები განეკუთვნება ძველი ახლო აღმოსავლეთის დამახასიათებელ ლიტერატურულ ქანრს, * ე. წ. „სიბრძნის ლიტერატურას“.

ჯახალი აღთქმა 27 წიგნისაგან შედგება, დაწერილია ახ. წ. II — IV საუკუნეებში ბერძნულად თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზოგი წიგნი არამეულ ენაზე უნდა ყოფილიყო შექმნილი. **ჯახალი აღთქმის I ნაწილია ოთხთავი, მეორე — სამოციქულო.**

ჯოთხთავში შეტანილია ოთხი ავტორის (მათეს. მარკოზის, ლუკასა და იოანეს) თხზულებანი, რომელთა აღსანიშნავად იხმარება ქართულ სიტყვა „სახარება“ (ბერძნულად ჰქვია **ევანგელი**) როცა ოთხივე ავტორის შრომა ერთ წიგნშია მოქცეული, მაშინ თითოეული ეს ნაწარმოები ცალკე თავად არის მიჩნეული და მთელ წიგნს ეწოდება „**სახარება ოთხთავი**“. ახალი აღთქმის წიგნების ავტორები არიან ქრისტეს მოწაფეები (მათე და იოანე) და მიმდევრები (ლუკა და მარკოზი). ისინი იწერდნენ იმათგან, ვინც უშუალოდ იხილა ქრისტე და მოესმინა მას.

ჯსამოციქულოში მოთავსებულია შრომები: საქმე მოციქულთა, 7 პატარა კათოლიკე ეპისტოლე, 14 ეპისტოლე პავლე მოციქულისა და აპოკალიფსი, ანუ გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა.

ქრისტიანობისათვის უფრო საინტერესოა ახალი აღთქმის წიგნები, რომლებიც აგვიწერენ იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მისი მოძღვრების გავრცელებას „მოციქულთა“ ან მოწაფეთა მიერ. ეს წიგნები საფუძვლად დაედო ქრისტიანობას.

ყოველ ქრისტიანულ ერს, რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა დაუწყია „საღმრთო წერილის“ ან ბიბლიის თარგმნით“ (ე. კეკელიძე), რაც გამოწვეული იყო უფრო პრაქტიკული მოსახრებიტა და აუცილებლობით. ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს საჭირო იყო საგალობლები, სალოცავები.

ბიბლიის პირველი ქართული თარგმანები საქართველოში ქრის-

ტანობის გავრცელებისთანავე უნდა იყოს შესრულებული. ქართულ ბიბლია თარგმანის ისტორია ჯერჯერობით დაწერილებით არ არის შესწავლილი. შესაძლოა, ზოგი აღრეული თარგმანი უკვლიდ იყოს დაკარგული. ზოგი კი დაცულია უფრო გვიანდელი დროის ხელნაწერებში.

▲ საფიქრებელია, რომ საღმრთო წერილი უშუალოდ დედნიდან ყველაზე ადრე ქართულად თარგმნა ან სხვობს ცნობა, რომ ჯერ კიდევ 424 წელს (პეტრე მთიშელის ცხოვრების მიხედვით) წმინდა წერილი არსებობდა საქართველოში, ხოლო შემდგომში წამყვანი ვარკვევითაა აღნიშნული, რომ ჩვენში იცნობდნენ ევანგელისტს — სახარების. პავლე მოციქულის ეპისტოლეებს. ▶

▲ საბა განწმენდილის ცნობით, V საუკუნის დასაწყისიდან ქართველებს შეეძლოთ თავიანთ ენაზე ეკითხათ სახარება, სამოციქულო და სხვა წყაროებით მტკიცებდა, რომ ჩვენი მწერლობის უძველესი კვანძოვლები ნაშთი არის „საღმრთო წერილი“, რასაც ურყევად მოსტურებს მოგვიანებით აღმოჩენილი პალიმფსესტები.

▲ ცნობილია სახარების ორი უძველესი რედაქცია: ხანმეტური და ხანაწმინდური. ▶

▲ კავალიძის აზრით, ხანმეტური შეიქმნა იყოს სახარების პირველი უძველესი რედაქცია (მასში II სტრიქტისა და III ირინოზობიქტის ბირის ნიშანია ხ პრეფიქსი), საბაწმინდური კი შემუშავდა ხანაწმინდის ლავრანი (პალესტინაში) IX საუკუნიდან.

სახარების ეს ორი რედაქცია ნაწილობრივ განსხვავებული იყო მანაარსობრივად, სტილისტურ-ენობრივად. ▶

▲ X — XI საუკუნეებიდან სახარების ტექსტმა განიცადა ძირითადი ცვლილება რადგან ხემოაღნიშნული ორი რედაქცია ბევრ რამეში განსხვავდებოდა იმ დროს კონსტანტინეპოლის ეკლესიაში მიღებული რედაქციისაგან, ქართველ მოღვაწეებს სპირიტუალურად აღინდელი თარგმანები უფრო დაეახლოვებინათ ღვდამთას, უძველეს ბერძნულ ვერსიებთან. ამ ვარკვევითაა პირველად გურაძემა მოუტყუა ექვთიმე მთაწმინდელს, რომელსაც მოუტყა სახარების ტექსტის ახალი რედაქცია შემდგომში ექვთიმეს შრომა გაუგებრდება გიორგი მთაწმინდელს. მას სახარების ტექსტი სამჯერ შეუშოწმებია ბერძნულ ტექსტთან და შეუქმნია ახალი დამოუკიდებელი რედაქცია, რომელსაც საქართველოში კანონიკური უფლება მოაბოვა.

▲ გიორგის შემდეგ იოანე კიმჭიმელს უცდია სახარების ტექსტის გადმოღება, კიდევ უთარგმნია ოთხივე სახარებლის თხზულებანი, მაგრამ უნდა თარგმანი ღირსებით ვერ უტოლდებოდა გიორგი მთაწმინდლის რედაქციას, ამიტომ იგი ქართულ მწერლობაში შეუშინებელი დარჩენილა.

ახალი აღთქმის II ნაწილის — სამოციქულის ზოგი ეპისტოლე ქართულად უკვე V საუკუნეში ყოფილა თარგმნილი (ირკვევა „მთაწმინდის წამებით“), მაგრამ იმდროინდელი ნუსხები ნაკლებად შემონახულია ჩვენამდე.

▲ 975 — 978 წლებში ექვთიმე ათონელს გადმოუთარგმნია „გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა“ (რომელიც წინათ ქართულ ენაზე არ არსებობდა) და სხვა ეპისტოლენიც. «კიდევ უფრო წარფიქრი შრომა გაუწევია გიორგი მთაწმინდელს» მას უთარგმნია „პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთაგანი“.

▲ ბიბლიის მთლიან პირველი უძველესი ნუსხა — ე. წ. ათონის ბიბლია გადაწერილია 978 წ. ასომთავრულით, 2 წიგნად. მომგებელი ამ ბიბლიისა ყოფილა იოანე — თორნიკე ყოფილი. ▶

▲ მეორე ძველი რედაქცია ქართული ბიბლიისა არის 1743 წელს ბეჭადის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი ტექსტი. მესამე რედაქცია ე. წ. მცხეთის ბიბლია, გადაწერილი მე-18 საუკუნის I ნახევარში. ▶

▲ ბიბლიური ტექსტის განსაკუთრებულ რედაქციად უნდა მივიჩნიოთ ე. წ. ჯანაშვილისეული რედაქცია, გამოცემული სტამბურად 1884 წელს. ▶

შეატრებული ღირებულების მიხედვით ბიბლიის წგნები ერთნაირი არაა. უმთ შორის გამოირჩეულია დავითნი, რომლის ლექსები უმეტესად ღირსეულია ლირიკისა. ▶

ბიბლია მეტად საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

- ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, თბ., 1943-1959 წწ. გამოცემები.
- თ. გამყრელიძე, ე. ივანოვი — ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, თბ., 1985 (რუს.).
- კ. კავალიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.

* მომგებელი — შეშქანი, პატრონი, მიწვევა, სასყიდლის მიმცემი.

- ბ. კილანავა — ქართულ დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1990.
- გ. მელიქიშვილი — საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
- გ. ნებიერიძე — „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (რეცენზია ო გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ამავე სახელწოდების წიგნზე): დროშის ზეპლოთეკა, № 3, 1987.
- ზ. სარჯველაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რეატიმეული), ტ. I, თბ., 1970.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- შ. შიშიგური — ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
- ივ. ჭავჭავაძე — ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979.
- ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, თბ., 1943.



ქართველური ენები

1. ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობა და მათი ზოგადი დახასიათება

* არჩ. ჩიქობავას კლასიფიკაციით, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში* შედის ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ბაცბურ-ქისტური და დაღესტნის ენები. აქვე დასახელებულია ბასკურიც. [ამ ოჯახში, როგორც უძველესი დამწერლობის მქონე, ძირითადად ქართველურ ენათა შტო. ჩლიარებულია, რომ ქართველებს წერილობითი ძეგლები მოეპოვებოდა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ეპოქაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაა მიკვლეული IV—V საუკუნეზე ადრინდელი ნივთიერი წყარო. სხვა კავკასიურ ენებს დამწერლობა მე-18 საუკუნემდე არ ჰქონიათ.

* თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში ზოგ სპეციალისტს ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი“ არ მიაჩნია მართებულად, რადგან იბერიული (ე. ი. ქართველური) და კავკასიური ენები გენეზისურად არ უკავშირდებიან ერთ-ერთს. ამიტომ შემოიღეს მხოლოდ გეოგრაფიული ცნებას აღმნიშვნელი ტერმინი „კავკასიურ ენათა ოჯახი“.

- ბ. კილანავა — ქართულ დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1990.
- გ. მელიქიშვილი — საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
- გ. ნებიერიძე — „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (რეცენზია ო გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ამავე სახელწოდების წიგნზე): დროშის ზეპლოთეკა, № 3, 1987.
- ზ. სარჯველაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რეატიმეული), ტ. I, თბ., 1970.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- შ. შიშიგური — ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
- ივ. ჭავჭავაძე — ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979.
- ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, თბ., 1943.



ქართველური ენები

1. ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობა და მათი ზოგადი დახასიათება

* არჩ. ჩიქობავას კლასიფიკაციით, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში* შედის ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ბაცბურ-ქისტური და დაღესტნის ენები. აქვე დასახელებულია ბასკურიც. [ამ ოჯახში, როგორც უძველესი დამწერლობის მქონე, ძირითადად ქართველურ ენათა შტო. ჩლიარებულია, რომ ქართველებს წერილობითი ძეგლები მოეპოვებოდა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ეპოქაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაა მიკვლეული IV—V საუკუნეზე ადრინდელი ნივთიერი წყარო. სხვა კავკასიურ ენებს დამწერლობა მე-18 საუკუნემდე არ ჰქონიათ.

* თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში ზოგ სპეციალისტს ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი“ არ მიაჩნია მართებულად, რადგან იბერიული (ე. ი. ქართველური) და კავკასიური ენები გენეზისურად არ უკავშირდებიან ერთ-ერთს. ამიტომ შემოიღეს მხოლოდ გეოგრაფიული ცნებას აღმნიშვნელი ტერმინი „კავკასიურ ენათა ოჯახი“.

ბენი არ მოგვებოცება. მხოლოდ ლინგვისტური ანალიზის, არქეო-
ლოგიური გათხრებისა და ეთნონიმიკის მონაცემებს საფუძველზე
ვარაუდობენ, რომ დიფერენციაცია უნდა დაწყებულიყო დაახლ.
ძვ. წ. III — II ათასწლეულის მიჯნაზე, კერძოდ: სვანურის გამო-
ყოფა საგულვებულია ძვ. წ. XVIII — XVII საუკუნეებში, ზანურ-
ქართული ერთობის დაშლა კი — ძვ. წ. VIII საუკუნეში (გ. მელი-
ქიშვილი). თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის გამოთვლით, სვან-
ურის გამოყოფა უნდა მომხდარიყო ძვ. წ. X საუკუნეში, ქართულ-
ზანურის დიფერენცირება კი — ძველი და ახალი წელთაღრიცხვის
მიჯნაზე.*

ქართველური ენებიდან ქართული არის სამწერლობო, ერთენუ-
ლი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, ზანური და სვან-
ური უმწერლობო, ტომობრივი ენებია.

* ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა სიმცირე
და თანხმოვანთა სიუხვე. მათთვის ძირითადია 5 სავა ხმოვანი: ა,
ე, ი, ო, უ, მკვრულის ერთ კილოკავა ერთვის „ირაციონალური
ხმოვანი“ ზ სვანურს აქვს უმლაუტიზებული ხმოვნები, რომლებიც
მეორეული წარმოშობისა ჩანს.*

ქართველურ ენებში ხელშესახებადაა წარმოდგენილი ბგერათმე-
სატყვისობები, რაც, თავის მხრივ, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ
ენათა ნათესაობას — გენეზისურ ერთობას.

ბგერათა კანონზომიერი შესატყვისობებია:

ქართ. ა — ზან. ო — სვან. ა (ქათამი, ქოთომი, ქათალ).

ქართ. ც — ზან. ჩ — სვან. ჩ, შ (კაცი, კოჩი, ქაშ).

ქართ. ძ — ზან. ჯ — სვან. ჯ, უ (ძალი, ჯოლორი უაღუ) და
ა. შ.

ქართველურ ენებში ძირითადად შეიმჩნევა სუხტი დინამიკური
ფიქსირებული მახვილი. ისტორიულად (ზოგ ენობრივ ფენაში მა-
ინც) მახვილი უნდა ყოფილიყო ძლიერი.

* თანხმოვანთა სისტემისათვის ნიშანდობლივია „კავკასიური მკვეთ-
რები“ აბრუბტივები: პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ) დახშულ თანხმოვანთა ხამე-
ულებრივი სისტემა.*

* სამივე ქართველურ ენაში დასტურდება ე. წ. კლას-კატეგორიის
არსებობის ნაშთები. აბრუბტივური ენისთვისაც უნდა ყოფილი-
ყო დამახასიათებელი ადამიანისა (პიროვნებისა) და ნივთის სემან-
ტიკური კატეგორია — სახელთა დაყოფა ვინ და რა გვუფის სახე-

ლებად. ამოსავალ ვითარებაში ეს დაყოფა ვარაუდობს ადამიანი-
სა და ნივთის გრამატიკული კლასის არსებობას.* სახელსა და ზმნა-
ში სათანადო ნიშნები: მ, ს, ლ, რ, ნ, შ... მოიპოვება გაქვევებული
ან რეინტერპრეტირებული სახით (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა,
გ. თოფურია...).

ქართველური ენების მორფოლოგიური სტრუქტურისათვის გან-
მსაზღვრელია სიტყვათა აგების აგლუტინაციური პრინციპი და პრე-
ფიქსაციის უპირატესი როლი სუფიქსურთან შედარებით.

* ქართულსა და ზანურში ბრუნება ერთია, სვანურში კი რამდენიმე
ტიპის ბრუნება გამოიყოფა. ყველა ქართველურ ენას მოეპოვება
სახ., მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., და ვით. ბრუნვები. მოთხრობითი მო-
ხნულია ქართველური და (საერთოდ, აბგრიულ-კავკასიური) ენე-
ბისათვის სპეციფიკურ ბრუნვად, თუმცა თ. გამყრელიძის ვარაუ-
დით, მოთხრობითი ბრუნვა დამახასიათებელი უნდა იყოს ეგვიპტუ-
რი ენებისათვისაც.

თვლის სისტემა ქართველურ ენებში ძირითადად თცობითია.
სვანურის რბ კილოში (ბალსუემოურსა და ლაშნურში) დასტურდე-
ბა ათობითი თვლა, რაც ქართული ენას ზოგიერთი კილისთვისაც
არის დამახასიათებლად მიჩნეული (გ. ცოცანიძე).

* ქართველურ ენებში ზმნა მეტად რთული მეტყველების ნაწი-
ლია. იგი მდიდარია კატეგორიებით; ახასიათებს პიროვნე უღვლი-
ლებს, მრავალბირიანობას (პოლიბერსონალიზმი) და დრო-კილოთა
განვითარებული სისტემა.

სამივე ქართველური ენისათვის აშემაღ ნიშანდობლივია ატრი-
ბუტული სინტაგმის პრეპოზიციური წყობა, გარდამავალი ზმნა წარ-
მოგვიდგენს ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ კონსტრუქციებს
(შესაბამისად, სუბიექტი დგის სახელობითში, მოთხრობითსა და მი-
ცემითში). 3

ქართული ენა

* ქართული ენა არის ქართველურ ენათა შტოში უძველესი დამ-
წერლობის მქონე ენა. მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.
ქართული ენა დამოუკიდებლად ვითარდება მას შემდეგ, რაც მოხდა
ზანურ-ქართულის დიფერენციაცია.*

ქართული პოლივალენტოვანი (მრავალი ღირებულების მქონე) ენაა. ამ ენაზეა შექმნილი მდიდარი მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურა.

*სალიტერატურო ქართულის ისტორია მრავალსაუკუნოვანია. შესაბამისად განსხვავებენ ძველსა და ახალ ქართულს, გამოყოფენ მათ შორის გარდამავალ საფეხებს — საშუალო ქართულსაც.

ა. შანიძის აზრით, ძველი ქართული მოიცავს V-XI საუკუნეებს, საშუალო ქართული — XII-XVIII ს. ახალი XIX-XX საუკუნეებს. XX საუკუნის ქართულს თანამედროვე სალიტერატურო ქართულსაც უწოდებენ.

*ქართული მსოფლიოს ენათა სისტემაში გამორჩეულია თავისი სტრუქტურით: გრამატიკული წყობითა და უმდიდრესი ლექსიკით. იგი შეისწავლება საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

ქართულში 33 ასო-ბგერაა. აქედან 5 ხმოვანია (ა ე ი ო უ) და 28 თანხმოვანი (ბ გ გ ლ ზ ლ მ ნ რ ძ ჟ ღ ქ თ ფ ჭ ს ც ჩ კ პ ტ წ ჭ ხ ჰ ყ შ). თანხმოვნები ქმნიან სამეულებს, წყვილმეულებსა და ცალმეულებს. ქართული-სათვის (და საერთოდ ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის) დამახასიათებელია მკვეთრი თანხმოვნები (ბ, ტ, წ, ჭ, კ, ქ), რომლებიც განსახლდრავენ ე. წ. „კავკასიურ წარმოთქმას“ („აქცენტს“).

თანხმოვნები უმეტესად თავს იყრიან სიტყვის თავში.

*ქართულ ენას ამაყად ახასიათებს სუსტი დინამიკური ფიქსირებული მახვილი, თუმცა ტონურის ელემენტებიც შეიმჩნევა. ძველ ქართულში უნდა გვექონოდა ძლიერი მახვილი **ქარნ**. ჩიქობავა: ერთი დიალექტური წრისათვის დინამიკური, მეორისათვის — ტონური.

*15 საუკუნის მანძილზე ქართულ სალიტერატურო ენის თანხმოვანთა სისტემას გამოაყლდა ერთი თანხმოვანი — **წ** (ხარი). იგი შემორჩა მხოლოდ შიოს კილოებს.

*ქართული ენის მორფოლოგია მეტად მრავალფეროვანია. ფართოდ გამოიყენება აფიქსური წარმოება. *სახელს აქვს ორი კატეგორია: ბრუნვა და რიცხვი. *მისთვის სქესის კატეგორია უცხოა. რეალური სქესის გარჩევისათვის შესაბამისი სიტყვები იხმარება: ძუ ვეფხვი, მამალი მგელი, ხარირემი...

*სახელს 7 ბრუნვა აქვს: სახ., მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., ვით., წოდ. (ზოგი მკვლევარი წოდებითს არ მიიჩნევს დამოუკიდებელ ბრუნვად).

*სახელის მრავლობითი რიცხვი ორგვარია: ებიანი და ნართანია-ნი, თ ფორმანტს აქვს ორი ფუნქცია (ბრუნვისა და რიცხვის გამოხატვა. წამოშობით იგი მხოლოდ რიცხვის ნიშანი უნდა ყოფილიყო).

ქართულ ენაში ბრუნვის ერთი სახეობა გვაქვს. სახელის ბრუნვის ფორმას შეიძლება დაეკრთოს თანდებულები, რომლებიც ზოგჯერ იწვევენ ბრუნვის ნიშანში ცვლილებას.

*ქართული ზმნა მდიდარია კატეგორიებით, ამიტომ იგი მეტად რთულია. *ამასთან დაკავშირებით ჯავსტრიელი ქართველოლოგი **მუგო შუხარდტი** მოხდენილად შენიშნავდა: ვინც ქართული ზმნა იცის, მან თათქმის ენა იცის. ზმნა ქართული ენის სული და გულია.

*ქართული ზმნის კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გარდამავლობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი, ასპექტი...

ქართული ზმნის უღვლილებისათვის ამოსავალია ზმნის დაყოფა სტატიკურად და დინამიკურად. გარდამავალ ზმნებთან სუბიექტი ბრუნვაცვალდება. გარდამავალი ზმნისათვის ისტორიულად ამოსავალია მეორე სერია.

ქართულში გვარის კატეგორიაც კარგადაა გარჩეული. გარდამავალი ზმნა ჩვეულებრივ მოჭმედებითი გვარისაა (გამონაკლისია მხოლოდ უგვარო ზმნები: იცის და უწყის).

ქართული ენის რთულ მორფოლოგიას შეესაბამება რთული სინტაქსი. ქართული ზმნის ერგატიული კონსტრუქციის საფუძველია გარდამავლობა.

სვანური ენა

*სვანური ენა არის ქართული ენის ერთ-ერთი უახლოესი შობათესავე ენა.

*სვანური ენა უმწერლობო, ტომობრივი ენაა. ამ ენაზე ლააო-კობენ მესტიისა და ლენტეხის რაიონებში, აგრეთვე, აფხაზეთის „სვანეთში“.

*სვანურ ენაში გამოიყოფა 4 დიალექტი: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლანხური და ლენტეხური. დიალექტთა ძირითად საკლასიფიკაციოდ ნიშნად მიჩნეულია ხმოვანთა უმლაუტი, სიგრძე და რედუქცია.

107

სვანურში 6 ძირითადი ხმოვანია: ა, ე, ი, ო, უ, ჰ. უმლაუტრან და უუმლაუტო ხმოვანთა კორელაცია ახასიათებს ბალსზე-მოურს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს.

სვანურში 30 თანხმოვანია (ძალიან ახლოსა ძველი ქართულის თანხმოვანთა სისტემასთან): ბჟ, ღტ, ძცჴ, ჳჳ, გჳ, ჳჳ, ჳს, უჳ, ლხ, ჰ, მ, ნ, ლ, რ, ჴ, ა. სვანურს არა აქვს კბილბაგისმიერი ზ.

სახელთა ბრუნვა და ზმნის უღლება რთულია, ფორმებით მრავალფეროვანი.

* ბრუნვა ექვსია: სახ., მიც., მოთხ., მოქმ., ვით., ნათ.. *

ბრუნების ტიპი ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში ზუთია, დანარჩენ დიალექტებში კი უნიფიცირებულია.

ქართულისა და სვანურისაგან განსხვავებით, სვანურა ენის ზოგ ბრუნვას ახასიათებს ორფუძიანობა: მიცემითის ფორმა გამოყენებულია ფუძედ დანარჩენი ბრუნვებისათვის, ხოლო ნათესაობითი ემყარება მოთხრობითს, საერთოდ ორფუძიანობა ფართოდაა გავრცელებული იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ზმნები იყო სტატიკურად და დინამიკურად, გარდაუვალად და გარდამავლად.

* ზმნას აქვს შემდეგა მორფოლოგიური კატეგორიები: პირი, რიცხვი, ქცევა (ანუ ვერსია), გვარი, სახე (ასპექტი) კილო, დრო. *

ზმნა პირველ სუბიექტურ და ობიექტურ პართან განასხვავებს ინკლუზიურსა და ექსკლუზიურ ფორმებს.

სუბიექტური პირის ნიშნებია მხ. რიცხვში: I. პ. ხუ (ხმოვნის წინ,) უ (თანხმოვ. წინ)

II პ. ხ (ხმოვნის წინ), ი (თანხმოვნის წინ)

III პ. (დ-), -ხ, -ა, -ე.

მრ. რიცხვში: I პ. ა) ინკლუზ. ლ---დ, ბ) ექსკლუზივი ხუ--(უ---დ)

II პ. ხ----დ

III პ. (ლ-) ჰ

ობიექტური პირის ნიშნებია:

მხ. რ. I პ. მ-

I პ. ჳ-

II პ. ხ- (ირიბისა), ო, ლ- (პირდაპირისა).

მრ. რ. I პარ. ინკლუზ-გუ, ექსკლუზივი ნ-

II პ. ჳ----ხ

III პ. ხ----ხ, ლ-

* ქცევა სამია: საარვისო, სათავისო, სასხვისო. საარვისო ქცევის ნიშანია ა-, ო; სათავისოსი --- ი-; სასხვისოსი --- ი-. (I და II პირის ფორმებთან), უ- (III პირის ფორმასთან).

სვანური ენა განასხვავებს მოქმედებითსა და ვნებით გვარს. მოქმედებითს ნიშანი არა აქვს. ვნებითს აწარმოებს პრეფიქსები: ი (ერთპირ.), ე (ორპირ.) ან ფუძისეული ზმოვნის აბლაუტი, ფუძედრეკადობა (ატის- დაბრუნა, ატახ-დაბრუნდა).

ზმნებს, რომელთაც გვარის საპირისპირო ფორმები არა აქვს, ეძახიან საშუალ გვარს: არის, ზის, იცის... (ე. ი. საშუალი გვარი აქ ცალკე არაა გამოყოფილი).

კონტაქტი ორია: შუალობითი და უშუალო. კაუზატივის ნიშანია უნ სუფიქსი.

ასპექტი სრული ან უსრული. სრულს აწარმოებს ზმნისწინები. მ მარტივი პრევერბია: ამოგან 4 წმინდაა, 4---ც ზმნისწინ--- თანდებული.

* კილო სამი სახისაა: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი. * სერია სამია. I სერიის ნაკვთებია: აწმყო, ნამყო უსრული, I კავშირებითი, მყოფადი უსრული, მყოფადი სრული, მყოფადი უსრულის პირობითი, მყოფადი სრულის პირობითი, I სერიის I თურმეობითი, I სერიის II თურმეობითი.

II სერიაში შედის ნამყო სრული (აორისტი) და II კავშირებითი.

III სერიის ნაკვთებია: III სერიის I თურმეობითი, III სერიის II თურმეობითი, III კავშირებითი.

ზმნის მარტივი ფუძე წარმოდგენილია II სერიაში. I სერიაში ზმნას შეიძლება დაერთოს ი, ე სუფიქსები, აგრეთვე, თემის ნიშნები (-ემ, -ერ, -ესგი, -ენი, -ინე და სხვა).

გარდამავალ ზმნებს, ქართულის მსგავსად, I სერიაში აქვთ ნომინატიური კონსტრუქცია, II-ში --- ერგატიული, III-ში --- დატიური.

III სერიაში გარდამავალი ზმნები ინვერსიულები არიან, გარდაუვალებს კი აღწერთი წარმოება აქვთ.

უღვლილების სამი ტიპია: I ჯგუფში შედის მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთა ვნებითს აწარმოებს ე, ი პრეფიქსები, II ჯგუფში — ფუძედრეკალი ზმნები, III ჯგუფში — უგვარო გარდაუვალი ზმნები (ე. წ. საშუალი).

ზანური ენა

• ზანური ენა მოიცავს მეგრულ-ჭანურ (ლაზურ) დიალექტებს. ტერმინი „ზანური ენა“ პირობითია, შექმნილია იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ აღრიხდელი სახელწოდება სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო: *სვანები მეგრელებს ამეამადაც **ზანებს** (ზანარ) უწოდებენ, ხოლო **ჭანები** (ლაზები) ძველ ისტორიულ წყაროებში (სტრაბონი, პროკოფი კესარიელი) მოხსენიებული არიან **სანებად** (ზანებად). •

იმერთსა და სამეგრელოში არის სოფლები საზანო, ზანათი, ზანა... ზანი ტომს არსებობა ფაქტია. მათი მემკვიდრეები უნდა იყვნენ ახლანდელი ლაზები და მეგრელები (არნ. ჩიქობავა).

• ა. შანიძემ მეგრულ-ჭანურის საერთო სახელად შემოიღო ტერმინი „კოლხური“. •

• მეგრული და ჭანური ტერიტორიულად ამჟამად გათიშულია. მეგრული გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში. მეგრელები კომპაქტურად ცხოვრობენ აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

• მეგრული არის სამეგრელოში გავრცელებული უმწერლობო ენა, მას ორი დიალექტი აქვს: სენაკური და ზუგდიდურ-სამურზაყანოური. •

ჭანურზე მეტყველებენ ძირითადად თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილი ნაწილი შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ჭანები.

(ჭანური (ლაზური) არის ჭანთა უმწერლობო ენა. მისი დიალექტებია: ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური.)

თვრამეტი საუკუნის წინ მეგრული და ჭანური იყო ზანური ენის უშუალო მოსაზღვრე დიალექტები, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში კიდევ ერთ ქართულენოვან ტომს (ალბათ, გურულ-აჭარულს), შე-

უღწევია მათი შეხების ზოლში და ერთმანეთისაგან გაუთიშავს. ზანურ ენას სხვა ქართველურ ენებთან აერთიანებს ფონეტიკური შედგენილობა, გრამატიკული წყობა და ლექსიკა.

• საერთოდ მეგრული ენა უფრო ახლოს დგას ქართულთან, ვიდრე სენური. •

ზანურში დადასტურებულია 5 მარტივი ხმოვანი—ა, ე, ი, ო, უ, ორაციონალური ხმოვანი ჳ და ა. თანხმოვანი ბგერა 30-ია.

ზანურში ბრუნება ერთია, ბრუნვა—9. ეს ბრუნებებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, დაშორებითი, მოქმედებითი, დანიშნულებითი და გარდაქცევითი (ორი უკანასკნელი ბრუნვა ჭანურში არაა).

• ზმნას იხასიათებს კატეგორიათა სიმრავლე: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ქცევა, გვარი, პოტენციალისი (შესაძლებლობის გამოხატვა) და სხვა. ზმნა ერთ-ორ-და სამპირიანია. •

მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. ერთად ბრუნებისას მსაზღვრელი ნიშნებს არ ღებულობს.

მეგრულში II სერიის მწკრივებში, იმის მიუხედავად ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი, სუბიექტი ყოველთვის მოთხრობით-შია.

ჭანურში გარდამავალ პირდაპირი წყობის ზმნასთან შეწყობილი სუბიექტი სამივე სერიაში დგას მოთხრობითში.

მეცნიერთა აზრით, ძველად ზანურშიც ქართულის მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო.

2. ქართველურ ენათა გენეზისის თეორიები

• ქართველური ენების წარმოშობის პრობლემაზე დაინტერესებული იყვნენ ევროპელები ჯერ კიდევ XVII — XVIII საუკუნეებში. ისინი მსჯელობდნენ, ერთი მხრივ, ქართველური ენების კავშირზე ძველი ესპანეთის მკვიდრთა ენასთან და, მეორე მხრივ, ქართველური და ეგვიპტური ენების ნათესაობაზე.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ქართველური ენები დაუკავშირა ევროპულ ენებს (ბერძნულ-ლათინურს) იყო იტალიელი **ლორენცო ერვასი**. მანვე აღნიშნა ევროპული და კავკასიის იბერთა ნათესაობაც. ცოტა ხნის შემდეგ ქართველური და ინდოევროპული ენების ნა-

თესაობაზე კვლავ მიუთითებს მ. ბროსემ და ფ. ბოპმაც. მეორე მხრით, გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ქართველური ენები ურალურ-ალთაურ (თურანულ-მინდოლურ) ენათა მონათესავედ იქნა მიჩნეული.

1864 წელს გამოქვეყნდა ფრ. შიულერის ნაშრომი „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“, სადაც აღნიშნულია, რომ კავკასიური ენები (მათ შორის ქართველურიც) არ უკავშირდებიან ინდოევროპულ ენებს და არც ურალურ-ალთაურს. ჩანს, კავკასიური ენები (მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში) წარმოადგენენ გადმონაშთს ვაცილებით უფრო დიდი ენათა ჯგუფისას, რომელიც გაურცლებელი იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით, ვიდრე აქსემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები დამკვიდრდებოდნენ.

ამრიგად, შეგუწავდა თეორია ქართველურ ენათა განკერძოებულობის შესახებ. ეს მოსაზრება გაიზიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა.

ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობის თეორიას მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური წიგნი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, სადაც წამოყენებულია შემდეგი ძირითადი დებულებებიც: ქართველებისა და მთის კავკასიელების შორეული წინაპრები ყოფილან მოძვე ტომები, რომელთაც მონათესავე და ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ. მრავალმა სხვადასხვაგვარმა გარემომამ ეს მოძვე ერები და ტომები ერთმანეთს საგრძნობლად დააშორა, ხოლო ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა ისინი ხუთ დიდ ერთეულად აქცია.

ქართველური ენების ისტორიაში სავარაუდებელია ორი დიდი ხანის არსებობა: პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული კლას-კატეგორიები ამ ენათა ძირითად დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე—მომდევნო ხანა კი იმ დროიდან იწყება, როცა გრამატიკული კლას-კატეგორიები გაქრა და ღრმაცელილებებთან დაკავშირებით ქართული ენის ახალი სახე ჩამოყალიბდა.

ქართველური და კავკასიური ენების ნათესაობას მიეძღვნა არნ. ჩიქობავას არაერთი შრომა, სადაც წამოყენებულია შესვლულია ქართველური და საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენების გენეტური

კავშირის შესახებ მცირე აზიის უძველესი (აწ. გადაშენებული) ენა-ბოს ჯგუფთან. მეცნიერის აზრით, „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან: ურარტულთან, ხეთურთან, შუმერულთან, ელამურთან...“

ქართველურ ენათა ნათესაობის საკითხში დღეს კვლავ გააქტიურდა ქართველურ და ინდოევროპულ ენათა კავშირის თეორია.

ვერძანელი ქართველოლოგი გ. დეატერსი მიუთითებდა, რომ ქართველურ ენებში არის შერწყმა „კავკასიური“ და ძველი ინდოევროპული ფენებისა, რომ ქართველებს ოდესღაც ინდოევროპული მასის ასიმილაცია მოუხდენიათ.

ახლოვდება დასკვნები აქვეთ მიღებული: თ. გამყრელიძესა და გ. მაკვარიანს. მათი აზრით, პრექართველური ენა ავლენს ტიპოლოგიურ პარალელებს ინდოევროპულ ფუძესთან. ქართველურსა და მთის კავკასიურ ენებს შორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსებანია მხოლოდ და არა წარმოშობითი ერთობა, რომ ეს მსგავსება მეორეულია და კავკასიელი ხალხების ათასწლოვანი თანამეზობლობის საფუძველზე წარმოქმნილი ენობრივი დაახლოებიდან მომდინარეობს.

პრექართველური და პრეინდოევროპული ენების ტიპოლოგიური მსგავსება უფრო დაწერილებითაა დასაბუთებული. თ. გამყრელიძესა და ვ. ივანიოვის წიგნი „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, სადაც გადაჭრილია ორი პრობლემა: 1) ინდოევროპული ფუძეების რეკონსტრუქცია, 2) ინდოევროპელთა უძველესი სამშობლოს ლოკალიზების საკითხი (იხ. ქვემოთ).

მ. წინარე ქართველური ენის რეკონსტრუქციის პრობლემა

თანამედროვე ლინგვისტიკაში ქართველურ ენათა გენეზისი აქტუალური პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით ჩვენში ერთმანეთს უპირისპირდება ძირითადად ორი თვალსაზრისი: 1) ქართველური (იბერიული) ენები მთის კავკასიური ენების მონათესავენი არიან (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა), 2) იბერიული და კავკასიური ენები არ არიან მონათესავენი. პრექართველური ენა ავლენს ტიპოლოგიურ პარალელებს პრეინდოევროპულ ენებთან (თ. გამყრელიძე, გ. მაკვარიანი).

თ. გამყრელიძის თეორიისათვის ამოსავალი გახდა დებულება, რომლის მიხედვით, კაცობრიობის პარველი საცხოვრისი იყო წინა აზია (თავისი მიმდებარე ტერიტორიებით), სადაც ძვ. წ. V—IV ათასწლეულში ერთმანეთის მეზობლად მოსახლეობდნენ პრექართველები, პრეინდოევროპელები და პრესემიტები.

ტრადიციულად ქართულ ლინგვისტიკაში აღიარებულია, რომ იბერიულ-კავკასიური ენებში არსებობს ე. წ. მკვეთრი თანხმოვნები—აბრუბტივები (გლოტალები): **პ, ტ, კ, წ, ჭ, ჟ**. ისინი არ გვხვდებიან წერილობითი ძეგლებით დადასტურებულ სხვა ოჯახების არც ერთ ენაში ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრების — სომხურისა და ოსურის გარდა.

ამ ფაქტის გამო მეცნიერები გლოტალების საკითხს სხვადასხვაგვარად აანალიზებდნენ. არჩ. ჩიქობავა სომხურსა და ოსურში მკვეთრების არსებობას ხსნიდა ქართველურ ენების გავლენით; **თ. გამყრელიძემ** და **გ. მაჭავარიანმა** ფუნდამენტურ წიგნში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ ბგერათმესატყვისობის საფუძველზე პრეინდოევროპულ ენებშიც დადასტურეს გლოტალური თანხმოვნები, რომლებიც ჩანს, სომხურსა და ოსურს შემორჩა ქართველური ენების უშუალო მეზობლობის გამო.

პრექართველურსა და პრეინდოევროპულ ენებში გამოიყოფა ბგერათა სამი კლასი: თანხმოვნებისა, ხმოვნებისა და სონანტებისა (ნ, რ, ლ). ხმოვნები ყოველთვის ქმნიან მარცვალს, თანხმოვნები კი — არა. სონანტები ერთ წყებაში მარცვალს ქმნიან, მეორეში — უმარცვლონი არიან, მაგრამ დროთა ვითარებაში ქართველურსა და ინდოევროპულ ენათა უმრავლესობაში სონანტებმა მარცვლოვნობა დაკარგეს.

ტიპოლოგიური პარალელიზმი პრექართველურსა და პრეინდოევროპულს შორის დასტურდება გრამატიკის თვალსაზრისითაც.

თ. გამყრელიძისა და **გ. მაჭავარიანის** კვლევის შედეგები იმდროისათვის უდიდესი აღმოჩენა იყო ენათმეცნიერებაში, მაგრამ ამ ორ სისტემის ენებში დადასტურებული პარალელები მხოლოდ ფაქტობრივად. კვლევის ამ შედეგების სათანადო კვალიფიკაციისათვის საჭირო იყო პრეინდოევროპული ენის რეკონსტრუქცია, რაც, თავის მხრივ, მოითხოვდა პრეინდოევროპულთა უძველესი სამშობლოს ლოკალიზაციის გარკვევას.

მართლაც, მოგვიანებით **თ. გამყრელიძემ** და **ვ. ივანოვმა** ძირითა-

დად ლინგვისტიკით (და არა ისტორიასა და არქეოლოგიაზე დაყრდნობით) განსაზღვრეს პრეინდოევროპულთა თავდაპირველი საცხოვრისი და ე. წ. „გლოტალური თეორიის“ საფუძველზე მოახდინეს პრეინდოევროპული და პრექართველური ენების რეკონსტრუქცია, ამით ხელშესახები გახადეს აღდგენილი ინდოევროპული ენის საოცარი პარალელიზმი ქართველურ ფუძემანსთან ფონოლოგიის, გრამატიკისა და ლექსიკის დონეზე და დაასაბუთეს მათი ტიპოლოგიური ურთიერთობა.

პრეინდოევროპული ენის ლექსიკის (გეოგრაფიული ლანდშაფტის ამსახველი სიტყვების, ცხოველთა სამყაროს, სასოფლო-სამეურნეო მეცნარეების... სახელების) სემანტიკური, ისტორიული ანალიზი და წინარე ინდოევროპულ, სემიტურ და ქართველურ ენებს შორის დადასტურებულ ენობრივ სტრუქტურათა საერთო ნიშნებზე დაკვირვება ცხადყოფდა, რომ ინდოევროპულთა წინარე სამშობლო ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით მდებარეობდა. პრეინდოევროპელები ძვ. წ. V—IV ათასწლეულში მოსახლდნენ ცენტრალური მესოპოტამიის ჩრდილოეთსა და ამიერკავკასიის სამხრეთს შორის მოთავსებულ ტერიტორიაზე. მათ მეზობლად ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ პრექართველები, სამხრეთ აღმოსავლეთით — პრესემიტები; შესაბამისად უნდა არსებუდყო: 1) ინდოევროპული ფუძემან ბალკანეთიდან მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილო ნაწილში, 2) მის ჩრდილოეთით — ქართველური ფუძემან, 3) მის სამხრეთით — სემიტური ენა. სწორედ იმდროინდელი (აბასწლოვანი) მეზობლური ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ამჟამად სრულიად განსხვავებული ოჯახის ენებში საერთო მოვლენების არსებობა. ამ კონტაქტებს ამტკიცებს ნასესხები სიტყვებაც. მაგალითად, **თ. გამყრელიძისა** და **ვ. ივანოვის აზრით**, ინდოევროპული ფუძემანდან ქართველურ ფუძემანში შემოსულა შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ღვინო* უღვლი, ეშვი, მატლი, თხა, თიხა, სისხლი, მკერდი, ექვსი, ოთხი, ქმარი, დევა (დაღო), ალაგია, კრეფა და ა. შ. დადასტურებულია პირველ შემთხვევებშიც.

შემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, თუ როდის უნდა მომხდარიყო პრეინდოევროპულთა მიგრაცია.

* თუმცა სხვა ვარაუდით, სიტყვა ღვინო შეიძლება ქართულიდან იყოს მიღეს მსოფლიოში გავრცელებული (ვ. წერეთელი).

მეცნიერული კვლევით დადგინდა, რომ V—IV ათასწლეულში წინა აზიაში მიგრაციის რეალური დასახლებული: დასავლეთ ირანში ცხოვრობდნენ ელამურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები, მესოპოტამიაში — შუმერები, სემიტები, ჩრდილოეთით — ხეთები, ხოლო ისტორიული ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში — ჩვენი წინაპრები. ამან აიძულა ინდოევროპელები მიგრაციისათვის მიემართათ.

ჩანს, უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში პრეინდოევროპელების ნაწილი ინდოეთში შევიდა (მათი თანდათან შეავიწროეს ადგილობრივი მკვლარნი — დრავიდები), დანარჩენები კი ბალკანეთის გავლით განსახლდნენ სხვადასხვა დროს მეტად დიდ ტერიტორიაზე როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით.

„გლოტალური თეორიის“ მიზნებით დასტურდება, რომ, რაკი თვით ბერძნებიც აქედან არიან წასულნი, წინა აზია არის არამარტო ფუძემდებლის სამშობლო, არამედ საერთოდ თანამედროვე ცივილიზაციის აკვანა.

ფუძემდებთა დაშლა და მათს დიალექტებზე მოლაპარაკე ხალხების მიგრაცია, ცხადია, ნაშნავდა წინააზიური კულტურის გავრცელებასაც ევრაზიის სხვადასხვა რეგიონში.

ქართველები სხვა ხალხებთან ერთად უძველესი ცივილიზაციის თანაზიარნი არიან.

ლიტერატურა

თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი — ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, თბ., 1985 (რუს.).

თ. გამყრელიძე, გ. შაქვარიანი — სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1970.

ვ. შაქვარიანი — საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.

გ. მელიქიშვილი — საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

გ. ნეზიერიძე — „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (რეცენზია თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ასევე სახელწოდების წიგნზე); დროშის ბიბლიოთეკა, 1987, № 3.

გ. როგვა — ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

არნ. ჩიქობავა — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

არნ. ჩიქობავა — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება; ქაგლ. I, 1950.

მ. ძიძიგური — ქართული ენის თავიდაობა, თბ., 1969.

ივ. ჯავახიშვილი — ქართული და კავკასიური ენების თვითაპირული ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

ქართული ენის ზოგადი დახასიათება
მ. ძიძიგურის ქართული ენის თავიდაობის შესახებ
ივ. ჯავახიშვილის ქართული და კავკასიური ენების თვითაპირული ბუნება და ნათესაობა



უკველესი ქართული წერილობითი ძეგლები

ქართველი ერის ისტორიაში განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება უძველეს წერილობით ძეგლებს, რომელთა საშუალებით ირკვევა ქართველთა ყოფა და შემოქმედებითი ცხოვრება შორეულ წარსულში, რომელთა მეოხებითაც მოვლს მსოფლიოში ცნობილი გახდა მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურა, თვისობრივად გამორჩეული ქართული ანბანის უძველესი ისტორია, ჩვენი ხალხის წარმართული და ადრექრისტიანული კულტურა.

ქართველ ერს მოეპოვება მრავალფეროვანი უძველესი წერილობითი წყაროები: ეპიგრაფიკული ძეგლები (მათი ნაწილი, აღბათ, თვლემს ქართული მიწის წიაღში), ხელნაწერი ტექსტები (რომელთა დიდი ნაწილი ინახება მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში) და უძველესი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებანი.

I. ეპიგრაფიკული წარწერები

ბოლნისის წარწერები. XX საუკუნის 50-იან წლებამდე პირველ ქართულ წარწერად მიჩნეული იყო ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერები, რომლებიც თარიღდებოდა 492 — 493 წლებით.

სიონის ტაძარში აღმოჩნდა ოთხი წარწერა. ამათგან სამი უძველესადაა ჩათვლილი, ესენია:

I. „შეწვენითა ქრისტესითა მე ფარნავაზ და აზარუსტ შეხებათ ესე კარი სალოცველად სულთა ჩვენთათჳს“.

II. „ქრისტე დავით ებისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკ“

ლესიასა შინა შენდა მიმართ თაყვანის-მცემელნი შეიწყალენ და (მშრომე)ლთა ამას ეკლესიასა შეხეწიე ი ი“.

III. შეწევნითა წ დ] ისა სამებზაათა ოც წლის (სა) პეროზ მკ-
თი (სა) ზეობასა და ზილვა საფუძველი) ამის ეკლესიასა და აბხუთ-
მეტ წლი[სა შემდგომად].

[განხეშორა ვი] ნ აჟა შინა თაყვანისხცეს დ ნ შეიწყალენ და ვინ ა
[მის ეკლესიასა] [მაშენებელსა და თე] ებისკოპოსსა ხულოცის
იგაცა დ ნ შეიწყალენ“.

წარწერა დაზანებული ყოფილა, თითქმის ნახევარი აკლდა და
იგი ამგვარად აღადგინეს მეცნიერებმა.

IV. „ჩორან, ქრისტე, შეიწყალენ ცოლ-შვილითურთ“.

ეს უძველესი წარწერები კვლავ შემოწმდა სპეციალისტების მი-
ერ და დაწერის თარიღიც სხვადასხვა განისაზღვრა. ზოგი მას 478
493 წლებით ათარიღებს (ე. მაკავარიანი, მ. მდებრიშვილი), ზოგი კი
ერთ-ერთ მათგანს 357-ისა და მეორეს — 392 წლებისად მიიჩნევს
(რ. პატარიძე).

პალესტინის წარწერები. 1950-1952 წლებში იტალიელი არ-
ქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ ჩატარებული არქეოლოგიური
დათხრების დროს პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახ-
ლობლად, აღმოჩნდა ქართული მონასტრის ნანგრევები საჰა ქარ-
თული წარწერითურთ. ერთი წარწერა მოღწეულია დაუზიანებლად.
მეორე და მესამე კი — ფრაგმენტების სახით.

ეს წარწერებია:

I. „შეწევნითა ქ სითა და-მ-ეოხებითა წმიდისა თ გ სითა შ ნ
ანტონი აბაა და იოსია მომხმელი ამის სეფისაი და მამა-ღედაი
იოსიასი ამენ“.

II. „წმიდაო თეოდორ-ე მარ (უა)ნ და ბურზ(ე)ნ შეიწყალენ
ამენ(ნ)“.

III. „და ძუძუელნი მ-ათნ- ბა-კურ და გრი-ორმ-იზღ და ნ-ამშო-
ბნი მ-ათნი ქ ე შეიწყალენ, ამენ“.

მეცნიერთა აზრით, პირველი წარწერა თარიღდება 532—552
წლებით, მეორე და მესამე კი გაცილებით აღრინდელია და შესრუ-
ებ

ღებულები უნდა იყოს V საუკუნის I ნახევარში, დაახლოებით 440-იან
წლებში (ე. მაკავარიანის მიხედვით — 433 წელს).

დავითის ქვაკვარი. 1984 წელს ღუშეთის რაიონის სოფელ და-
ვათში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. აღმოჩნდა ღვთისმშობ-
ლის ეკლესიაში ჩაშენებული ქვა-სტელა უძველესი ქართული წარ-
წერებით.

შველევართა მიხედვით, ეკლესია აშენებული უნდა იყოს არა
უგვიანეს 419 წლისა*. დავითის ქვაკვარი ქართული კულტურის
უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მას სწავლობენ სხვადასხვა პროფილის
სპეციალისტები (ისტორიკოსები, თეოლოგები, არქეოლოგები, მა-
თემატიკოსები, ენათმეცნიერები...).

სტელა შედგება ორი მონაკვეთისაგან: პირველზე (ზედა ნაწილ-
ზე) გამოსახულია ორი მთავარანგელოზი: მიქაელი (აწერია ქარაგ-
ნით) და გაბრიელი. დიდებულთა საკადრის სამოსში საზეიმოდ გა-
მოწყობილ მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ გრაგნილი, რომელ-
ზედაც ამოკაწრულია ქართული ასომთავრული ანბანი. ასოები გან-
ლაგებულია ექვს სტრიქონად.

ქვედა მონაკვეთზე წარმოდგენილია ორი პიროვნება—ორი ხე-
ლისტული. რაკი მთავარანგელოზები ფრთებდაშვებულნი არიან,
ჩანს, ისინი ქვემოთ გამოსახულ პიროვნებებს აუწყებენ ღვთის ნე-
შის (ღვთის გადაწყვეტილებას).

დავითის სტელაზე ძირითადად დასტურდება ორი თარიღი—284
და 311. აქედან პირველი (ძვ. წ. 284) არის ფარნავაზის მიერ ოფი-
ციალური სახელმწიფო დამწერლობის შემოღების წელი, მეორე
(ან. წ. 311) კი — ქართული დამწერლობის აღორძინების თარიღი.

დავითის სტელაზე ამოკაწრული ანბანი მოაჩინათ 367 წელს შე-
სრულებულად,** ხოლო მთლიანად ქვაკვრის გამოსახულებას ათა-
რიღებენ 362 — 381 წლებით.

დავითის სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანის სრულყოფილ
კორპუსთან ერთად გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობ-
ის აღორძინების თავისებური სცენა.

ქვაკვრის მიზანი უნდა იყოს ქართული მწიგნობრობისა და წიგ-
ნის მთლიანად ჩაყენება ქრისტიანული ეკლესიისა და ქვეყნის სამ-
სახტრში.

* ზოგი შველევარი მას VI საუკუნითაც ათარიღებს.
** ე. სილოგავას აზრით, ანბანი IX — X საუკუნისად შეიქმნა დათარიღდეს.

რ. პატარიძის აზრით, დავათის ქვაჯვრის ხატი და „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ იგივეობრივი შინაარსის ძეგლებია, ორივე მათგანით ირკვევა, რომ ქართული წულთაღრიცხვა თავის დღესამს ფარნაევს მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შემოღების დროიდან იღებს.

დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ანბანის ამოღებისა და განდიდების სცენას თემატურად უკავშირებენ ბრდაძორის სტელას (VI ს.), რომელზედაც გამოხატულია იკონოგრაფიულ პრაქტიკაში არანაკლებ უჩვეულო თემა — ამოღება და განდიდება სუღარაში გახვეული ლაზარესი. ამ სტელაზე მიქაელ მთავარანგელოზი საყვირით ამცნობს კაცობრიობას მეორედ მოსვლის დღის დადგომას.

დავათისა და ბრდაძორის სტელებზე გამოსახული სცენები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ უდიდების შარავინდელში ერთგან ქართული ანბანია, მეორეგან — ლაზარე. ორივე სტელაზე შერწყმულია ორი სიმბოლო — ლაზარესი (ქრისტეს მგობრობისა) და იდეა ქართული ენის აღორძინებისა ლაზარესთან გაიგივებით (ავთ. იოსელიანი).

2 ხელნაწერი ტექსტები

ძველი ქართულის უძველესი ხელნაწერი ტექსტები იყოფა ხანჯუფად: ხანმეტი, პეშმეტი და სანნარევი (ეს დაყოფა ემყარება მეორე სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნებს). ამჯერად დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

ხანმეტი ტექსტები. ხანმეტი ტექსტების უმრავლესობა საქართველოშია დაცული. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქართულ-ებრაული პალიმფსესტი*.

ქართული ხელნაწერი შედგენილი უნდა იყოს V—VI საუკუნე-თა მიჯნაზე** იერუსალიმში. შემდეგ ეს წიგნი მოხვედრილა ებ-

* „პალიმფსესტი“ ბერძნული სიტყვაა. იგი ნიშნავს „კვლავ გადაფხვკოს“. პალიმფსესტი ისეთ ხელნაწერს ჰქვია, რომელსაც ხელახლა იყენებენ საწერად.

** ივ. ჯავახიშვილმა იგი VI—VII საუკუნისად მიიჩნია, მაგრამ ტექსტის ხელახალი გაშიფვრით ერთი საუკუნით ადრინდელი აღმოჩნდა.

რაელების ხელში. მათ იგი დაუხვევიათ (უფრო სწორად: ორად გაუკეცავთ) და გამოუყენებიათ თავიანთი წიგნისათვის — თალმუდის ტექსტისათვის.

დაახლოებით XI საუკუნეში უქცევიათ ებრაელებს ქართული ხელნაწერი პალიმფსესტად, რომელიც XIX საუკუნის ბოლომდე ინახებოდა ეგვიპტეში, კაიროს სინაგოგის გენიზაში (ხელნაწერთა საწყობში).

* XIX საუკუნის მიწურულში გენიზის ხელნაწერები გაუტანაათ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ბიბლიოთეკაში, მუზეუმში.

შემოღასახელებული პალიმფსესტის ერთი ფურცელი მოხდა ინგლისში — ზოდლეიანის ბიბლიოთეკაში, სხვა ოთხი ფურცელი — კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სამი ნახევი კი — ბრატონის (ლონდონის) ბიბლიოთეკაში. * პალიმფსესტის სხვა ფურცლების ბედი უცნობია.

1897 წელს ოქსფორდიდან დოქტორმა ნეიბაუერმა ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ერთი ფურცლის (ორი გვერდის) ფოტოპირა გამოუგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში ნიკო მარს. * მარსმა მაშინვე ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება ამ ფოტოპირს და იგი შესასწავლად გადასცა ებრაულის მკვლევარს — კოკოცოვს.

* გამოიჩქეა, რომ ეს ფურცელი იყო თალმუდის უძველესი ნუსხა, * (ხელის მიხედვით XI საუკუნისად მიიჩნის). მართალია, კოკოცოვი ქართულის მკვლევარი არ იყო, მაგრამ მიუთითა: პალიმფსესტზე ქართული ნაწერი ებრაულზე ძველი ჩანსო.

* კოკოცოვმა თავისი ნაშრომი ამ ხელნაწერის შესახებ გამოაქვეყნა 1899 წელს. ამ დროს ივ. ჯავახიშვილი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი, * რომელსაც კოკოცოვი უკითხავდა ასურულს. ნიჭიერ სტუდენტს — ივ. ჯავახიშვილს მასწავლებელმა აჩუქა თავისი შრომის ამონაბეჭდი პალიმფსესტის ფოტოპირიანად. * მაგრამ მაშინ ივ. ჯავახიშვილმა ამ ხელნაწერის წაკითხვა ვერ შეძლო და ტექსტი კვლავ დარჩა ქართველთა ყურადღების გარეშე.

ივ. ჯავახიშვილმა მოგვიანებით, დაახლოებით 20 წლის შემდეგ გაშიფრა შემოაღნიშნული პალიმფსესტის ნაწყვეტი. რომელიც შეიცავდა იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტი ტექსტის ნაწილს. მასში პეშმეტი ფორმაც დადასტურდა.

* ამ ძეგლის აღმოჩენით ახალი ეტაპი დაიწყო ქართული ხელნა-

წერტომცოდნეობის ისტორიაში. ამევე დროს ცხადი გახდა ისიც, რომ V საუკუნეში ბიბლია ქართულად ნათარგმნი უნდა ყოფილიყო.

ხანმეტი ლექციონარი. VII საუკუნის II ნახევარში პალესტინაში შექმნილი ხელნაწერი — ხანმეტი ლექციონარი* X საუკუნიდან ინახებოდა სინის მთაზე, ეკატერინეს სახელობის მონასტერში. 1883 წელს ალ. ცაგარელს აღუწერია იქაური ხელნაწერები. მათ შორის ხანმეტი ლექციონარიც (29 ფურცელი ყოფილა), მაგრამ მალე იგი სხვა ხელნაწერებთან ერთად გაუტანიათ ევროპის ქვეყნებში.

* ხანმეტი ლექციონარი ეკონმე მხატვრისაგან (ბილიხისაგან) შეუქმნია ცნობილ ქართველოლოგსაჰუგო შუხარდტს, რომელსაც მანამდე ხელთ ჰქონია სხვა ოთხი ქართული ხელნაწერიც: მეცნიერს ისინი შეუსწავლია და XX საუკუნის დასაწყისში კიდევ დაუწერია შრომა „ცნობები ქართული ხელნაწერის შესახებ“. მხოლოდ ამ შრომით გახდა ცნობილი ქართველებისათვის ხანმეტი ლექციონარის არსებობა.

შუხარდტის კოლექციის ქართული ხელნაწერები დაცულია ვენის უნივერსიტეტში, საიდანაც ა. შანიძემ მიიღო მათი ფოტოკოპირები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხანმეტი ლექციონარის 2 ფურცელი ევროპაში გატანისას დაკარგულა. მაგრამ დღეისათვის ისინიც აღმოჩენილია: ერთი ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში, მეორე — ინგლისში, ბარშინგეში.

* ა. შანიძის გამოკვლევით, ხანმეტი ლექციონარში დასტურდება შეიდი ჰემეტა ფორმაცია.

ხანმეტი იაკობის პროტოვეანგელე. 1970 წელს კ. ბერდულომა გამოაქვეყნა მანამდე უცნობი ხანმეტი ტექსტი — იაკობის პროტოვეანგელე. ძველი დაცულია ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ქართული კულტურის ისტორიაში განუზომელია ამ ხელნაწერის მნიშვნელობა, რამდენადაც იგი არის სუფთა ხანმეტობის ამსახველი (არცერთი შემთხვევა არაა ხ-ს კლებისა და ჰ-ს ხმარებისა). ძველი VII საუკუნით თარიღდება.

* ლექციონარი ეწოდება კრებულს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ამოკრებილი საკითხავებისას.

მადიშის ოთხთავი. ხელნაწერი შექმნილია 897 წელს გამოჩენილი შატბერდელი მოღვაწის სოფრონის შეკვეთით. გადამწერია მიქაელე.

მადიშის ოთხთავი XI საუკუნემდე (ზოგი ცნობით: XVI საუკუნემდე) შატბერდში ინახებოდა. შემდეგ იგი სხვა ხელნაწერებთან ერთად სვანეთში აუტანიათ და თითქმის 400 წელი დაცული იყო მესტიის რაიონის სოფელ მადიშში, ბოლოს კი დაჰკვივრდა მესტიის მთარგმნეობის მუზეუმში.

მადიშის ოთხთავი ერთდერთი ნამდვილი ჰემეტა ტექსტია. ხელნაწერი გადაწერილია ჰემეტა დედნიდან, მაგრამ ისე, რომ იმ დროისათვის გადაწერის უკვე ზედმეტად ქცეული პრეფიქსი ხმოვნების წინ აღარ ლხმარია, გამოუტოვებია. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში მექანიკური შეცდომა მოხვლია და ჰ მაინც დაუწერია, შერე შეცდომა თვითონვე შეუნიშნავს და ჰ ამოუფხეცია. სწორედ ასეთი „შეცდომებით“ დგინდება, რომ დედანი ნამდვილად ჰემეტა იყო.

სინური მრავალთავი. ეს ხელნაწერი არის პირველი თარიღიანი ტექსტი. გადაწერილია 864 წელს იერუსალიმში. საბაწმინდის ლავრაში. ხელნაწერი შემდეგ შეუწერავეთ სინის მთის მონასტრისათვის და დღესაც იქვეა დაცული. სინური მრავალთავის გადამწერია ვრ. ხაჩატურის მოწაფე მაკარი ლეთეთელი.

მრავალთავი დიდი მოცულობის წიგნია: შეიცავს 275 ფურცელს, მასში შესულია 18 ავტორის 50 ნაწარმოები (სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი თხზულებები).

მრავალთავი დაწერილია მშვენიერი მრგვლოვანიო. მარტო ანდერძის ნაწილია ნუსხურით შესრულებული. ეს არის ნუსხური ანბანის პირველი და უძველესი ნიმუში.

ხელნაწერი საყურადღებოა თავისი მდიდარ ლექსიკითა და არქაული გრამატიკული ფორმებით. მასში შეინიშნება ხანმეტობის კვალიც, რაც იმას ადასტურებს, რომ მრავალთავში შეტანილ თხზულებათა ნაწილი ხანმეტი დედნიდანაა გადმოწერილი.

1950 წელს სინის მთასა და იერუსალიმს ეწვივნენ ამერიკელი მეცნიერები, რომელთაც გადაიღეს იქაურ ხელნაწერთა მიკროფილმები. სწორედ მათი მეშვეობით 1955 წელს მიიღო საქართველოს მეცნიერებთა აკადემიამ სინური და იერუსალიმური ქართულ ხელნა-

ლაზარე. ქრისტე მივიდა მის საფლავთან, ქვა გადაავიწყებინა და უბრძანა ადგომა. ოთხი დღის დამარხული ლაზარე გაცოცხლდა. ლაზარე წარმართი იყო, მაგრამ მან ნათელილო და ქრისტეს მცნებას ეზიარა, რაკი იგი ქრისტემ აღადგინა შვედრეთით.

ქართული ენა ლაზარეა. ლაზარესთან გაიგივებით, „ქებაჲს“ ავტორი გვამცნობს, რომ წარმართული ქართული დამწერლობა (ფარნავაზის მიერ შემოღებული სახელმწიფო დამწერლობად) მომდევნო ხანაში დასუსტდა და მოკვდა, მაგრამ მირიანის შეფობის დროს იგი ხელახლა აღდგა (აღორძინდა), როცა ნათელილო, ე. ი. როცა საქართველოში ქრისტიანობა შემოვიდა (ეს გვამცნო დავათის სტელამაც).

რაკი „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, ქართული ენა კაცობრიობას აუწყებს ქრისტეს მეორედ მოსვლის საიდუმლოს, ხოლო ქრისტე ღმერთი მსოფლიოს განიკითხავს ქართული ენით. ამდენად, თხზულების ავტორი ქართულ ენას ანიჭებს მესიანისტურ მნიშვნელობას:

ზ. გამსახურდიას აზრით, „ქებაჲს“ ავტორი ქართულ ენაში უთუოდ გულისხმობდა ქართველ ერს, ქართველ ეთნოსსაც.

ლიტერატურა

ავთ. იოსელიანი — ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები თბ., 1990.

კ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960.

ნ. ლომოური — კვლავ ბოლნისის დათარიღებისათვის: „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1985, № 3.

ე. მაქავარიანი — ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბ., 1985.

გ. ნარსიძე — „ქებაჲს“ ისტორიული პარალელები: „მნათობი“, 1986, № 4.

გ. ნარსიძე — დავითის ქვა-ჯვარი: „მნათობი“, 1987, № 4. 8.

შ. ნუცუბიძე — პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები: „მნათობი“, 1959, № 1.

რ. პატარიძე — „ქება ქართულისა ენისა“: „მნათობი“, 1987, № 1.

რ. რამიშვილი — არქეოლოგიური კვლევა-ძიება არავკის ხეობაში: „მნათობი“, 1987, № 8.

ზ. სარჯველაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

გ. წერეთელი — უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

ზ. კუმბურიძე — ქართული ხელნაწერების კვლევა-ძიება, თბ., 1983.

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა

1. მსოფლიოს ანბანური სისტემები. ფინიკიური ანბანი და მისი განშტოებანი

ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისა და ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემაა. მასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც.

დღეს მსოფლიოში ითვლიან 5651* ენას. აქედან 4 ათასზე მეტი მოქმედია.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მსოფლიოში 14 ანბანური სისტემაა, ესენია:

- 1) ლათინურის საფუძველზე შედგენილი ანბანები,
- 2) სლავურ-კირილურ საფუძველზე შედგენილი ანბანები,
- 3) არაბულის საფუძველზე შედგენილი ანბანები,
- 4) ინდური მარცვლოვანი დამწერლობის საფუძველზე შედგენილი ანბანები,
- 5) ჩინეთის ლოგოგრაფიული (იდეოგრაფიული) დამწერლობა,
- 6) იაპონური იდეოგრაფიული დამწერლობა,
- 7) კორეული ბგერობრივი დამწერლობა,
- 8) ეთიოპიური მარცვლოვანი დამწერლობა,
- 9) ბერძნული,
- 10) ქართული,
- 11) სომხური.
- 12) ებრაული,
- 13) სირიული,
- 14) მონღოლური (ჩინეთის მონღოლეთში).

ამ ბოლო ხანს ზ. კუმბურიძემ მსოფლიოში 12 ანბანის არსებობა აღნიშნა. იგი დამოუკიდებელ ანბანებად არ თვლის ინდურსა და ეთიოპიურს.

ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში დამწერლობის ან-

* გერმანიაში გამოსული „ლინგვისტიკური ცნობარის“ მიხედვით.

შანური სისტემა პირველად შექმნეს ჩრდილო სემიანებმა — ფინიკი-
ელებმა ძვ. წ. XV — XIV საუკუნეებში. ეს ანბანი შედგებოდა 22
თანხმოვნისაგან, რომლებიც გადმოსცემდა 27 კონსონანტურ ბგე-
რას, ე. ი. თანხმოვანს, იწერებოდა და იკითხებოდა მარჯვნიდან
მარცხნივ.

ფინიკიური ანბანი ძველი ებრაელის წინაპარია. მის შემქმნე-
ლად ითვლება ვინმე პალამიდე. ფინიკიურმა ანბანმა ახალი წელ-
თაღრიცხვის დამდგამდე იარსება.

ფინიკიური დამწერლობა საფუძვლად დაედო მის ორ ძირითად
განშტოებას: დასავლეთში — არქაულ ბერძნულს, აღმოსავლეთში
— სემურ-არამეულს. ორივე ეს ანბანი შექმნილი უნდა იყოს
დაახლ. ძვ. წ. X — IX საუკუნეებში.

უფრო მოგვიანებით, ძვ. წ. 403 წელს, არქაული ბერძნული ან-
ბანის საფუძველზე შეიქმნა კლასიკური ბერძნული დამწერლობა.
ბერძნებმა დაუშატეს ხმოვნები, რითაც ფინიკიურისაგან მომდინარე
მხოლოდ თანხმოვნებიანი ანბანი ვოკალიზებული გახადეს, შეცვალ-
ლეს წერის მიმართულებაც მარცხნიდან მარჯვნივ. სწორედ ეს ან-
ბანი გახდა ამოსავალი ლათინურისა, საიდანაც სათავეს იღებს გერ-
მანული ანბანები.

შეორეს მხრივ, არამეული ანბანი დაედო საფუძვლად აღმოსავ-
ლურ ანბანებს — არაბულს, ებრაულს, სირიულს. დღესაც აქ წყ-
რის მიმართულება უძველესი ფინიკიური ანბანის მიხედვითაა —
მარჯვნიდან მარცხნივ.

შოხმარების თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებულია ლათინუ-
რი ანბანი. იგი გამოიყენება ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნებში,
აღრიკის სახელმწიფოა ლიდ ნაწილში, აზიის ზოგიერთ ქვეყანაში —
თურქეთში, ინდონეზიაში.

ლათინურის შემდეგ მოდის არაბული, რომლის საფუძველზე შე-
დგენილი ანბანები იხმარება როგორც არაბეთის ქვეყნებში (ეგვიპ-
ტე, სირია, ლიბანი, იორდანია, მაროკო, ტუნისი, ერაყი), ისევე
ირანში, ავღანისტანში, ჩინეთის ნაწილში.

2. ისტორიული ცნობები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია ქართული ანბანის წარ-
მოშობის სამი ცნობა:

1) XI საუკუნის მემატიანის ლეონტი მროველის მიერ „ქართლის
სიგურბაში“ აღნიშნულია: „ამან [ფარნავაზმა] განავრცო ენა ქარ-
ული... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (იხ. ზემოთ).

2) V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში
„ისტორიის ცხოვრება და მოღვაწეობა“ დატულია ცნობა, რომ მეს-
სი მასტოცმა (ცხოვრობდა 361 — 440 წლებში) შექმნა სომხური
დამწერლობა, მანვე გამოიგონა ქართული და ალბანური (ალვანუ-
რი) დამწერლობები.

3) ტრადიციული ცნობის მიხედვით, ქართველებს ფარნავაზამ-
ვეც მკონიათ დამწერლობა. იგი შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს
ბრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე: „არა უწიგნო-
ბი იყვნენ ქართველნი უამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე. წერიდნენ
იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი ქურუმთა მიერ, რომელთაც
ხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერბთა მოღვდე-
ლი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი
არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი ხუცესნი პირველსა
მთა ქმნილ არს წერილისაგან ებრაელისა და ქალდეურისა და
სგაესცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“*

ამ ისტორიული ცნობებისა და სხვა წერილობითი წყაროების გა-
თვალისწინებით შემუშავდა ქართული ანბანის შექმნის რამდენიმე
თეორია, რომელთაგან ძირითადია სამი: ბერძნულ-სომხური, ბერძ-
ნული და სემური.

3. ქართული დამწერლობის წარმოშობის თეორიები

ბერძნულ-სომხური თეორია

ქართული ანბანის წარმოშობის ბერძნულ-სომხური თეორია
ქვეყნში ჩამოაყალიბა აკად. გ. კეკელიძემ. იგი, პირველ ყოვლისა,
არწმუნოდ არ მიიჩნევდა ლეონტი მროველისეულ ცნობას ფარ-
ნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ.

* სამწუხაროდ, ეს ცნობა მივიწყებული იყო მანამ, სანამ გ. შარაძემ არ მიაკ-
ლია თ. ბაგრატიონის შრომებში. თ. ბაგრატიონს იგი ამოუწერია ანტონ II კო-
ნსტანტინოპოლისის კუთვნილი წიგნიდან „მატიანე შემეცნებათა“ და გამოუყენებია
(მთლიანად შეუტანია) თავის შრომაში.

1836 წელს მარი ბროსემ ფრანგულად გამოაქვეყნა თ. ბაგრატიონის ნაშრო-
მი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, სადაც მოიპოვება ზემოაღნიშნული
ცნობაც.

მეცნიერის აზრით, ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს ქრისტიანულ ხანაში ბერძნული და სომხური ანბანების საფუძველზე სომეხი მესრობ მანუტოცის მონაწილეობით. ამასობა, რომ ქ. კეკელიძე ამ თვალსაზრისის შემუშავებისას ეყრდნობა კორიუნის ზემოაღნიშნულ ცნობას და იზიარებს მას უკრიტიკოდ, მაგრამ შემდგომ, როცა ივ. ჯავახიშვილმა დაასაბუთა კორიუნის ცნობის უსაფუძვლობა, ქ. კეკელიძე ქართული დამწერლობის წარმოშობაზე მსჯელობისას აღარ ასხენებდა სომხურ ვერსიას. სამაგიეროდ, ბოლომდე სწამდა, რომ „იმ ჰიპოთეზებიდან, რომელნიც ჩვენში თუ საზღვარგარეთ წამოუყენებიათ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, უფრო მისაღებია ის, რომელსაც ეს ანბანი ბერძნულისაგან გამოჰყავს“.

ქართული ანბანის ბერძნულთან გენეზისური კავშირის დასაბუთებად ქ. კეკელიძე ეყრდნობოდა შემდეგ ფაქტებს:

- 1) საწერი იარაღის სახელწოდებანი (მელანი, კალამი, წიგნი) ქართულში ისეთივეა, როგორც ბერძნულში*;
- 2) ხმოვანი ასოები აქვს ქართულსაც და ბერძნულსაც;
- 3) ორივე ენაში ვკითხულობთ და ვწერთ მარცხნიდან მარჯვნივ;
- 4) ასოების რივი და თანმიმდევრობა ქართულში ბერძნულს მსგავსია;
- 5) ქართულ ასოებს დაუცავთ ბერძნული ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა;
- 6) ასოთა მოხაზულობაშიც შეიმჩნევა მსგავსება.

ზოგმა მეცნიერმა იმთავითვე არ ვაიზიარა ქართული ანბანის წარმოშობის ბერძნულ-სომხური თეორია. მისი უსაფუძვლობა პირველად დასაბუთა ივ. ჯავახიშვილმა. მან დაწერილებით შეისწავლა კორიუნის ზემოაღნიშნული თხზულება და მიუთითა, რომ კორიუნის შრომაში მანუტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსიის ბერძნული, კერძოდ, VI საუკუნის დამლევის ჩანართია.

ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **ლაზარი ფარპელი**, რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას, მანუტოცს მიიჩნევს მხოლოდ და მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად. ამის შესახებ ასევე არაფერია ნათქვამი სომეხი ისტორიკოსების **ფავსტოს ბუზანდისა (V ს.)** და **მხითარ აირივანელის**

* „წიგნი“ ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვაა. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა „ასოს“, „ნიშანს“. მოგვიანებით მიიღო წიგნის მნიშვნელობა (ქ. კეკელიძე).

(XIII ს.) ნაშრომებში. პირიქით, აირივანელი ქართული დამწერლობის შემქმნელად ფარნავაზს ასახელებს.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ბერძნულ-სომხური თეორიის მცდარობისა კიდევ უფრო სარწმუნო გახდა თანამედროვე სპეციალისტთა მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად.

სომხური წყაროების წინააღმდეგობანი და მერმინდელითა კარგად არის შესწავლილი **წ. ალექსიძის** მიერ, ხოლო **ალ. აბდალაძემ** გაარკვია, თუ როდის და რა პირობებში შეიძლება ჩამატებულია კორიუნის შრომაში ქართული ანბანის შექმნის მანუტოცისეული ვერსია. კერძოდ, აღნიშნულია, რომ, როცა 428 წელს სომხეთის სამეფო გაუქმდა, სომხეთის ეკლესიის კათალიკოსი საპაკისა და მესრობ მანუტოცის მეთაურობით აქ დიდი მოძრაობა დაიწყო, რათა ქვეყანა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისაგან ეხსნათ. მათ უნდოდათ დაერაზმათ სომეხი ხალხი ვაერთიანებისათვის, რადგან სპარსელები და ბიზანტიელები საფრთხეს უქმნიდნენ სომეხი ერის არსებობას. კორიუნის ცნობით, მანუტოცს ამ მიზნით უმოგზაურია დასავლეთ სომხეთშიც, სადაც მოსახლეობას სომხურ წერა-კითხვასაც ასწავლიდა. სწორედ ასეთი საქმიანობა უნდა გავჩაღებინათ სომხებით დასახლებულ ქართლში, გუგარეთშიც. რადგან გუგარეთი ქართლის კუთვნილება იყო, ნებართვის ასაღებად, ეტყობა, მანუტოცი ეახლა ქართლის მეფეს. სომეხი მემკვიდრეების ცნობებში ისიცაა ნათქვამი, რომ მანუტოცს ორჯერ უმოგზაურია ქართლსა და ალბანეთში*.

მართალია, მანუტოცის მოღვაწეობა საპაკთან ერთად სარწმუნოების განმტკიცების მიზანს ისახავდა, მაგრამ მოგვიანებით მისი სახელი უფრო ანბანის შექმნას დაუკავშირდა. ქართლსა და ალბანეთში მისი მოგზაურობაც თავისებურად გამოიყენეს ტენდენციურად განწყობილმა სასულიერო წრეებმა და, ალბათ, ამის საფუძველზე კიდევ შეთხზეს ლეგენდა მესრობის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შედგენის შესახებ. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით VII საუკუნის დასაწყისში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სომხური ეკლესიები (სომხური ეკლესია კი წინ წაშორიწია სპარსეთის მიერ და უპირატესობით სარგებლობდა ქართულ

* ალბანელები იყვნენ დასავლეთ კასპისპირეთის ბინადარი უძველესი ტომები. ვარაუდობენ, რომ მათი ენა იყო უდიურო (დაღესტნური შტო).

და ალბანურ ეკლესიებთან შედარებით). აი, სწორედ ასეთ ვითარებაში შაჰისა და არაბების წაქეზებით გაძლიერებული სომხეთის მემკვიდრე მწერლებს შეეძლოთ მოეგონებინათ ზოგიერთი არარსებული რამ, რითაც დაუმტკიცებდნენ მომავალ თაობებს თავიანთ უპირატესობას. ამისათვის კი ყველაზე სასარგებლო იქნებოდა მამულოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია, რადგან მწიგნობრობა და ანბანი ქრისტიანობის გავრცელების მძლავრი იარაღი იყო.

მამულოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის უსაფუძვლობა დასაბუთეს აგრეთვე სხვა ქართველმა მეცნიერებმა: **რ. პატარიძემ**, **გ. შარაძემ**, **ზ. სარჯველაძემ**... მამულოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა დაუპყრებელია იმ მიზეზითაც, რომ მას ქართული არ სცოდნია (ასევე არ სცოდნია ალბანური ენაც). და, საერთოდ, ანბანის შექმნა ისეთ დიდ მომზადებას მოითხოვს, რომ შეუძლებელია V საუკუნის დასაწყისში ერთ კაცს შეექმნას სამი სხვადასხვა სისტემის ენისათვის არსებითად განსხვავებული დამწერლობები. უკანაყნელ ხანებში ისიც გაირკვა, რომ სომხური ანბანის შემქმნელი სირიული და ბერძნული დამწერლობების გარდა იცნობდა და იყენებდა ქართულ ანბანს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეგებ კორიუნის შრომის თავდაპირველ ვარიანტში იყო მითითება იმის შესახებ, რომ მამულოცმა ქართული ანბანიც გამოიყენა, ხოლო შემდგომში ეს ცნობა ამოიღეს და ჩაუტრეს ლეგენდა მამულოცის მიერ ქართული ანბანის შექმნისა.

და მაინც დღეს ქართული ანბანის შექმნის სომხურ ვერსიას გზობებს ბევრი სომეხი სპეციალისტი, აგრეთვე, მრავალი არემენოლოგი როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

ქართული დამწერლობის წარმომავლობის კვლევის დღევანდელ ეტაპზე ჩვენში ბერძნულ-სომხურ თეორიას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ბერძნული თეორია

თანამედროვე ლინგვისტიკაში გამოკვეთილია და ერთმანეთს უპირისპირდება ბერძნული და სემური თეორიები.

ქართული ანბანის წარმომავლობის ბერძნული თეორიის ფუძემ-

დებლად ითვლება **კ. გარდტჰაუზენი**. მასი აზრით, ასო-ნიშნების ფონტიკური მნიშვნელობა და თანამიმდევრობა ქართულში ბერძნულის მსგავსია.

საქართველოში ბერძნული თეორია პირველად წამოაყენა **დიმ. ბაქრაძემ**. იგი თვლიდა, რომ ქართული ანბანის რიგი ძველი ბერძნული ასო-ნიშნების რიგს მისდევს; ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნული კულტურის გავლენით ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში, ბევრად უფრო ადრე ფარნავაზამდე.

ბერძნული თეორიის მომხრე იყო **პ. ინგოროვცაც**. იგი წერდა: „ქართული ანბანი გამოთქმავებულია მცირე აზიაში არქაული ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე“.

დღეს კვლავ აქტუალურია ბერძნული თეორია და ბევრი მომხრეც ჰყავს.

გერმანელი ქართველოლოგი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **ვინფრიდ ბოედერი** იკვლევს ქართული ასომთავრული ანბანის წარმომავლობას გრაფიკული თვალსაზრისით. იგი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ქართული ასომთავრული შექმნილია ბერძნულის ანალოგიურად.

ა. შანიძე, მართალია, საგანგებოდ არ შეხებია ქართული ანბანის გენეზისის საკითხს, მაგრამ **გ. წერეთლის** შრომის „არმაზის ბილინგვის“ რეცენზიაში წერდა, რომ ქართული ანბანის შექმნის კვლევისას უთუოდ ანგარიშგასაწევია ბერძნული ანბანის ზეგავლენა.

თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანი მომდინარეობს ბერძნულიდან: „ძველი ქართული ასომთავრულის სისტემური შეპირისპირება სემიტურ დამწერლობასა და ბერძნულ დამწერლობასთან ავლენს ქართული დამწერლობის სტრუქტურულ თანხვედრას არქაულ ბერძნულ სისტემასთან და მის დამახასიათებელ სხვაობებს სემიტურ სისტემასთან შედარებით“.

ზ. სარჯველაძე ბერძნული თეორიის მომხრეა და აღნიშნავს, რომ „ქართული ანბანის ის სახეობა, რომელიც ჩვენამდე არის მოღწეული, ბერძნულს უკავშირდება გენეტურად“.

ქართული ანბანის ბერძნული თეორია სარწმუნოდ მიაჩნია **კ. დანდელაშაძე**.

ქართული დამწერლობის წარმოშობის ბერძნულ თეორიას იმ-
თავითვე დაუპირისპირდა სემური თეორია, რომელსაც იზიარებდა
გერმანელი მეცნიერი ფრიდრიხ მიულერი. იგი თვლიდა, რომ სომ-
ხურ-ქართული დამწერლობა არამეულ-სპარსული ანბანიდან უნდა
იყოს წარმომდგარი. ჩვენში ამ თვალსაზრისის მომხრე იყო ს. გორ-
გაძე („წერილები საქართველოს ისტორიიდან“, 1906 წ.).

ქართული ანბანის წარმოშობის სემური თეორია მეცნიერულ სა-
ფუძველზე ჩამოაყალიბა ივ. ჯავახიშვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშ-
რომში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“
(შემოკლებით — „ქართული პალეოგრაფია“).

მეცნიერმა დაასაბუთა ქართული ანბანის წარმოშობის ბერ-
ძნულ-სომხური თეორიის უსაფუძვლობა და აღნიშნა, რომ ქართუ-
ლი ანბანი სომხურზე გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ანბანის წარმოშობის საკითხის გა-
დაწყვეტა არ შეიძლება მარტო ბერძნულ და ქართულ ანბანთა
რიგის შედარებით, აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ასოთა მო-
ყვანილობა-მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობას. ქართული
ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია, იგი შექმნილი უნდა იყოს
არა უკვიანეს VII საუკუნისა ჩვ. წ.-მდე, მაგრამ შემდგომ, ელი-
ნისტურ ხანაში, არაერთგზის განუცდია ბერძნული მონუმენტური
დამწერლობის გავლენა.

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული სიფრთხილისათვის თავის ამ
შეხედულებას ჰიპოთეზად თვლიდა. იგი ერთ-ერთ დაბრკოლებად
მიიჩნევდა ქრთნოლოგიურსა და ტერიტორიულ დაშორებას შესა-
დარებელ ობიექტებს შორის (სემიტურ სამყაროსა და საქართვე-
ლოს შორის). მაგრამ მალე, 1940 წელს, არმაზის ბილინგვის* აღ-
მოჩენამ ახალი შუქი მოჰფინა ქართული დამწერლობის გენეზი-
სის საკითხს.

მართალია, ივ. ჯავახიშვილი ვერ მოესწრო მის მიერვე აღმო-
ჩენილი ამ დიდმნიშვნელოვანი წარწერის გაშიფვრას (იგი იმავე
წელს გარდაიცვალა), მაგრამ ეს საკმე ბრწყინვალედ შეასრულა

* მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი საფლავის ქვის ეპიტაფია დაწერილია
ბერძნულად და არამეულად.

გიორგი წერეთელმა. მან ამოიკითხა და მეცნიერულად გამოიკვლია
წარწერები და შედეგები ჩამოაყალიბა თავის ფართოდ გახმაუ-
რებულ წიგნში „არმაზის ბილინგვა“.

მეცნიერმა დაადგინა არამეული ანბანის სახეობა, რომელსაც
„არმაზული დამწერლობა“ უწოდა. გ. წერეთლის ნაშრომის ძირი-
თადი დასკვნა ასეთია: არმაზულ და ქართულ ანბანებს უთუოდ
აქვთ საერთო. ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ერთმანეთის მსგავ-
სია. საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: ზოგიერთი ქართული
ასო ამჟღავნებს უფრო მეტ სიძველეს, ვიდრე შესაბამისი არმა-
ზული ასო. მეტიც: ეს ქართული არქაული ნიშნები პროტოტიპია
არმაზული ნიშნებისა, აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ქართუ-
ლი ანბანი არ შეიძლება მივიჩნიოთ არმაზული დამწერლობის
შემდგომ საფეხურად თუ განვითარებად. იგი მონათესავეა არმა-
ზულისა. ორივე ერთად (ქართული და არმაზულიც) მომდინა-
რეობს საერთო წყაროდან — არამეულიდან (როგორც ივ. ჯავა-
ხიშვილი ვარაუდობდა). არმაზულის სახით აღმოჩნდა შეამავალი,
რომლის მეოხებით ქართული ანბანი უშუალოდ დაუკავშირდა
არამეულს.

გ. წერეთელი არმაზის წარწერების აღმოჩენამდეც სემური
თეორიის მომხრე იყო. მისი ვარაუდით, ელინისტურ ეპოქაში
სემურ საფუძველზე წარმოშობილ ქართულ დამწერლობას ქრის-
ტიანულ ხანაში რამდენჯერმე განუცდია რეფორმა ბერძნული
დამწერლობის გავლენით. არმაზის ბილინგვის მეცნიერულმა
კვლევამ გ. წერეთელი კვლავ დაარწმუნა, რომ ქართული ანბანი
გენეტურად უკავშირდება ფინიკიურ-სემურ ანბანს.

ქართული დამწერლობის წარმოშობის სემურ თეორიას მხარს
უჭერს ე. ხანთიბიძე. მას სარწმუნოდ არ მოაჩნია ქრისტიანობის
ეპოქაში ქართული ანბანის შექმნა: ეს ისეთი ფაქტი იყო, რომ
ქრისტიანობის მემბრტიანე აუცილებლად მიუთითებდაო.

დღეს სემური თეორიის ძირითადი დამცველი რ. პატარიძე.
მან ღირსეულად განაგრძო ქართული ანბანის კვლევის ივ. ჯავა-
ხიშვილისეული გზა, ახალი ფაქტებითა და წყაროებით შეავსო
სემური თეორია და დაასაბუთა, რომ ქართული ანბანი არაა ბერ-
ძნულისაგან მიღებული.

რ. პატარიძემ წლების მანძილზე წარმოებული დაუღალავი
კვლევის შედეგები ჩამოაყალიბა წიგნში „ქართული ასომთავრუ-

ლი“. აქ ერთ-ერთი თავი ეძღვნება ქართული ანბანის სტრუქტურას, საკითხის ზუსტი ანალიზისათვის მკვლევარმა ასტრონომებთან, მათემატიკოსებთან, ფიზიკოსებთან, თეოლოგებთან ერთად დაწვრილებით შეისწავლა უძველესი ანბანური სისტემის აგების პრინციპები (სემურ-ქალდეური, ბერძნული, კობტური, ქართული), შემდეგ შეუდარა ერთმანეთს და დაასკვნა, რომ ქართული ანბანი ამ მხრივ მკვეთრად განსხვავდება ბერძნულისაგან, მაშინ როცა სემურ-ქალდეურ-ბაბილონურთან უფრო ახლოსაა, უფრო ზუსტად: ქართულ ანბანში ორივე ანბანის პრინციპებია გაერთიანებული. რ. პატარიძის აზრით, „თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგები ერთხელ კიდევ ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს, რომ ქართული ანბანი არ მომდინარეობს ბერძნულისაგან, მისი სათავე უნდა ვეძიოთ ფინიკურ-ბაბილონურში“.

რ. პატარიძის მიხედვით, ქართული ანბანი ბერძნულისაგან არ უნდა მომდინარეობდეს იმ მიზეზითაც, რომ იგი თვით მონუმენტურ ბერძნულ ანბანზე აღრინდელია.

ქართული დამწერლობის გენეზისი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ლინგვისტიკაში. გამოითქვა მოსაზრება, შეიქმნას ქართული გრამატოლოგიის (დამწერლობათმცოდნეობის) ახალი მეცნიერული კურსი. მასში ასახვა უნდა ჰპოვოს, პირველ ყოვლისა, ელინისტური და ქრისტიანული ცივილიზაციის მეხვეურთა ცნობებმა, ბერძენ კლასიკოსთა ასევე კლასიკურმა ინფორმაციებმა (სადაც გარკვევითაა მინიშნებული, რომ უძველეს ქართველურ ტომებს ჰქონიათ მწიგნობრობა), საქართველოს არქეოლოგიურმა მასალებმა, რომლებიც კიდევ უფრო გაამყარებენ თვალსაზრისს ეროვნული ანბანის უაღრესად არქაულობის შესახებ (ბ. კილაჩავა).

სწორედ ამ ასპექტით განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მსოფლიოში ფართოდ გახმაურებული **ოქროს საწმისი** (ტყავზე ნაწერი წიგნი, — შეაცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით), უძველესი კოლხების მიერ ნაწერი **კვრები** (სადაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ზმელეთის ყველა გზა და საზღვარი) და კოლხეთში (დაბლაგომში), შესხეთ-ჯავახეთში... აღმოჩენილ უძველეს **კერანოკულ ნაწარმზე დადასტურებული ასო-ნიშნები** (რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ძველ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ).

XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა მეცნიერებმა დაიწყეს მსჯელობა ქართული ანბანის წარმოშობის ქრონოლოგიაზეც.

ბ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ „მეოთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა (ეს უაღრესად მწიგნობრული რელიგია), დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისა... ქართული დამწერლობა უნდა შექმნილიყო ახალი წელთაღრიცხვის 420—422 წწ. ქრისტიანული ეკლესიის ინიციატივით“.

ივ. ჯავახიშვილმა იმავეთვე არ გაიზიარა ბ. კეკელიძის ნაგრაუდები ქრონოლოგია ქართული ანბანის წარმოშობისა. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული პალეოგრაფია“ უძველესი ხანმეტი, ჰემეტი ტექსტებისა და ბოლნისის წარწერების ზუსტი ანალიზით წამოაყენა ასეთი ჰიპოთეზა: ბოლნისის ასომთავრული წარწერა იმდენად ჩამოყალიბებული და დახვეწილია, რომ შეუძლებელია იგი მივიჩნიოთ პირველ ქართულ წარწერად. ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია, შექმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს **VII საუკუნისა ძვ. წ.** მეცნიერი იქვე დასძენდა: ალბათ, ქართული მიწის წიაღში აღმოჩნდა ძეგლები, რომლებიც ამ ჩვენს ჰიპოთეზას დაადასტურებენო.

ბ. ინგოროყვას აზრით, „ქართული ანბანი გამოუმუშავებულია მცირე აზიაში არქაული ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე **VIII—VII** საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენს ერამდე“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ანბანის გენეზისის შესახებ ქართველ მეცნიერთა მიერ სხვადასხვაგვარი ვარაუდი იყო გამოთქმული, მაინც XX საუკუნის 50-იან წლებამდე ქართული ანბანის ისტორიას ვიწყებდით V საუკუნით, კერძოდ, 492 — 493 წ. (ბოლნისის წარწერების თარიღით).

მაღე აღმოჩნდა პალესტინის ქართული წარწერები, რაც ქართული დამწერლობის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

პალესტინის წარწერები პირველად შეისწავლა საზღვარგარეთ (იზნანად იტალიაში) მცხოვრებმა ქართველმა მეცნიერმა **მ. თარხნიშვილმა** (1897 — 1958 წწ.), მან წარწერება შეუცდომლად ამოიკითხა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით VI საუკუნით დაა-

თარიღა. მანვე გამოთქვა ძალიან საყურადღებო აზრი ამ წარწერებში მოხსენიებულ პირთა (მარუან და ბურზენ) ვინაობის შესახებ.

ამ ცნობებზე დაყრდნობით **მ. ნუცუბიძემ** გამოაქვეყნა გამოკვლევა „პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები“, რომლის მიხედვით: წარწერა **V საუკუნის I ნახევარს** უნდა ეკუთვნოდეს. მ. თარხნიშვილის მიერ ამოკითხული მარუან და ბურზენ იგივე მურვანოსი არის მურვანი — პეტრე იბერიელის საერო სახელი. ეს თვალსაზრისი გაიზიარა **ს. ყაუხჩიშვილმაც**, რომელსაც მიაჩნდა, რომ მარუან არის პეტრე იბერის სახელი, ბუზმირ პეტრე იბერის მამისა, ხოლო ბაკურ — პეტრე იბერის დედის მამისა.

პალესტინის წარწერები საგანგებოდ შეისწავლა **გიორგი წერეთელმა**. იგი შეეცადა დაესაბუთებინა მ. თარხნიშვილის ვარაუდი, რომ დასახლებული ორი წარწერა (სახელები: მარუან და ბურზენ) უკავშირდება V საუკუნის უდიდესი ქართველი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის პეტრე იბერიელის სახელს. მეცნიერი ფიქრობდა, რომ წმინდა თეოდორეს სახელობის მონასტერი პეტრე იბერიელმა ააგო **V საუკუნის 30-იან წლებში**. ბუნებრივია, წარწერაც ამ დროისათვის იქნებოდა ამოკვეთილი.

გ. წერეთლის აზრით, „პალესტინის წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს“. პალესტინის წარწერები რომ V საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული, ამას დღეს თითქმის ყველა სპეციალისტი აღიარებს.

ქართული დამწერლობის ქრონოლოგიის დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს **არმაზის ბილინგვასაც**. გ. წერეთლის ვარაუდით, ქართული ანბანი ავლენს დიდ მსგავსებას ბილინგვის არამეულ წარწერასთან, არამეული კი სემიტურ-ფინიკიური დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა. არამეული ენა და ანბანი ძვ. წ. I ათასწლეულში გავრცელდა აღმოსავლეთის ქვეყნებში — პალესტინაში, ასურეთში, ირანში, ამიერკავკასიაში (ყერძოდ, საქართველოში) და ითვლებოდა საკანცელარიო და საერთაშორისო ენად. რაკი ქართული ანბანი ახლოს დგას არამეულ არამეულთან, ეს

გვაფიქრებინებს, რომ ორივეს საერთო წყაროა ფინიკიური და ძველი არამეული.

მართალია, გ. წერეთელი არას ამბობს ქართული ანბანის წარმოშობის კონკრეტულ თარიღზე, მაგრამ აშკარაა, რომ მასაც ქართული დამწერლობა წინარექრისტიანულ ხანაში შექმნილად ესახება.

და ასე თანდათან ზუსტდებოდა ქართული დამწერლობის ქრონოლოგია. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია **რ. პატარიძის** დამსახურება. მან თავის წიგნში „ქართული ასომთავრული“ საისტორიო წყაროების, არსებული თვალსაზრისებისა და ლეგენდისმავგარი ვერსიების შეჯერებითა და კრიტიკოგრაძების (პირობითი, საიდუმლო ნიშნებით ჩანაწერი) ზედმიწევნითი ანალიზით წამოაყენა ასეთი ვარაუდი: ქართული დამწერლობა შექმნილი ჩანს წარმართულ ხანაში დაახლოებით ძვ. წ. 403—284 წლებში. რადგანაც ქართულ ანბანში უკვე გათვალისწინებულია ბერძნული მონუმენტური დამწერლობის პრინციპებიც (რომელიც შემუშავდა ძვ. წ. 403 წელს), საფიქრებელია, რომ ქართული ანბანი ამაზე ადრე ვერ შეიქმნებოდა.

მეორე მხრივ, ირკვევა, რომ ძვ. წ. 284 წელს ქართული ასომთავრული შემოღებულია მეფე ფარნავაზის მიერ როგორც სახელმწიფო დამწერლობა. ფარნავაზი დამწერლობის შემქმნელი კი არაა, არამედ მან შემოიღო საყოველთაო და სრული ქართული დამწერლობა.

ეს მოსაზრება ქართულ ლინგვისტიკაში ყველა სპეციალისტმა არ გაიზიარა. მაგალითად, **ზ. სარჯველაძე** უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს კ. კეკელიძის აზრს. მისი შეხედულებით, საფიქრებელია, ქართული ანბანი გვექონოდა მეოთხე საუკუნის II ნახევარში ან V საუკუნის დამდეგს, მასზე ადრე არა. **ზ. სარჯველაძე** წერს, რომ ივ. ჯავახიშვილის თეორიის გაზიარებას მრავალი დაბრკოლება ელოდება, პირველ რიგში, უქონლობა V საუკუნეზე აღინიშნული ძეგლებისა, რომელთა აღმოჩენის იმედი ჰქონდა დიდ მეცნიერსო. ფარნავაზის დროს რომ ქართული დამწერლობის შემოღება ვივარაუდოთ, მაშინ არმაზის ბილინგვას სხვაგვარი ახსნა დასჭირდებოდა.

ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების ცნობა, ალბათ, გულისხმობს სახელმწიფო საქიროებისათვის ბერძნულის

ან არამეულის გამოყენებას. სხვაგვარად ძნელად აიხსნება ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნული, არამეული და ა. შ. ძეგლები, ქართული კი—არა. თუკი ამ დროისათვის ქართული დამწერლობა არსებობდა, მაშინ ბილინგვაზე რატომ იქნებოდა იბერთა სამეფო კარის ამბავი ბერძნულ და არამეულ ენებზე დაწერილი (ხ. სარჯველაცე).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დავათის ქვაჯვრის უძველესი წარწერები. როცა 1984 წელს აღმოჩენილი დავათის სტელა (ქვაჯვარი) გაშიფრეს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებმა (გ. ნარსიძემ, გ. აბრამიშვილმა, ზ. ალექსიძემ, ე. ჭელიძემ, რ. რამიშვილმა, რ. პატარიძემ...), აღადგინდა, რომ ქვაჯვარზე გამოხატული ხატი შექმნილი უნდა იყოს 361—382 წლებში, ხოლო მასზე ამოკვეთილი (ამოკაწრული) ქართული ანბანი კალენდარი შეიძლება დათარიღდეს 367 წლით.

ამ ბოლო წლებში მიკვლეული ძეგლების („ქებას“, დავათის ქვაჯვრის, „მატიანე შექმენბათა“...) ახლებური შესწავლისა და გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე რ. პატარიძემ ქართული ანბანის შექმნის თარიღად ჩათვალა ძვ. წ. 415 წელი (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

მაშასადამე, დღეს სხვადასხვა პროფილის ბევრი სპეციალისტი სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ ქართული დამწერლობა წარმართული ეპოქის ძეგლია.

და მაინც საკითხი კვლავ სადავოდ რჩება.

1987 წელს თ. გამყრელიძე წერილში „მწიგნობრობა ქართული“ მიუთითებდა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა შექმნილი უნდა იყოს IV საუკუნის დასასრულსა და მეხუთე საუკუნის დასაწყისში, ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით.

ავტორი მსჯელობს აგრეთვე ლეონტი მროველის ცნობაზე — ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული. მეცნიერის აზრით, „მწიგნობრობა ქართული“ ფარნავაზისდროინდელი საქართველოსათვის უნდა ნიშნავდეს, ალბათ, იმ დროს ქართული წერის შემოღებას სპეციფიკური სახით, ე. ი. ქართული ტექსტის ჩაწერას რომელიმე იმ დროს გავრცელებული ენის — ბერძნულის ან არამეულის საშუალებით და ამგვარად ჩაწერილი ტექსტების წაკითხვას კვლავ საწყის—ქართულ ენაზე. წერის ეს მეთოდი

„ალოგოტოგრაფია“ ფართოდ ძყო გავრცელებული ირანულ სამყაროში.


აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თ. გამყრელიძის ეს მოსაზრება ბევრმა სპეციალისტმა არ გაიზიარა, რამდენადაც იგი არ ემყარება ფაქტებს, წყაროებს არამედ უფრო ვარაუდი ჩანსო (რ. სალია); მ. ჩხარტიშვილი უარყოფს ქართული ანბანის შესახებ ლეონტი მროველის ცნობის ამგვარ ინტერპრეტაციას და ხაზგასმით მიუთითებს, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი წარმართულ ხანაში ქართული ასომთავრულის — ქართული ანბანის უძველესი სახეობის უარსაყოფად.

უფრო მოგვიანებით თ. გამყრელიძემ თავის წიგნში „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (1989) შენიშნა, რომ ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შესაძლებელია არც წარმოადგენდეს ქართული ენისათვის დამწერლობის შექმნის პირველ ცდას, და ქრისტიანობამდელ საქართველოში სავარაუდოა არსებულიყო კიდევ უფრო ძველი წერილობითი ტრადიციები. არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა ან გამოაძევა მანამდე არსებული წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა.

ქართული დამწერლობის შემოღება ქრისტიანულ ხანაში სარწმუნოდ მიიჩნია, აგრეთვე, კ. დანელიას. იგიც მთავარ საცილობელ საბუთად თვლის უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების არარსებობას.

როგორც ვხედავთ, დღეს ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლინგვისტიკაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი უპირისპირდება ერთმანეთს: 1) ქართული დამწერლობა შექმნილი უნდა იყოს ახ. წ. IV—V საუკუნეებში, 2) ქართული დამწერლობა შექმნილი უნდა იყოს ძვ. წ. V საუკუნეში, ე. ი. ქრისტიანობამდე. ამათგან უფრო ფართოდაა გაზიარებული მეორე, რომლის მიმდევრები ახლაც ინტენსიურ კვლევა-ძიებას აწარმოებენ.

ამიჯარად, რაკი მიკვლეული და შესწავლილი უძველესი ძეგლები ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეზე აღრინდელი არაა, ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: რით უნდა აიხსნას უფრო აღრინდელი ძეგლების მოუღწევლობა, თუკი ფარნავაზის დროს გვექონდა დამწერლობა?



ქართველი მეცნიერები ამ ფაქტს ხსნიან ქართული წარმართული რელიგიის დამარცხებით (რ. პატარიძე, აკ. ბაქრაძე...).

„ფარნავაზ მეფის მომდევნო ხანაში წარმართული რელიგია ჰკარგავს სრულიად სახელმწიფო რელიგიის ფუნქციებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ელინისტურ ხანაში ქართული რელიგია ეგრე გაუმკლავდა ელინურ კულტებსა და ელინისტურ კულტურას, სპარსულ მახდენობასა და სპარსულ კულტურას. უთუოდ ქართველ ქურუმთა პოლიტიკურ-კულტურული პეგემონია შეილახა. სწორედ ქართული რელიგიის დასუსტებითა და უცხო რელიგიური კულტების გაძლიერებით უნდა აიხსნას ბერძნული ენისა (და დამწერლობის) და სპარსული (არამეული) დამწერლობის გავრცელება საქართველოში. არქეოლოგიური გათხრები საქართველოში სრული უეჭველობით ადასტურებენ ამ ფაქტს (არმაზის ბილინგვა, ვესპასიანეს ბერძნული წარწერა...).

დამწერლობა რელიგიის ენა და რელიგიური ფენომენია, რელიგიის განუყრელი თანამგზავრია. ქართული წარმართული რელიგიის დამარცხებას უსათუოდ უნდა გამოეწვია ქართული ენისა და ქართული დამწერლობის დამარცხებაც.

მდგომარეობა შეიცვალა IV საუკუნის დასაწყისში, როცა 312 წელს რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია საქართველოში წარმართული ელინური კულტების დამბობა. ელინისტური ეპოქა, ახუ ბერძნული ენისა და ბერძნული დამწერლობის ბატონობის ხანა, საქართველოში დამთავრდა.

რა ვითარებაა ამ დროს საქართველოში? ფაქტობრივად ორი რელიგიის თანაარსებობაა: ქართული წარმართულისა და სპარსული ცეცხლმსახურებისა. პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ შემატყნებ წერს: „და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შვილთა მათ კერბთასა და ცეცხლისასა... და იყო (მირიან) ორსავე სულსა ზედა: ცეცხლის მსახურებასა და კერბთასა“. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ორი რელიგია — სპარსული და ქართული — ერთმანეთს დაუპირისპირდა. „ხოლო მირიან შეიყვარა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული... და შეამკო საფლავი ფარნავაზისი“.

ცხადია, მირიან მეფემ ქართული წარმართული რელიგიის მესვეურები — ქართველი ქურუმები მიიხზრო და ქართული რელი-

გიის მხარდაჭერით დაუპირისპირდა სპარსულ ცეცხლმსახურებას, სპარსულ ენასა და დამწერლობას. რაკი მირიანი ფარნავაზის საფლავს ამკობს, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ქართული ენისა და ქართული დამწერლობის აღორძინება იწყება. ეს ეროვნულ-მისია საბოლოოდ საქართველოში შემოდებულმა ახალმა რელიგია — ქრისტიანობამ შეასრულა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული რელიგიის მსახური ქურუმები ახალი ქრისტიანული რელიგიის სამსახურში ჩადგნენ. ამას თავისთავად უნდა გამოეწვია ქართული წარმართული რელიგიური ძეგლების დაღუპვა“ (რ. პატარიძე).

5. ქართული ანბანის აგების პრინციპები

როგორც აღვნიშნეთ, ფინიკიელებმა ძვ. წ. XV—XIV ს. შექმნეს პირველი ანბანი. დაახლოებით იმავედროულად არსებობდა ბაბილონურ-ქალდეური ლურსმული დამწერლობაც.

მეცნიერების ვარაუდით, ქართული ანბანი (ასომთავრული) შექმნილი უნდა იყოს სემურ-ებრაული და ბაბილონურ-ქალდეური დამწერლობის საფუძველზე. ეს მტკიცდება ამ დამწერლობების სისტემის შედარებით. ქართული ანბანი დამოუკიდებელი, შექმნილი ანბანია და არა გადმოღებული ფინიკიურისაგან.

საერთოდ, ანბანურ დამწერლობაში ასოს აქვს ბგერისა და რიცხვის მნიშვნელობა. ამას გარდა, ანბანს კალენდრის ნაცვლადაც იყენებდნენ.

უძველეს ანბანებში პირველი ასო-ნიშანი გარკვეული რელიგიური სიმბოლო იყო. მაგ., სემურში პირველი ნიშანი განასახიერებდა მთვარის ღმერთს. ეგვიპტური დამწერლობის I იეროგლიფი იყო წმინდა ცხოველი ჰიბსი — ეგვიპტის მთვარის ღმერთის სიმბოლო. ბაბილონურშიც პირველი ლურსმული ნიშანი იყო მთვარის ღმერთის სიმბოლო. მას ერქვა ან.

სემურში პირველი ასოს სახელი აღფა („აღეფ“ გრაფემა ხარის იდეოგრაფა, როგორც მთვარის ღვთაების ემბლემა), მისი რიცხვითი მნიშვნელობა ერთია. სემური ანბანი გამოხატავდა მთვარის მოძრაობას. აქ პირველი ასო აღნიშნავს მთვარის პირველ დაბადებას. მთვარე მოძრაობს 27/28 დღის განმავლობაში და, შე-

საბამისად, თანმიმდევრობით დალაგებული ასოები გამოხატავენ მთვარის მოძრაობის დღეებს. საერთოდ, თვე და მთვარის მოძრაობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული (რუს. месяц — თვე/მთვარე). სემურში დღე-ღამის დასაწყისია საღამო.

რა პრინციპზეა აგებული ქართული ანბანი?

ქართულში ასო-ნიშნები გამოხატავენ ბგერას, რიცხვით მნიშვნელობას, აქვს ასტრონომიული და კალენდარული დანიშნულება.

ქართულის პირველის ასომთავრული ანიშანია, რკალზე ზედა პორიზონტალური ხაზი (—) აღნიშნავს მთვარის გამოჩენას, როცა მთვარე ცაზე კულმინაციურ უმაღლეს წერტილს მიაღწევს, ზუსტად შუალაშე. ე. ი. ქართულის პირველი ასო ა (ანი) ასტრონომიული ნიშანია — დღე-ღამის დასაწყისი; მთვარის კულმინაციური დგომა — შუალაშე.

ბაბილონურსა და ეგვიპტურშიც ქართულის მსგავსი ვითარებაა — დღე-ღამის დასაწყისია შუალაშე, სემურში კი — განსხვავებული.

მართალია, ქართული ანბანი მზის კალენდარიცაა, მაგრამ იგი მთვარის აღნიშვნით იწყება, რადგან ძველად დღე-ღამის ათვლა ხდებოდა მთვარის საშუალებით. მართლაც, მთვარის მოძრაობა ზუსტად ერთ თვეს გრძელდება: 28 დღეს მოჩანს ცაზე, 2 დღეს კი — არა, 30 დღის შემდეგ კვლავ ახალი მთვარეა.

მასასადაშე, ქართული ანბანის პირველ ასოდ ან-ის ჩათვლა ბაბილონური დამწერლობის პრინციპითაა განხორციელებული. ვარა და ამისა, ქართულ ანბანში აღნიშნულია, თუ რამდენ საათს გრძელდება დღე და ღამე. ქართული ანბანის 24-ე ასო არის ქ (ქან). იგი წარმოადგენს ქვეყნის სიმბოლოს, ქვეყნის ოთხ მხარეს. ქვეყნის არსი 24 საათია. ე. ი. ან (პირველი ასო) დღე-ღამის დასაწყისია, ქან (24-ე) — დღე-ღამის დასასრული.

ანი და ქან ასტრონომიული ნიშნებია.

ირკვევა, რომ ანბანის შემქმნელმა ქურუმმა ასტრონომიაც ვარგად იცის. მისთვის ცხადია, რომ დედამიწა (ქვეყანა — მიწა) ბრუნავს ღერძის გარშემო 24 საათში ერთხელ.

ამრიგად, დაახლ. ძვ. წ. 415 წელს ქართველმა ქურუმებმა ბაბილონური ლურსმული და ებრაულ-ფინიკიური ანბანური დამწერლობის საფუძველზე (მათი პრინციპების მიხედვით) შექმნეს მთვა-

რის კალენდარული ანბანი, რომელიც ძვ. წ. 412 წელს მიუსადაგეს მზის კალენდარულ სისტემას. შესაბამისად, დაიწყო მზის ეპოქა.

ქართული ანბანი შედგებოდა 35 ასო-ნიშნისაგან. პირველი ასო იყო ა (ანი) — ქალდეურ-ბაბილონური მთვარის ღვთაების სიმბოლო (ნიშნავდა დღე-ღამის დასაწყისს). 24-ე ასოა ქან (დღე-ღამის დასასრული), 34-ე — ჯ (ხარის იდეოგრამა, ხარის ღვთაება — მთვარის ღვთაების შვილი), სულ ბოლო ასო ჯან არის ჯვარის იდეოგრამა.

მ თანხმოვანი ბგერა ფინიკიურ-ბაბილონური ანბანების მიხედვით ქართულშიც მერვე ადგილზე იყო მ-ნიშნით გამოხატული. დროთა ვითარებაში ამ ნიშანმა შეიძინა ხმოვანი ბგერის მნიშვნელობა და იქცა ხმოვნად. ამიტომ მ ბგერის აღსანიშნავად საჭირო გახდა ახალი გრაფიკული ნიშნის შემოღება. ეს ნიშანია დღე-ღამის დღე-ღამის 3, რომელიც მოათავსეს ანბანის ბოლოში. ეს უნდა მომხდარიყო გვიან, იმ დროს, როცა, აღბათ, ჯ-ს დაკარგული ჰქონდა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა — გამოხატავდა ჯვარს.

6. ქართული ანბანის შექმნის პროცესი რ. პატარიძის „ქართული მწიგნობრობის“ მიხედვით

უძველესი წყაროების მიხედვით, საფიქრებელია, რომ ძვ. წ. V საუკუნეში არსებობდა ქართული ენის ორი ძირითადი დიალექტი: სამხრეთ-ქართული და ჩრდილო-ქართული.

სამხრულ-ქართული ჰაემეტური ქართული ენა იყო, მესხურ-კოლხური ტომების მიწა-წყალზე, ზოლო ჩრდილო ქართული — ხანმეტური ქართული ენა. სწორედ ჰაემეტურ კოლოზე უნდა იყოს შექმნილი ქართული ანბანი* დაახლ. ძვ. წ. 415 წელს.

ამ ანბანში 35 ასო იყო (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც, თ, ი, კ, ლ, მ, მ, ნ, ა, ო, პ, რ, ს, ტ, უ (ვ), ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, პ, ჯ).

* რასაც კიდევ უფრო სარწმუნოს გახდის უძველესი კოლხური კულტურის გამოწვლილებით შესწავლა მესხურ-კოლხურ მიწა-წყალზე აღმოჩენილ უძველეს არქეოლოგიურ მასალებსა და ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით.

უკვე ძვ. წ. 412 წლიდან ჰაემეტური ქართული მწიგნობრული ენა იყო, თანაც ქურუმთა მიერ შექმნილი ანბანი ამ წლიდან გასდა მზის კალენდარიც.

ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურმა ცენტრმა სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოინაცვლა. ამიერიდან ქართლის ხანმეტური ენა უთუოდ უნდა დაპირისპირებოდა მანამდე გაბატონებულ სამხრულ ჰაემეტურ ქართულ ენას. შესაბამისად, ქართული ენის ჰაემეტური ანბანი უნდა მისადაგებოდა ხანმეტურ ქართულ ენას. მართლაც, ამ მისადაგების შედეგად ანბანმა მცირეოდენი ცვლილება განიცადა, დაემატა ორი ასო (ჟ-ეა, ჟ-ოჰ), თანაც მ ასომ მე-8 ადგილიდან 36-ზე გადაინაცვლა. მის ადგილას ჟ მოთავსდა, ჟ კი 37-ე ასოა ანბანში. ჟ შემოიღეს ბერძნული ომეგას ბადლად (დარად).

მამასადაპე, მეფე ფარნავაზის ხანაში შემოღებულა სრულიად სახელმწიფო ქართული ენა და ქართული ენის „ხანმეტური“ ანბანი, ე. ი. მისი მეფობის ყაშს ჩატარებულა უკვე არსებული ქურუმთა ქართული ანბანის ერთგვარი რეფორმა. ცხადია, რომ ფარნავაზის დროს კი არ შექმნილა ქართული ანბანი, არამედ იგი გამოცხადებულა ერთიან ქართულ სახელმწიფო დამწერლობად. ამას ადასტურებს იტალიაში ვატიკანის არქივებში დაცული ერთი ცნობაც, რომელსაც ახლახან მიაკვლია ი. ტაბაღუამ. ეს ცნობა შეუდგენია ბელგიელ პოლკოვნიკს XIX საუკუნის დამდეგს (1811—1818 წ.) კავკასიაში სამსახურის წლებში, მაშინდელ საქართველოში არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე. ცნობა გვაუწყებს: „ფარნავაზი... ცნობილია, როგორც იბერთა ბირველი მეფე... მან თავის სამეფოში შემოიღო კარგი კანონები, დაყო თავისი ქვეშევრდომები ფენებად და გააუმჯობესა დამწერლობა, რომელიც დღემდე ხმარებაშია ქართველ მღვდლებს შორის“.

უცხოელის ამ ჩანაწერიდან ისიც ირკვევა, რომ XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში ჯერ კიდევ არსებულა წერილობითი ცნობები ფარნავაზის გამეფებისა და მის მიერ ქართული დამწერლობის გაუმჯობესებისა თუ რეფორმის თაობაზე.

ბოლო დროის გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ მწიგნობრობა ქართულ ენაზე იწყება ძვ. წ. V საუკუნეში ჰაემეტური ქართული ენის სამყაროში. უძველესი ძეგლი არის თვით ქართული ანო-

მთავრული ანბანი — სწორუბოვარი ქმნილება ძვ. წ. V საუკუნისა.

სხვაგვარად წარმართა ქართული მწიგნობრობას ბედი ფარნავაზის მეფობის მომდევნო ხანაში.

ირკვევა, რომ ძვ. წ. II საუკუნეში დაიწყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს რღვევა. აღმოსავლეთში სპარსეთისა და სომხეთის, ხოლო დასავლეთში პონტოს ბერძნული გერთიანების გაძლიერების შედეგად საქართველო კარგავს თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. შეილახა ქართული ენის უფლებები. ქართლში თანდათან გაბატონდა სპარსული ენა, ხოლო ეგრისსა და კლარჯეთში — ბერძნული. ქართულმა ენამ დაკარგა თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი უფლებები.

მარცხდება საქართველოს ეროვნული რელიგიაც. იგი ვერ უმკლავდება, ერთი მხრით, ბერძნულ კულტებს, ხოლო, მეორე მხრით, სპარსულ რელიგიასა და სპარსულ კულტურას. ელინისტურ ხანაში ქართული წარმართული რელიგიის დამარცხებას უთუოდ უნდა გამოეწვია ქართული ენისა და ქართული დამწერლობის დამარცხება. სამაგიეროდ, ვრცელდებოდა როგორც ბერძნული ენა და ბერძნული დამწერლობა, ისე სპარსული ენა და სპარსული დამწერლობა.

სწორედ ეს პერიოდი არის საქართველოში ბერძნული და სპარსული ენების ბატონობის ხანა (არქეოლოგიური გათხრებიც ამას ადასტურებენ).

ახ. წ. I—II საუკუნიდან საქართველოში ფეხს იკიდებს ქრისტიანული რელიგიური მრწამსი. იგი თავდაპირველად ვრცელდებოდა ქალაქის უღარიბეს ფენებში ქართულ ენაზე.

ქრისტიანულ მოძრაობას საქართველოში (ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე) თითქმის სამასი წლის ისტორია აქვს. ქრისტიანული მოძრაობის შედეგად დაიწყო საქართველოს ეროვნული აღმავლობა, სრულიად სახელმწიფო ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინება. ყოველივე ამას კარგად გვაშინობს მათიანე „ცხოვრება მირიანისა“, რომელიც გვაუწყებს, რომ მირიანმა „შეამკო საფლავი ფარნავაზისი“. ეს უხდა მომხდარიყო დაახლოებით 311 წელს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 330-იან წლებში დაწერილი თხზულების — „ცხოვრება მირიანისა“. შინაარსი ემთხვევა დავათის ქვაჯვარზე 367 წელს გამოქანდაკებულ სცენას (სადაც ვა-

მოსახულია ქართული სახელმწიფო მწიგნობრობის შემოღება ფარნავაზ მეფის მიერ ძვ. წ. 284 წელს და ქართული სახელმწიფო მწიგნობრობის აღორძინება მირიან მეფის მიერ ახ. წ. 311 წელს).

ქართული მწიგნობრობის აღორძინებას გვამცნობს აგრეთვე „ქებაა და დიდება ქართულისა ენისაჲ“. „ქებაჲს“ მიხედვით, ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა გაიგივებულია. ქართული ენა (იგივე ლაზარე) ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა.

ამრიგად, ქართული მწიგნობრობის ძირითადი თარიღებია:

1. დაახლოებით ძვ. წ. 415 წელს შეიქმნა ქართული ანბანი.
2. ძვ. წ. 412 წელს ქართულმა ანბანმა დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა.
3. ძვ. წ. 284 წელს შემოღებულ იქნა სრულიად სახელმწიფო-ქართული მწიგნობრობა და ეროვნული წელთაღრიცხვა (ქართული ანბანი გამოცხადდა სახელმწიფო დამწერლობად).
4. ახ. წ. 311 წელი ქართული მწიგნობრობის აღორძინების თარიღია.*

ქართული ანბანის შემდგენლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

7. ქართული გრაფიკის აგების პრინციპები. მათი ისტორიულად ცვლის შედეგები

(ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები)

ქართულ დამწერლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ტრადიციული გაგებით, იგი 15 საუკუნეს ითვლის. ამ ჩნის მანძილზე ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური განვლო და შესაბამისად შეიქმნა დამწერლობის სამი გრაფიკული ნაირსახეობა: **ასომთავრული, ნუსხური და მხედრული.**

ქართული წერის გრაფიკული სახეები და მათი ქრონოლოგია

* ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული შ. კიტოვანის წიგნში „დიდი საუნჯის საიდუმლოს პატარა გასაღები“ (1990 წ.).

წარმოადგენს ჩვენი ისტორიოგრაფიისა და ლინგვისტიკის აქტუალურ პრობლემას.

ქართული ანბანის სახეებს პირველად შეეხო მ. ბროსე და მიუთითა, რომ „ნუსხა-ხუცური“ და „მხედრული“ სახეობანი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის უშუალო გაგრძელებაა.

მაღე გაჩნდა სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ი. ოქრომჭედლიშვილის მეთაურობით ამტკიცებდა, რომ მხედრული ანბანი უფრო ძველია, შემოღებულია ფარნავაზ მეფის დროს, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი შეიქმნა ან გადმოკეთდა მხედრულიდან ხუცური ანბანი.

ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა ისტორიკოსმა დიმ. ბაქრაძემ. მან პირველმა მეცნიერულ საფუძველზე გაარკვია ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები და მათი ქრონოლოგიური მიმართება, რითაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ქართულ პალეოგრაფიას.

დიმ. ბაქრაძემ დაასკვნა, რომ ქართულმა ანბანმა განვითარების გრძელი გზა განვლო: ასომთავრული ხუცური ჩვენთვის ცნობილი პირველი საფეხურია, ხუცური — მისი განვითარების შემდგომი ფორმა, მხედრული კი ამ უკანასკნელის უმაღლესი, დახვეწილი სახეა.

ქართული წერის საფეხურებზე მსჯელობდა ნ. მარიც. მან გამოთქვა თვალსაზრისი მხედრული დამწერლობის არქაულობის შესახებ. მხედრული ასომთავრულზე უწინარესია ქრონოლოგიურად და წარმართული ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს.

უფრო მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილმა ქართული დამწერლობათმცოდნეობა ახუ პალეოგრაფია მალალ მეცნიერულ დონეზე აიყვანა და ანბანის გრაფიკული აგების პრინციპები გამოწვლილეთი ანკლიზით შეისწავლა თავის კაპიტალურ წიგნში „ქართული პალეოგრაფია“, სადაც სათანადოდ გამოყენებული დიმ. ბაქრაძის ნაშრომებში გამოქვეყნებული მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა.

ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტური კვლევის ძირითადი შედეგები ასეთია: ასომთავრული მონუმენტური დამწერლობაა. მისთვის დამახასიათებელია ასო-ნიშნების გეომეტრიული სწორკუთხოვნობა, სიმეტრიულობა, ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიმაღლისაა და ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება.

ასომთავრული არის ანბანის პირველი სახე, რომლითაც იწერებოდა ძველი ქართული წერილობითი ძეგლები უძველესი დროიდან დაახლოებით XI საუკუნემდე (ძირითადად კი—V-VIII საუკუნეებში).

სახელწოდება „ასომთავრული“ დაქმნულია ასოთა დიდი მოხაზულობის გამო (ამ ტერმინის სინონიმად იქცა „მრგვლოვანი“ ასოები მრგვალი მოყვანილობისა).

ნუსხური—წერის ახალი სახე—შემოვიდა IX საუკუნიდან. იგი იქმნებოდა მრგვლოვანი დამწერლობის საფუძველზე. გრაფიკული თვალსაზრისით ნუსხური ძირეულად განსხვავდება ასომთავრულისაგან: ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობა და ასონიშნების ტოლმეტრების პრინციპს ეფუძნება. მის ძირითად გრაფიკულ მახასიათებელს ქმნის ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა (ნუსხურს შერეწიარად უწოდებენ კუთხურსაც ასოთა კუთხოვანი მოხაზულობის გამო).

ნუსხური დამწერლობის ჩვენამდე შლდწეული უძველესი ნიმუშია **სინური მრავალთავის** (864 წ.) ანდერძი. „IX საუკუნეში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებულ-ჩამონაკეთილი დამწერლობაა, ამიტომ მისი დასაწყისის ხანა... IX საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმოთ“.

ნუსხური წერა ვაბატონებული იყო X—XI საუკუნეებში. იგი შეცვალა მხედრულმა.

ტრადიციული გაგებით, მხედრული წერა დამკვიდრდა XII საუკუნიდან. იგი იქმნებოდა ნუსხურის საფუძველზე. მხედრულს გრაფიკული განვითარების საკუთარი გზა აქვს გამოვლილი. იგი ხუსხურის მსგავსად ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა, მაგრამ თავისი გრაფიკული აღნაგობით დიდად განსხვავდება ნუსხურისაგან.

მხედრული წერის უძველეს ნიმუშად ითვლებოდა XI საუკუნის (1054 წლის) ძეგლი.

მხედრული „პირველად, ძართალია, XI საუკუნის ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ... მისი წარმოშობის ხანა, რასაკვირველია, ამაზე უწინარეს არის საგულისხმებელი“.

ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს ქართული წერის სახეების აღმნიშვნელ ტერმინებზეც: „ჩვენი თანამედროვე ჩვეულებრივი წარმოდგენით მთელი ქართული დამწერლობა ორ მთავარ დარგად გა-

სიყოფება: ხუცურ და მხედრულ დამწერლობებად... მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა... როგორც ჩანს, ტერმინები „ხუცური“ და „მხედრული“ XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამდევს უნდა იყოს შემოსული“. მხედრულ ანუ საერთო დამწერლობას უპირისპირდებოდა ხუცური ანუ საეკლესიო დამწერლობა. „ხუცური“ არის „ასომთავრულისა“ და „ნუსხურის“ საერთო სახელი.

კ. კეკელიძე და **ა. შანიძე** იზიარებენ შემოგამოთქმულ მოსაზრებას და ქართული წერის სახეებად ქრონოლოგიური თანამდევრობის დაცვით (V-VIII, IX-XI, XII-დან) ასახელებენ ასომთავრულს, ნუსხურსა და მხედრულს. ასომთავრულისა და ნუსხურის საერთო სახელად შემოღებულ იქნა ტერმინი „ხუცური“ (რადგანაც ორივე მათგანს ხუცები იყენებდნენ მხოლოდ). **კ. კეკელიძე** თანვე დასძენს: „საკითხი იმის მხოლოდ იმის შესახებ, როდის გაჩნდა ასომთავრული ხუცური“.

ქართული წერის სახეებზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა **გ. წერეთელმა**, როცა გაშიფრა და შეისწავლა არმაზის ბილინგვის წარწერები. მისი აზრით, არმაზულ ანბანთან ქართული ანბანის შედარება ახლებურად აყენებს ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის ქრონოლოგიური ურთიერთობის საკითხსაც. არმაზულთან მსგავსებას ნუსხური უფრო აელენს. აქედან გამომდინარე, მეცნიერი ვარაუდობს, რომ ნუსხური IX საუკუნეში კი არ წარმოშობილა, არამედ მეტი ხნის ისტორია აქვს. საფიქრებელია, ორივე ტიპი—ასომთავრული და ნუსხური—ერთი საერთო ძირიდან ერთდროულად წარმოიშვა, თანდათან ვითარდებოდა და მორღებოდა თავდაპირველ ორიგინალს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ზოგ შემთხვევაში ნუსხურს შემოუნაბავს უფრო ძველი მოხაზულობა, ზოგჯერ კი—ასომთავრულს.

ქართული ანბანი გრაფიკის თვალსაზრისით შესწავლილი აქვს **ე. მაკავარიანს**. იგი სარწმუნოდ არ მიიჩნევს მხედრულის უწინარესობას ნუსხურთან შედარებით და თვლის, რომ მხედრული არის ნუსხურის განვითარების შედეგი.

ქართული დამწერლობის სახეები და მათი ქრონოლოგიური მიმართება დღესაც რჩება აქტუალურ პრობლემად. გამოითქვა ტრადიციულ თვალსაზრისთან შედარებით განსხვავებული მოსაზრებანიც. რამდენადაც ამ ბოლო ხანებში მიკვლეულ იქნა ქართუ-

ლი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი უძველესი ძეგლები, რომლებიც ახლებურად აყენებენ ქართული ანბანის გენეზისისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებს (მაგალითად, დავათის ქვაჭარის წარწერები, ატენის სიონის კედლის მხედრული წარწერები, **ზ. ალექსიძისა** და **გ. აბრამიშვილის** მიერ IX საუკუნით (875 წლით) დათარიღებული და ა. შ.).

ქართული ანბანის გენეზისი და საერთოდ მისი სტრუქტურა (გრაფიკის აგების პრინციპები) საფუძვლიანადაა შესწავლილ რ. პატარიძის შრომებში, სადაც ძირითადად განვითარებული ივ. ჯავახიშვილისეული პალეოგრაფიული კვლევის გზა.

ავტორი სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების კრიტიკული შეკვრებისა და უძველესი წერილობითი ძეგლების გამოწვევილვითი ანალიზით ასკვნის, რომ არსებობს ქართული დამწერლობის ოთხი ძირითადი სახეობა: 1) მრგვლოვანი ასომთავრული, 2) კუთხოვანი, 3) ნუსხური, 4) მხედრული.

„მხედრული ქართული დამწერლობა, რომელიც ქართულ დამწერლობის განვითარების უკანასკნელი საფეხურია, „პირველ მეფეთა“ დროიდან ანუ IV საუკუნის დამდეგიდან არსებობს. კერძოდ, იგი ჩაისახა მაშინ, როცა მირიან მეფის დროს აღორძინდა სრულიად სახელმწიფო მწიგნობრობა ქართულ ენაზე, როცა სამეფო კანცელარიაში მწიგნობრობა ქართულ ენაზე დაიწყო შესაბამისად, მხედრული დამწერლობა საერო-საკანცელარიო ანუ მდივანმწიგნობრული დამწერლობაა.

როგორც ცნობილია, მხედრული დამწერლობა საერო დამწერლობად იწოდება, ხოლო „მრგვლოვანი“, „კუთხოვანი“ და „ნუსხური“ ერთი საერთო სახელწოდებით „ხუცური“ ერთიანდებ. ე. ი. „ხუცური“ დამწერლობის სამი გრაფიკული სახეობა არსებობს“. (რ. პატარიძე, „ქართული მწიგნობრობა“).

ავტორი ამ შემთხვევაში ემყარება „მატიანე შემეცნებათა“ ცნობას, რომლის მიხედვით, „ხუცური“ ქურუმთა დამწერლობა ნიშნავს. ამიტომ, ცხადია, მრგვლოვანს, კუთხოვანსა და ნუსხურს ქურუმთა დამწერლობა ჰქვია.

საგულისხმოა, რომ „მატიანე შემეცნებათა“ მიხედვით თუ დაპირველი ქართული ანბანი, (ე. ი. „მრგვლოვანი“ ასომთავრული) ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე არ

შექმნილი: „...და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ხე-ნი“.

თ. გამყრელიძის აზრით, ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოღებული უნდა იყოს ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. თუმცა მეცნიერი იქვე შენიშნავს: არ არის გამორიცხული, ძვ. წელთაღრიცხვის ეპოქაში ქართველებს ჰქონოდათ სხვა დამოუკიდებელი ანბანი.

ქართული ანბანის გრაფიკული დახვეწილობა და სრულყოფილება, მისი ღირსება და უპირატესობა საჭვეყნოდაა ცნობილი. მის საფუძველად დაწერილია უამრავი ქებითი სიმღერა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ **ო. ჯიშკარიანის წიგნი — ალბომი „ანბანთქება“**, სადაც გრაფიკულ ტილოზე მოცემულია ყოველი ასოს აღწერა-დახასიათება.

ლიტერატურა

- გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე** — აღმოჩენა არაგვის ხეობაში: „კომუნისტი“, 1985 წ., 19 მაისი.
- გ. აბრამიშვილი** — ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1976, № 1.
- თ. ბარნაველი** — ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
- ა. ბაქრაძე** — კრიტიკული გულანი, თბ., 1977.
- ზ. გამსახურდია** — ქება და დიდება ქართლისა ენისაჲ. „ცისკარი“, 1987, № 3.
- თ. გამყრელიძე** — მწიგნობრობა ქართული: გაზეთი „ლიტ. საქართველო“, 1987, 20 ნოემბერი.
- თ. გამყრელიძე** — წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
- მ. თარხნიშვილი** — ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში: „ბედი ქართლისა“, 1954, № 16.
- პ. ინგოროყვა** — თხზულებათა კრ. IV, თბ., 1978.
- ავთ. იოსელიანი** — ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- ქ. კეკელიძე** — ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
- ბ. კილანავა** — ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1990.
- ვ. ლიხელი** — დაბლაგომის ასო-ნიშნები: „მაცნე“ (ისტორიის არქეოლოგიის... სერია), 1989, № 4.
- ნ. ლომოური** — კვლევა ბოლნისის დათარიღების საკითხისათვის: „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1986, № 3.

ლი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი უძველესი ძეგლები, რომლებიც ახლებურად აყენებენ ქართული ანბანის გენეზისისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებს (მაგალითად, დავათის ქვაჭარის წარწერები, ატენის სიონის კედლის მხედრული წარწერები, **წ. ალექსიძისა და გ. აბრამიშვილის მიერ IX საუკუნით (875 წლით) დათარიღებული და ა. შ.**).

ქართული ანბანის გენეზისი და საერთოდ მისი სტრუქტურა (გრაფიკის აგების პრინციპები) საფუძვლიანადაა შესწავლილი რ. პატარიძის შრომებში, სადაც ძირითადად განვითარებული ივ. ჯავახიშვილისეული პალეოგრაფიული კვლევის გზა.

ავტორი სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების კრიტიკული შეჯამებისა და უძველესი წერილობითი ძეგლების გამოწველილვითი ანალიზით ასკვნის, რომ არსებობს ქართული დამწერლობის ოთხი ძირითადი სახეობა: 1) მრგვლოვანი ასომთავრული, 2) კუთხოვანი, 3) ნუსხური, 4) მხედრული.

„მხედრული ქართული დამწერლობა, რომელიც ქართულ დამწერლობის განვითარების უკანასკნელი საფეხურია, „პირველ მუხედრულ“ დროიდან ანუ IV საუკუნის დამდეგიდან არსებობს. ვერძოდ, იგი ჩაისახა მაშინ, როცა მირიან მეფის დროს აღორძინდა სრულიად სახელმწიფო მწიგნობრობა ქართულ ენაზე, როცა სასაქეფო კანცელარიაში მწიგნობრობა ქართულ ენაზე დაიწყო შესაბამისად, მხედრული დამწერლობა საერო-საკანცელარიო ანუ მდივანმწიგნობრული დამწერლობაა.

როგორც ცნობილია, მხედრული დამწერლობა საერო დამწერლობად იწოდება, ხოლო „მრგვლოვანი“, „კუთხოვანი“ და „ნუსხური“ ერთი საერთო სახელწოდებით „ხუცური“ ერთიანდებ ე. ი. „ხუცური“ დამწერლობის სამი გრაფიკული სახეობა არსებობს“. (რ. პატარიძე, „ქართული მწიგნობრობა“).

ავტორი ამ შემთხვევაში ემყარება „მატიანე შემეცნებათას“ ცნობას, რომლის მიხედვით, „ხუცური“ ქურუმთა დამწერლობა ნიშნავს. ამიტომ, ცხადია, მრგვლოვანს, კუთხოვანსა და ნუსხურს ქურუმთა დამწერლობა ჰქვია.

საგულისხმოა, რომ „მატიანე შემეცნებათას“ მიხედვით თავდაპირველი ქართული ანბანი, (ე. ი. „მრგვლოვანი“ ასომთავრული) ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე არს

შექმნილი: „...და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ხე-ნი“.

თ. გამყრელიძის აზრით, ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოღებული უნდა იყოს ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. თუმცა მეცნიერი იქვე შენიშნავს: არ არის გამორიცხული, ძვ. წულთაღრიცხვის ეპოქაში ქართველებს ჰქონოდათ სხვა დამოუკიდებელი ანბანი.

ქართული ანბანის გრაფიკული დახვეწილობა და სრულყოფილება, მისი ღირსება და უპირატესობა საქვეყნოდაა ცნობილი. მის საფუძველად დაწერილია უამრავი ქებითი სიმღერა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ **ო. ჯიშკარიანის წიგნი — ალბომი „ანბანთქება“**, სადაც გრაფიკულ ტილოზე მოცემულია ყოველი ასოს აღწერა-დახასიათება.

ლიტერატურა

გ. აბრამიშვილი, წ. ალექსიძე — აღმოჩენა არაგვის ხეობაში: „კომუნისტი“, 1985 წ., 19 მაისი.
გ. აბრამიშვილი — ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1976, № 1.
თ. ბარნაველი — ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
ა. ბაქრაძე — კრიტიკული გულანი, თბ., 1977.
წ. გამახურდია — ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაჲ. „ცისკარი“, 1987, № 3.
თ. გამყრელიძე — მწიგნობრობა ქართული: გაზეთი „ლიტ. საქართველო“, 1987, 20 ნოემბერი.
თ. გამყრელიძე — წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
მ. თარხნიშვილი — ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში: „ბედი ქართლისა“, 1954, № 16.
პ. ინგოროვცა — თხზულებათა კრ. IV, თბ., 1978.
ავთ. იოსელიანი — ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
ქ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
ბ. კილანავა — ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1990.
ვ. ლიჩელი — დაბლაგომის ასო-ნიშნები: „მაცნე“ (ისტორიის არქეოლოგიის... სერია), 1989, № 4.
ნ. ლომოური — კვლავ ბოლნისის დათარიღების საკითხისათვის: „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1986, № 3.

- ფ. მაჭავარიანი — ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982.
- ვ. მაჭავარიანი — ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბ., 1985.
- გ. ნარსიძე — დავათის ქვაჯვარი: „მნათობი“, 1987, № 4.
- გ. ნარსიძე — „ქებაჲს“ ისტორიული პარალელები: „მნათობი“, 1986, № 4.
- შ. ნუცუბიძე — პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები: „მნათობი“, 1959, № 1.
- რ. პატარიძე — ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
- რ. პატარიძე — ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989.
- რ. პატარიძე — „ქება ქართულისა ენისა“: „მნათობი“, 1987, № 1.
- რ. რამიშვილი — არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში: „მნათობი“, 1987, № 8.
- ზ. სარჯველაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ქართული მწერლობა. I, თბ., 1987.
- ა. შანიძე — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- ვ. ჩაჩანიძე — პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1978.
- შ. ძიძიგური — ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
- გ. წერეთელი — უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- გ. წერეთელი — არმაზის ბილინგვა: ენიშის შოაშბე, ტ. XIII, 1942.
- ზ. ჭუმბურიძე — ქართული ხელნაწერების კვლევა: თბ., 1983.
- ივ. ჭავჭავაძე — ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

თ ა ბ ი V

სწავლა-განათლებლისა და კულტურის კერები ძველ საქართველოში და საზღვარგარეთ

1. კულტურის ცენტრები საქართველოში

ქრისტიანობა იმთავითვე იყო მწიგნობრული რელიგია. მან დიდად შეუწყო ხელი ძველ საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის კერების შექმნას, უდავოა, რომ, როცა საქართველოში ქრისტიანობა შემოვიდა, საფუძველი ჩაუყარა საქრისტიანო მწერლობას, შექმნა საქრისტიანო სკოლებიც. უძველესი წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ V—VIII საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა (პრაქტიკული მიზნით

გახსნილი) სკოლები, სადაც ხდებოდა ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება. აქ ასწავლიდნენ საღმრთო წერილს, გალობებს, ფილოსოფიას, უცხო ენებს.

სასკოლო საქმიანობა შესამჩნევად დაწინაურებულა X საუკუნის გასულიდან, როცა ქართველებმა გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. საქართველოდან ბევრი დიდგვაროვანი მიდიოდა საზღვარგარეთ სწავლა-განათლების მისაღებად. სწორედ ასეთი გზით მოხვდნენ უცხოეთში და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ ეფრემ მცირე, იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმიდელი და სხვანი.

საზღვარგარეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობა ხელს უწყობდა საქართველოში სწავლა-განათლების, ლიტერატურული საქმიანობის განვითარებას. IX საუკუნიდან შეიქმნა მძლავრი ლიტერატურული ცენტრები სამხრეთ საქართველოში — ტაო-კლარჯეთის მხარეში. გრ. ხანძთელის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით უდაბნოდ ქცეული უკაცრიელი ტაო-კლარჯეთი ეკლესია-მონასტრებით დაიფარა. თუ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დაწყებამდე ამ კუთხეში ერთადერთი ვადარჩენილი ობიზის მონასტერი იყო წმინდა სავანე, მალე მას მიემართა გრიგოლის მიერ აშენებული ხუთი მონასტერი: სამი მამათა და ორი დედათა. ამათგან მწერლობის ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შატბერდი. აქ არის გადაწერილი ჰადიშის ოთხთავი, ჯრუჭისა და პარხლის სახარება. არაჩაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხანებში ხანძთის, იზნის, ოშკის, ხახულის, ბერთის, პარხლისა და სხვა მონასტრებს.

ტაო-კლარჯეთის მონასტრებმა დიდი როლი შეასრულეს ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აქაა შექმნილი უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც მოგვებოვება IX—X საუკუნეებიდან. აქვე ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, სადაც ქართველთა შემოქმედებითი ნერგვა ისე გაიზარდა, რომ იგი გასცდა საქართველოს ფარგლებს და გავრცელდა საზღვარგარეთის სამონასტრო და სალიტერატურო წრეებში (მცირე აზიაში, ათონში...).

XI—XII საუკუნეების საქართველოში ტრადიციად იქცა ნიჭიერი ქართველი ყმაწვილების გაგზავნა საბერძნეთის სკოლებში,

აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვარგარეთ აღზრდილი და განსწავლული ქართველები იქვე აარსებდნენ ქართულ სკოლებს, სემინარიებს და შემდგომ საკუთარი სკოლის ტრადიციები გადმოქონდათ საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ცნობილია, რომ დავითმა გელათის მონასტრის დიდი ეკლესიის აშენების შემდეგ შემოიკრიბა სწავლული ქართველები, რომ გელათი ქცეულიყო „მეორე ათინად“. მართლაც, გელათის აკადემია გახდა საქართველოში სწავლა-განათლებისა და მწერლობის ცენტრი „სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“.

XI — XII საუკუნეებში, როცა საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული განვითარების მწვერვალს მიაღწია, სკოლები იქმნებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგალითად, უმაღლესი აკადემიები იყო გრემში, იყალთოში (არსენ იყალთოელის მიერ დაარსებული).

საქართველოში არსებული სწავლა-განათლების კერები (უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები) ხელს უწყობდნენ ქართული მწერლობისა და ფილოლოგიური აზროვნების განვითარებას. იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხო ენებიდან მდიდარი ლიტერატურა. სწორედ ამ პერიოდის ქართული კულტურის მონაპოვარია უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

XIII — XVI საუკუნეებში, როცა საქართველო პოლიტიკურად დასუსტდა და დაქვეითდა, შესაბამისად, განადგურდა კულტურული მონაპოვარიც. ბუნებრივია, შეფერხდებოდა სკოლის საქმეც. მაგრამ XVII საუკუნიდან აღორძინების ხანაში კვლავ გამოცოცხლდა კულტურა, ლიტერატურა, მწერლობა; განსაკუთრებით გამრავლდა ელემენტარული, პირველადწყობითი სკოლების რიცხვი თბილისში (სიონის, კალოუბნის, ქაშვეთის, მეტეხის...), გაჩნდა საშუალო სასწავლებლებიც. ამ მხრივ პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ თბილისის სემინარია (გახსნილი 1755 წ. ანტონ კათალიკოსის ინიციატივით), რომლის პირველ რექტორად დაუნიშნავთ ფილიპე ყაითმაზაშვილი.

XVIII საუკუნეში სასკოლო-საგანმანათლებლო საქმე კეთილ და მყარ გზას ადგა, მაგრამ მალე პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო იგი სხვა მიმართულებით წავიდა.

ძველ საქართველოში სკოლების გარდა საეკლესიო მწერლო-

ბისა და საერთოდ მეცნიერული აზროვნების განვითარებას ხელს უწყობდნენ ეკლესია-მონასტრებიც, რომლებიც იქცნენ ნამდვილ შემოქმედებით ცენტრებად როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

2. ქართული კულტურის ცენტრები საზღვარგარეთ

ათონის ივერთა მონასტერი ცნობილი ლიტერატურული ცენტრი ათონის ივერთა მონასტერი დაარსდა 980 — 983 წლებში ბერძენეთში, ათონის მთაზე, ქალკედონის ნ/კ-ზე ტაო-კლარჯეთის სავანეთა მოღვაწეების მიერ. მისი დამაარსებელია იოანე. მან თორბევ ერისთავის მიერ ბრძოლებში მოპოვებული სიმდიდრით ააგო შესანიშნავი მონასტერი, რომელიც გახდა ბიზანტიაში ქართული სულიერი კულტურის მძლავრი კერა. აქ აღმოცენებულ და ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ სკოლას სათავეში ედგნენ ქვეთისე და გიორგი მთაწმინდელები.

ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა ორიგინალური თხზულებები, ქართულად ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ხოლო ქართულიდან ბერძნულად — „სიბრძნე ბალავარისი“.

XIII საუკუნიდან ათონის ივერთა მონასტრის საქმიანობა შენედა, რადგან ბერძენებმა თანდათან იგდეს ხელთ სავანე, XIX საუკუნეში კი მთლიანად დაეპატრონნენ მას.

პეტრიწონის მონასტერი, საზღვარგარეთის ლიტერატურულ ცენტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პეტრიწონის მონასტერს, რომელიც აუშენებია 1083 წელს მაკედონიაში, სოფელ პეტრიწონში (ახლ. ბულგარეთში, სოფ. ბაჩკოვო, ქალაქ პლოვდივის ახლოს) ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილ გრიგოლ ბაკურიანის ძეს. მასვე შეუდგენია მონასტრის „ტიპიკონი“ (წესდება) ქართულ და ბერძნულ ენებზე. მონასტერს ჰქონდა საკუთარი სემინარიაც, სადაც სამღვდლოდ ამზადებდნენ ქართველ ბავშვებს.

სემინარიაში ასწავლიდნენ მანგანის აკადემიიდან გამოსული ქართველი მოღვაწენი. ცნობების მიხედვით, სემინარიის პირველი რექტორი იყო იოანე, რომელმაც ამ მონასტრისაგან მიიღო სახელი პეტრიწო.

XI—XII საუკუნეებში პეტრიწონის მონასტერი გახდა ჩველ მწერლობის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი. იქაურ მწიგნობრულ საქმიანობას, ტრადიციული აზრით, თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტერატურულ ფილოსოფიურმა სკოლამ (პეტრიწონულმა სკოლამ) კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს. პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე ქართველებმა ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტარებით ხელი შეუწყვეს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას.

XIII საუკუნის დასაწყისში (1204 წ.) ჯვაროსნებმა პეტრიწონის მონასტერი დაარბიეს და გაძარცვეს, ამიტომ მონასტრის საქმიანობა ძალიან შეფერხდა. მიუხედავად ამისა, სამონასტრო ცხოვრება შემდგომ წლებშიც (XIV საუკუნეშიც) გრძელდებოდა.

ჯვრის მონასტერი. XI საუკუნის I ნახევარში პალესტინაში იერუსალიმში, ქართველმა მოღვაწემ **გიორგი პროხორე შავშელმა** დააარსა საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით ჯვრის მონასტერი. პროხორეს მონასტრის შენება დაუწყებულა ექვთიმე მთაწმინდის ბრძანებით.

გადმოცემით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც თითქოს ქრისტე აცვეს.

პროხორეს მონასტერში შემოუკრებიდა 80-მდე ქართველი მოღვაწე, რომელთაც დაუწყიათ ლიტერატურული საქმიანობა (ითარგმნებოდა და იწერებოდა თხზულებანი). 1071 წელს იერუსალიმის აღებისას მონასტერი დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს თურქ-სელჩუკებმა, მაგრამ დავით აღმაშენებლის დახმარებით იგი კვლავ აღადგინეს და მოხატეს.

1273 წელს მონასტერი ჩამოერთვა ქართველებს და გადაკეთდა მეჩეთად, თუმცა მალე ქართველი მეფეების ჩარევით კვლავ დაიბრუნეს მონასტერი, სადაც XVII საუკუნის 40-იან წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (ირბახს) დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩატარებია — მოუხატინებია კედლები, გუმბათი.

XIX საუკუნიდან მონასტერი მთლიანად ბერძნების ხელში გადავიდა.

ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: **არსენ ივანეთელი, ნიკოლოზ I გულაბრის ძე...** ტრადიციული გადმოცემით,

თხანს თითქოს აქ მოღვაწეობდა **შოთა რუსთაველიც** (მთავარი ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი (II-XIII ს.).

საბაწმინდის ლავრა. პალესტინაში ქართველთა სამონასტრო ცხოვრება V საუკუნიდან იწყება. განსაკუთრებით ცნობილი გახდა საბაწმინდის ლავრა.

საბაწმინდის ლავრაში დააარსა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ **საბა განწმინდილმა** (439-532 წწ.) V საუკუნის 80-იან (483) წლებში. აქ შექმნა მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი ქართულ, სირიულ, სომხურ, არაბულ ენებზე. VIII-IX საუკუნეებში გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა, განვითარდა ორიგინალური პიზნოგრაფია, თარგმნითი ლიტერატურა, გახშირდა ხელნაწერთა დამზადება, დაოსტატდნენ კალიგრაფები (მაკარი ლეთელი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე).

საბაწმინდის ლავრაში XI საუკუნემდე წარმოებდა ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა, მაგრამ XI საუკუნიდან არაბთა შემდმებული თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯის გამო საბას ლავრამ დაკარგა თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა და მალე დატოვებულა კიდეც. ქართველებმა მიატოვეს იქაურობა და სხვა მონასტრებს მიაშურეს; ხელნაწერებიც თან გადაიტანეს ახალ ადგილში. ამიტომაც საბაწმინდის ლავრის ქართულ ხელნაწერთა მრავლესობა სინის მთაზეა დაცული, ორიოდვე მათგანი ინახება ბილისსა და ლენინგრადში.

სინის მთის მონასტერი. სინის მთის მონასტერი ძველი ქართული მწიგნობრობის კერა იყო საზღვარგარეთ (მდებარეობს არაბეთის ნ/კ-ის დასავლეთით, სინის ნ/კ-ის სამხრეთ სექტორში).

სინის მთის ეკატერინეს მონასტერში უძველესი დროიდან მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, ქართველები და სხვები.

სინის მთაზე VI საუკუნიდან ცხოვრობდა თითო-ორთა ქართველი, მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა ქართველთა სათვისტოო. მალე მას მიაშურეს X საუკუნეში არაბების ძალმომრეობით ეციწოებულმა ქართველმა მოღვაწეებმა პალესტინის სავანეებიდან. იქ გადახვეწილმა ქართველმა სწავლულებმა შექმნეს მწერლობის მძლავრი კერა. ისინი არსებითად აგრძელებდნენ პალესტინის ქართული კულტურის ტრადიციებს. სინის მთის მონას-

ა. შანიძე — ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ. ტ. IX, 1986.

ზ. ჭუმბურიძე — ქართული ხელნაწერების კვლევა, თბ., 1983.

თავი VI

ქართული გრამატიკული აზროვნების ჩასახვა და განვითარება საქართველოში

I. ენათმეცნიერული აზროვნების მოკლე ისტორია

ენათმეცნიერება (ანუ უცხოურად ლინგვისტიკა) არის მეცნიერება ენის შესახებ. ამ საგანს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბევრი ენათმეცნიერული პრობლემა სათავეს იღებს ჩვენს ერამდე. პირველი ლინგვისტიკური აზროვნება იწყება ენის ფონოლოგიური სისტემის დადგენით, კერძოდ, ანბანის — დამწერლობის შექმნით...

პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი დაიწერა ძვ. წ. V საუკუნეში ძველ ინდოეთში. ესაა პანინის გრამატიკა, სადაც ემპირიულადაა აღწერილი ენობრივი ფორმები, ნათლად და ზუსტად არის წარმოდგენილი ბგერითი სისტემა, მორფოლოგია და სინტაქსი, მაგრამ აქ არაა დასმული და გაანალიზებული ენათმეცნიერების ზოგადი საკითხები, რადგან პანინის გრამატიკა წმინდა ნორმატიული გრამატიკაა, შექმნილი საგანგებო საჭიროებით, პრაქტიკული მოთხოვნილების საფუძველზე.

მკვლევართა აზრით, ძველ ინდოეთში საჭირო იყო უძველესი საკულტო ჰიმნების — ვედების შესწავლა. ვედები კი, მეცნიერთა ვარაუდით, შეიქმნა ძვ. წ. 1500 წლის წინათ, საზოგადოდ, სასაუბრო ცოცხალი ენა უფრო სწრაფად იცვლება, შორდება სამწერლობო ენას და, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც ძვ. წ. V საუკუნის ინდოელთათვის დაახლოებით 1000 წლის წინათ შექმნილი ჰიმნის ზოგიერთი ადგილი გაუგებარი იქნებოდა, გარდა ამისა, თვით საკულტო რიტუალი მოითხოვდა სასულიერო ჰიმნების გადმოცემას მკაცრი სიზუსტით, ყველა უმნიშვნელო დეტალის გათვალისწინებით.

ანტიკურ ხანაშივე წარმოიშვა ენათმეცნიერული აზროვნება

ტერში საქმიანობდნენ მწიგნობრები, პოეტები, კალიგრაფები, წიგნთა მძოსველები (იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე, იოანე კუშურდოელი...). მათი ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნსაცავი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს იქაურ ქართველთა მრავალფეროვან ლიტერატურულ ინტერესებს. (X საუკუნეში მათ ჰქონდათ არა მხოლოდ ბიბლიოთეკა, არამედ სამკითხველო დარბაზი და სპეციალური კატალოგიც.) სინის მთის ქართული ხელნაწერებიდან ზოგი დღესაც იქ არის დაცული, ზოგი კი თბილისის, ლენინგრადის, პრატის, გრაცის, აშშ-ისა და სხვა ბიბლიოთეკებში ინახება.

შავი მთის მონასტერი. აღმოსავლეთ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ ანუ საკვირველ მთაზე, არსებობდა ქართველთა სამონასტრო ცენტრები. კ. კეკელიძის აზრით, VII საუკუნიდან ქართველები შავ მთაზე ეწეოდნენ სამონასტრო ცხოვრებას. აქ მოღვაწეობდა სვიმეონ მესვეტი, რომლის სახელი დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ისტორიასთან. სვიმეონის სავანე არ ითვლებოდა ქართველთა სამწერლობო ცენტრად, რადგან აქ არ წარმოებდა არავითარი ლიტერატურული საქმიანობა, მაგრამ შავი მთის მონასტრებში განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა შავ მთაზე დასახლდა სამხრეთ საქართველოდან ჩამოსული მრავალი მოღვაწე. მათ შორის იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსები და ლიტერატორები: გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, საბა თუხარელი, ანტონ ტბელი და სხვები. XI საუკუნის II ნახევარში აქ 60-მდე ქართველი მოღვაწეობდა. შავ მთაზე ქართული მონასტერი XIII საუკუნეშიც არსებობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, მონასტერი დანგრეულ-გავერანებულ იქნა, ქართველებმაც იძულებით სამუდამოდ მიატოვეს იქაურობა.

XIII საუკუნის შემდეგ შავი მთის ლიტერატურული ცენტრი მოიშალა.

ლიტერატურა

კ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
დ. შენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები, I—II ტ., თბ., 1980.
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ძველ საბერძნეთშიც, სადაც ენის საკითხები განიხილებოდა უმისრატესად ფილოსოფიურ ასპექტში. რამდენადაც ბერძნული ფილოსოფია აერთიანებდა ყველა მეცნიერებას, მათ შორის ენათმეცნიერებას, ამ დროის ენათმეცნიერულ აზროვნებაში ძირითადი იყო ფილოსოფიური პრობლემები. მაგალითად, სახელისა და საგნის (აღმნიშვნელისა და აღსანიშნის) ურთიერთშემძარბება, ამასთან დაკავშირებით ფილოსოფოსთა შორის წარმოიშვა ორ მიმართულება. პირველი ამტკიცებდა, რომ საგნისა და მოვლენის სახელწოდებას განსაზღვრავს თვით საგნის ბუნება, ე. ი. სახელები საგანთა ბუნებით იყო წაკარნახევი. მეორე მიმართულება ავითარებდა საწინააღმდეგო აზრს: კავშირი სახელსა და საგანს შორის ნებისმიერია, სახელი საგნის ბუნებიდან არ გამომდინარეობს (უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა დღევანდლამდე რჩება მეტად აქტუალურ საკითხად ზოგად ლინგვისტიკაში). ბერძენი სწავლულები ენის ფილოსოფიური პრობლემების ფარდა იკვლევდნენ ნორმატიული გრამატიკის საკითხებსაც. მაგალითად, პლატონი ახდენდა სიტყვათა კლასიფიკაციას ორ დიდ ჯგუფად: სახელებად და ზმნებად. იგივე საკითხი უფრო დაწვრილებითაა განხილული არისტოტელეს შრომებში: „პოეტიკაში“, „რიტორიკაში“.

ბერძნული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში დიდი დამსახურება მიუძღვის სახელგანთქმულ სტოელთა ფილოსოფიურ სკოლას, რომელთა მიმართულება სტოიციზმის სახელითაა დღესაც ცნობილი (სტოიციზმი წარმოიშვა საბერძნეთში ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს).

სტოელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ენობრივი პრობლემებისადმი. მაგალითად, მათ აღნუსხეს და დაახასიათეს ზოგიერთი გრამატიკული კატეგორია. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველმა ბერძნულმა გრამატიკულმა ტერმინოლოგიამ დღევანდლამდე შოალწია და დამკვიდრებულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ბრუნვის სახელები; სახელობითი, შიკეშითი, ნათესაობითი...), სტოელოებმა განასხვავეს, აგრეთვე, ერთმანეთისაგან პირდაპირი და ირიბი ბრუნვები (ქვემდებარისა და სხვა წევრების ბრუნვები).

ენათმეცნიერების განვითარების შემდგომი ეტაპი უკავშირდება ელინისტური ხანის ალექსანდრიის ფილოსოფიურ სკოლას.

აქ უფრო მეტი ყურადღება მიექცა გრამატიკის პრაქტიკულ დანიშნულებას. მისი უმთავრესი მიზანი იყო ენის სიწმინდის დაცვა. ასე რომ, ძველი ინდური გრამატიკის მსგავსად საბერძნეთშიც ენათმეცნიერება თანდათან იღებს ფილოლოგიურ ხასიათს. ამ დროს საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება ბერძნული ენის ბგერითი სისტემის დამუშავებაზე.

ძვ. წ. II საუკუნეში ალექსანდრიაში დაიწერა პირველი გრამატიკა „ტიქნე გრამატიკე“, რომლის შექმნა თეორიული ინტერესის გარდა პრაქტიკული საჭიროებითაც იყო ნაკარნახევი. წინანდელი წერილობითი ძეგლების ენა ძნელი გასაგები ხდებოდა ბერძენთათვის. ამიტომ აუცილებელი გახდა ძველი ბერძნული თხზულებების ენის შესწავლა და სათანადო კომენტარების შედგენა, რაც კიდევაც შეძლეს ალექსანდრიელმა მეცნიერებმა. მათი მუშაობის შედეგები დიონისე თრაკიელმა ჩამოაყალიბა „ტიქნე გრამატიკეში“. რადგან პირველ გრამატიკოსებს საქმე ჰქონდათ წერილობითი ძეგლების ენასთან და დამწერლობასთან, ამიტომ მათ მიერ მოცემული სახელწოდება „ტიქნე გრამატიკე“ („ხელოვნება გრამატიკისა“) თავისი საგნით გამართლებული იყო. „გრამატიკე“ ბერძნული სიტყვაა, მისთვის ამოსავალია „გრამმა“, რომლის ქართული შესატყვისია ნიშანი, ასო, ზედწერილი, წერილი, წიგნი, თხზულება.

თავდაპირველი გაგებით, გრამატიკა საწერაკითხვო ხელოვნებაა, იგი ასწავლის „სწორ ლაბარაკსა და კანონიერ წერას“. ტერმინი „გრამატიკა“ დღემდე შემოგვრჩა, მაგრამ მისი გაგება შეიცვალა. დღეს გრამატიკა მეცნიერებაა. იგი სწავლობს ენის ნორმებს, სიტყვის ფორმასა და ფუნქციას. „ტიქნე გრამატიკეში“ კარგადაა დამუშავებული მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია, ეს კლასიფიკაცია მეტ-ნაკლები ცვლილებით დღესაც გავრცელებულია სხვადასხვა ენის გრამატიკაში.

მასასადამე, ბერძნული ლინგვისტური აზროვნების ისტორიაში გამოყოფენ ორ პერიოდს: ფილოსოფიურსა და ალექსანდრიულს.

გრამატიკული აზროვნება თანდათან ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სხვა ხალხების ენათა წილშიც. მართალია, რომელ გრამატიკოსებს ენათმეცნიერებაში ორიგინალური თითქმის არაფერი შეუქმნიათ (მათ ძირითადად გადაქონდათ ლათინ-

ნურ ენაში ბერძნული ენისათვის გამომუშავებული სქემები და ტაბულები), მაგრამ ბერძნულმა გრამატიკულმა ტერმინოლოგიამ სწორედ ლათინური ენის გზით მოაღწია ჩვენამდე.

საშუალო საუკუნეების ენათმეცნიერულ აზროვნებაში სიახლე თითქმის არ გვხვდება. ამ ხანებში ლათინური იყო ერთადერთი ენა, რომელიც შეისწავლებოდა, ამიტომაც იგი გახდა მეცნიერების ენა. შესაბამისად, ლათინურის გრამატიკა იქცა ნორმატულ გრამატიკად, მისგან იღებდნენ მზამზარეულ სქემებსა და ტერმინებს სხვა ენის გრამატიკებისათვის.

XVII — XVIII საუკუნეები მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების ისტორიაში. ამ დროს შეიქმნა ე. წ. რაციონალური გრამატიკა.

რაციონალური ანუ უნივერსალური გრამატიკა დამუშავდა 1660 წელს პორ-როილის მონასტერში (საფრანგეთი). ეს იყო პირველი ზოგადი გრამატიკა, რაციონალური გრამატიკის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ყველა ენა არის სხვადასხვაგვარი გამოსატყულება ერთი და იმავე ლოგიკური სტრუქტურისა. არსებითია სწორედ ეს სიღრმული საერთო სტრუქტურა და არა ენათა ინდივიდუალური თავისებურებანი, აქედან გამომდინარეობდა დასკვნა: შესაძლებელია შეიქმნას ისეთი გრამატიკა, რომელიც ამ ზოგად ლოგიკურ სტრუქტურას დაეყრდნობოდა და საერთო (უნივერსალური) იქნებოდა ყველა ენისათვის (ამგვარ უნივერსალურ გრამატიკაზე XX საუკუნეშიც მსჯელობდნენ დანიელი სტრუქტურალისტები).

ენათმეცნიერული აზროვნების შემდგომ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა, რომელიც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

2. ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან

ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის სათავე შორეულ წარსულშია საძიებელი. უძველესი დამწერლობის მქონე ხალხი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა თავისი ენის სრულყოფა-განვითარებას, ენობრივი ნორმების შემუშავებას.

მართალია, X — XI საუკუნეებამდელი რაიმე ენობრივი ტრაქტატი, გრამატიკული ნაშრომი არ მოგვეპოვება (უფრო ზუსტად არ მოღწეულა ჩვენამდე), მაგრამ უძველესი წერილობითი ძეგლების (ხელნაწერების) ენობრივი მხარე აშკარად ცხადყოფს, რომ კვადამწერები უდავოდ იყენებდნენ საგანგებოდ შემუშავებულ გრამატიკულ წესებს, ნორმებს.

ქართული ფილოლოგიური აზროვნების განვითარებას შეიძლება თვალი ვაღვწევოთ X-XI საუკუნეებში. ცნობილია, რომ ამ პერიოდის ეკლესია-მონასტრებში წარმოებდა ფართო ლიტერატურული საქმიანობა, წარმოიშვა მძლავრი კულტურის კერები — აკადემიები (უმადლესი სასწავლებლები) იყალთოში, გრემში, ჭელათში.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური ფილოლოგიური საქმიანობა იყო გაჩაღებული საზღვარგარეთის კულტურის ცენტრებში: სირია-პალესტინაში, ჯვრის მონასტერში, ათონის მთაზე, პეტრიწონში...

ამ დროს იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა ბერძნული და სპარსული ლიტერატურის ნიმუშები, ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ტექსტების გამართვა ენობრივად, ახალი ტერმინების შემოღება და მისთან. ამგვარი პრაქტიკული საჭიროება თეორიულ ინტერესთან ერთად ბუნებრივად უწყობდა ხელს ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებას.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართული გრამატიკული აზროვნების სათავედ ჯერჯერობით უნდა ჩაითვალოს X-XI საუკუნეები, როცა ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი სწავლულები, ფილოსოფოსები: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები.

ეფრემ მცირე

ეფრემ მცირე იყო XI საუკუნის II ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ცოტა მოგვეპოვება. კ. კეკელიძის აზრით, ეფრემი უნდა იყოს შვილი ტაოელი აზნაურის ვაჩე კარიჭის ძისა, რომელიც იზიარებდა ბიზანტიის ორიენტაციას და კიდევ წასულა

კონსტანტინობოლში საცხოვრებლად. საფიქრებელია, ეფრემი დაბადა კონსტანტინობოლში ან ძალიან მცირეწლოვანი წაუყვანიათ საზღვარგარეთ.

ეფრემს ბავშვობა გაუტარებია კონსტანტინობოლში, აქვე მიუღია საფუძვლიანი განათლება და ზედმიწევნით შეუსწავლია ბერძნული ენა.

ეფრემი წასულა შავ მთაზე სამოღვაწეოდ. იგი აურჩევიათ ვასტიანის მონასტრის წინამძღვრად შავი მთის ქართულ კოლონი-აში (აქვე უნდა იყოს გარდაცვლილი). იქაური ქართველი მოღვაწეება ემსახურებოდნენ ქართული მწერლობის აყვავებისა და განვითარების საქმეს. მათ კარგად იცოდნენ ეფრემის ნიჭისა და განათლების შესახებ, ამიტომ სათანადოდაც გამოიყენეს მისი განსწავლულობა და დაავალეს ბერძნული წიგნების თარგმანა.

ეფრემ მცირემ შექმნა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რაც ძირითადად სამი პრინციპით განისაზღვრება: 1) თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს; 2) თარგმანი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს (თუმცა მთარგმნელმა არ უნდა შელახოს მშობლიური ენის ბუნება); 3) დედნის ტექსტის სწორად გასაგებად თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები (შენიშვნები).

შავი მთის ქართულ კოლონიაში შესანიშნავი პირობები იყო ეფრემ მცირის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. აქ არსებული მწერალთა და ლიტერატორთა მთელი წრე. ეფრემის ორიგინალური თუ ხათარგმნი ნაშრომები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯარგებად: 1) ბიბლიოლოგია, 2) ეგზეგეტიკა, 3) დოგმატიკა და პოლემიკა, 4) ასკეტიკა და მისტიკა, 5) აგიოგრაფია და ისტორია, 6) ჰომილეტიკა, 7) ფილოსოფია.

ეფრემი ფართო პროფილის მეცნიერია. მისი ღრმა ერუდიცია ჩანს ყველა დარგში, განსაკუთრებით თარგმანში. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში; გარდა ამისა, XI-XII საუკუნეების საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას, ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავებას. მის მიერ შემოღებული მრავალი ფილოსოფიური ტერმინი დღესაც იხმარება.

ეფრემ მცირის სახელთანაა დაკავშირებული ენათმეცნიერული საკითხების დამუშავება-დაზუსტებაც. როცა იგი ბერძნულიდან

თარგმნიდა თხზულებას, ძალიან ფრთხილად ექცეოდა თარგმანს. საჭირო შემთხვევაში საკუთარ შენიშვნებსა და განმარტებებს მიაწერდა აშიაზე. დედნის სიზუსტის, მისი შინაარსის გასაადვილებლად შემოიღო საკუთარი სისტემა პუნქტუაციისა: ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი, ექვსწერტილი, რომელიც ქართულ მწერლობაში დაკანონდა კიდეც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეფრემ მცირეს ფსალმუნის თარგმანის ტექსტზე დაურთავს „შესავალი“ (შენიშვნები), რომელიც, მკვლევართა აზრით, ჯერჯერობით არის პირველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. ვარდა ამისა, ეფრემს ვარაუდობენ უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყუაჲ ართრონთაჲს“ ავტორად.

ეფრემ მცირეს შენიშნული აქვს ბევრი საინტერესო ენობრივი შოგლენა და ფაქტი, რომელთა შესახებ გამოთქმულია სათანადო თვალსაზრისიც. ამიტომაც სამართლიანადაა დაკავშირებული მის სახელთან ქართული ფილოლოგიური აზრის სათავე.

იოანე პეტრიწი

XI საუკუნის გასულისა და XII საუკუნის დამდეგის ქართულ მწერლობას ამშვენებს დიდი მეცნიერისა და ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სახელი. მის შესახებ ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ვარაუდობენ, რომ იოანე პეტრიწი იყო სამცხიდან, დიდგვაროვანთა შთამომავალი.

იოანე სწავლობდა კონსტანტინობოლში, მანგანის აკადემიაში, რომელიც ამ დროისათვის წარმოადგენდა ელინელთა კულტურის ცენტრს. იოანე ყოფილა ბიზანტიური რენესანსის უდიდესი ფილოსოფოსების — მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მოწაფე.

1084 წლიდან, როცა იოანე და მისი მასწავლებლები კონსტანტინეპოლიდან გააძევეს. იგი დამკვიდრდა ბულგარეთში, ქაოფელთა პეტრიწონის მონასტერში და 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიოში განთქმულ პეტრიწონის კულტურის კერას. ამავე დროს იყო ამ მონასტერთან არსებული სემინარიის პირველი რექტორიც. პეტრიწონში გატარებული წლები

კონსტანტინოპოლში საცხოვრებლად, საფიქრებელია, ეფრემი დაიბადა კონსტანტინოპოლში ან ძალიან მცირეწლოვანი წაუყვანიათ საზღვარგარეთ.

ეფრემს ბავშვობა გაუტარებია კონსტანტინოპოლში, აქვე მიუღია საფუძვლიანი განათლება და ზედმიწევნით შეუსწავლია ბერძნული ენა.

ეფრემი წასულა შავ მთაზე სამოღვაწეოდ. იგი აურჩევითი ვასტინის მონასტრის წინამძღვრად შავი მთის ქართულ კოლონი-აში (აქვე უნდა იყოს გარდაცვლილი). იქაური ქართველი მოღვაწეება ემსახურებოდნენ ქართული მწერლობის აყვავებისა და განვითარების საქმეს. მათ კარგად იცოდნენ ეფრემის ნიჭისა და განათლების შესახებ, ამიტომ სათანადოდაც გამოიყენეს მისი განსწავლულობა და დაავალეს ბერძნული წიგნების თარგმნა.

ეფრემ მცირემ შექმნა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რაც ძირითადად სამი პრინციპით განისაზღვრება: 1) თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს; 2) თარგმანი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს (თუმცა მთარგმნელმა არ უნდა შელახოს მშობლიური ენის ბუნება); 3) დედნის ტექსტის სწორად გასაგებად თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები ("შენიშვნები").

შავი მთის ქართულ კოლონიაში შესანიშნავი პირობები იყო ეფრემ მცირის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. აქ არსებულა წმინდა და ლიტერატორთა მთელი წრე. ეფრემის ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაშრომები შეიძლება დავყოთ შემდეგ დარგებად: 1) ბიბლიოლოგია, 2) ეგზეგეტიკა, 3) დოგმატიკა და პოლემიკა, 4) ასკეტიკა და მისტიკა, 5) აგიოგრაფია და ისტორია, 6) პოძილეტიკა, 7) ფილოსოფია.

ეფრემი ფართო პროფილის მეცნიერია. მისი ღრმა ერუდიცია ჩანს ყველა დარგში, განსაკუთრებით თარგმანში. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში; გარდა ამისა, XI-XII საუკუნეების საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას, ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავებას. მის მიერ შემოღებული მრავალი ფილოსოფიური ტერმინი დღესაც იმარება.

ეფრემ მცირის სახელთანაა დაკავშირებული ენათმეცნიერული საკითხების დამუშავება-დაზუსტებაც. როცა იგი ბერძნულიდან

თარგმნიდა თხზულებას, ძალიან ფრთხილად ექცეოდა თარგმანს. საჭირო შემთხვევაში საკუთარ შენიშვნებსა და განმარტებებს მიუწერდა ამაზე. დედნის სიზუსტის, მისი შინაარსის გასაადვილებლად შემოიღო საკუთარი სისტემა პუნქტუაციისა: ერთწერ-ტილი, ორწერტილი, სამწერტილი, ექვსწერტილი, რომელიც ქართულ მწერლობაში დაკანონდა კიდეც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეფრემ მცირეს ფსალმუნის თარგმანის ტექსტზე დაურთავს „შესავალი“ (შენიშვნები), რომელიც, მკვლევართა აზრით, ჭერჯერობით არის პირველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. გარდა ამისა, ეფრემს ვარაუდობენ უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყუაძ ართრონთათჳს“ ავტორად.

ეფრემ მცირეს შენიშნული აქვს ბევრი საინტერესო ენობრივი მოვლენა და ფაქტი, რომელთა შესახებ გამოთქმულია სათანადო თვალსაზრისიც. ამიტომაც სამართლიანადაა დაკავშირებული მის სახელთან ქართული ფილოლოგიური აზრის სათავე.

იოანე პეტრიწი

XI საუკუნის გასულისა და XII საუკუნის დამდეგის ქართულ მწერლობას ამშვენებს დიდი მეცნიერისა და ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სახელი. მის შესახებ ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ვარაუდობენ, რომ იოანე პეტრიწი იყო სამცხიდან, დიდგვაროვანთა შთამომავალი.

იოანე სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, რომელიც ამ დროისათვის წარმოადგენდა ელინელთა კულტურის ცენტრს. იოანე ყოფილა ბიზანტიური რენესანსის უდიდესი ფილოსოფოსების — მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მოწაფე.

1084 წლიდან, როცა იოანე და მისი მასწავლებლები კონსტანტინეპოლიდან გააძევეს. იგი დამკვიდრდა ბულგარეთში, ქართველთა პეტრიწონის მონასტერში და 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიოში განთქმულ პეტრიწონის კულტურის კერას. ამავე დროს იყო ამ მონასტერთან არსებული სემინარიის პირველი რექტორიც. პეტრიწონში გატარებული წლები

ითვლება იოანესათვის სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო ხახად.

1106 წლიდან იოანე პეტრიწი დავით აღმაშენებლის მოწვევით მოღვაწეობას იწყებს გელათის აკადემიაში.

იოანე პეტრიწი მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსი იყო. მისი მდიდარი შემოქმედებითი შემკვიდრება წარმოდგენილია თარგმნითი და ორიგინალური ფილოსოფიური თხზულებებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით. მან ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა ბიბლიური წიგნები, მასვე მიაწერენ ქართული გრამატიკის შედგენასაც.

იოანე პეტრიწმა შექმნა ლიტერატურული სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე. მეტად თავისებური და ორიგინალურია პეტრიწის თხზულებათა ენა და სტილი, მაგრამ არ არის ხელოვნური. იგი ქმნიდა ახალ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას. ფონეტიკისა და გრამატიკის სფეროში იოანე პეტრიწის ენა ასახავს იმდროინდელ ქართულ სამწერლობო ენაში არსებულ გარდატეხის პერიოდს. თავის თანამედროვეთაგან ყველაზე მეტად სწორედ იოანე პეტრიწის ენაშია წარმოდგენილი ის ძეგბა, რომლებიც წარმოშვა ძველსა და ახალ ენობრივ მოვლენებს შორის მიმდინარე ბრძოლამ. ამიტომ იოანე პეტრიწის ენა მნიშვნელოვანი წყაროა ქართული ენის ისტორიული კვლევისათვის საზოგადოდ (დ. მელიქიშვილი).

იოანე პეტრიწმა დიდი გავლენა მოახდინა ძველ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, საერო პოეზიაზე, საისტორიო მწერლობაზე, განსაკუთრებით ანტონ პირველის მეცნიერულ შემკვიდრებაზე.

არსენ ივალთოელი

არსენ ივალთოელი იყო XI—XII საუკუნეების ქართველი ხასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი; წყაროებში იხსენიება ვახტანგ დედ. წარმოშობით ივალთოდან ყოფილა, განათლება მიუღია ბიზანტიაში, ე.წ. მანგანის აკადემიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი. აქვე დაუწყია მთარგმნელობითი მოღვაწეობა. XI საუ-

კუნის 80-იან წლებში არსენი შავ მთაზეა, ქართველთა კოლონი-აში, მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით, ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენი დაბრუნებულია მანგანის მონასტერში, მერმე კი ჩამოსულა საქართველოში, გელათის აკადემიაში.

ტრადიციული ცნობის მიხედვით, დავით აღმაშენებლის დახმარებით არსენს ივალთოს მონასტერთან დაუარსებია აკადემია და მისი პირველი რექტორიც ყოფილა. საბოლოოდ დამკვიდრებულია შიო მღვიმის მონასტერში. არსენს მიუღია ფართო განათლება. იგი ყოფილა ქართული და ბერძნული ენების საუკეთესო მცოდნე. ეფრემ მცირის მოწაფეს, ბუნებრივია, შეთვისებული ექნებოდა იმდროინდელი ფილოლოგიურ-ლიტერატურული კვლევის ტრადიციები.

არსენ ივალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში — „ღოგმატიკონში“ — მოათავსა ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები. მას უთარგმნია საქართველოში ყოფნის დროს დიდი სჯულის კანონი. იგი თარგმანს ურთავდა საინტერესო შენიშვნებს, სჭოლიოებს. მკვლევართა ვარაუდით, შესაძლებელია არსენი იყოს უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ავტორი.

არსენ ივალთოელს მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ („ანატომიკოსად“; ანტონ I, იოანე ბაგრატიონი), მასვე შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო*, რითაც ასწავლიდა გელათისა და ივალთოს აკადემიებში.

არსენ ივალთოელი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისმა ფილოლოგიურმა ნააზრევმა გარკვეულად შეუწყო ხელი ქართული გრამატიკული აზრის განვითარებას. N

3. „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის საწყისი, მართალია, ჯერჯერობით წყვედიადითაა მოცული, მაგრამ V—X საუკუნეების წერილობითი ძეგლების ენა, იოანე პეტრიწის, ეფრემ

* ამის შესახებ მიუთითებს ანტონ I.

ითვლება იოანესათვის სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო ხახად.

1106 წლიდან იოანე პეტრიწი დავით აღმაშენებლის მოწვევით მოღვაწეობას იწყებს გელათის აკადემიაში.

იოანე პეტრიწი მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსი იყო, მისი მდიდარი შემოქმედებითი შემკვიდრება წარმოდგენილია თარგმნითი და ორიგინალური ფილოსოფიური თხზულებებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით. მან ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა ბიბლიური წიგნები, მასვე მოაწერენ ქართული გრამატიკის შედგენასაც.

იოანე პეტრიწმა შექმნა ლიტერატურული სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე. მეტად თავისებური და ორიგინალურია პეტრიწის თხზულებათა ენა და სტილი, მაგრამ არ არის ზელოვნური. იგი ქმნიდა ახალ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას. ფონეტიკისა და გრამატიკის სფეროში იოანე პეტრიწის ენა ასახავს იმდროინდელ ქართულ სამწერლობო ენაში არსებულ გარდატეხის პერიოდს. თავის თანამედროვეთაგან ყველაზე მეტად სწორედ იოანე პეტრიწის ენაშია წარმოდგენილი ის ძვრება, რომლებიც წარმოშვა ძველსა და ახალ ენობრივ მოვლენებს შორის მიმდინარე ბრძოლამ. ამიტომ იოანე პეტრიწის ენა მნიშვნელოვანი წყაროა ქართული ენის ისტორიული კვლევისათვის საზოგადოდ **(დ. მელიქიშვილი)**.

იოანე პეტრიწმა დიდი გავლენა მოახდინა ძველ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, საერო პოეზიაზე, საისტორიო მწერლობაზე, განსაკუთრებით ანტონ პირველის მეცნიერულ შემკვიდრეობაზე.

არსენ იყალთოელი

არსენ იყალთოელი იყო XI—XII საუკუნეების ქართველი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი; წყაროებში იხსენიება ვახტანგ ძედ. წარმოშობით იყალთოდან ყოფილა, განათლება მიუღია ბიზანტიაში, ე.წ. მანგანის აკადემიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი. იქვე დაუწყია მთარგმნელობითი მოღვაწეობა, XI საუ-

კუნის 80-იან წლებში არსენი შავ მთაზეა, ქართველთა კოლონიაში, მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით, ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენი დაბრუნებულა მანგანის მონასტერში, მერმე კი ჩამოსულა საქართველოში, გელათის აკადემიაში.

ტრადიციული ცნობის მიხედვით, დავით აღმაშენებლის დახმარებით არსენს იყალთოს მონასტერთან დაუარსებია აკადემია და მისი პირველი რექტორიც ყოფილა. საბოლოოდ დაშკვდრებულა შიო მღვიმის მონასტერში. არსენს მიუღია ფართო განათლება. იგი ყოფილა ქართული და ბერძნული ენების საუკეთესო მცოდნე. ეფრემ მცირის მოწაფეს, ბუნებრივია, შეთვისებული ექნებოდა იმდროინდელი ფილოლოგიურ-ლიტერატურული კვლევის ტრადიციები.

არსენ იყალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში — „ღოგმატიკონში“ — მოათავსა ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-ეთოლოგიური თხზულებები. მას უთარგმნია საქართველოში ყოფნის დროს **დიდი სჯულის კანონი**. იგი თარგმნის ურთავდა საინტერესო შენიშვნებს, სქოლიოებს, მკვლევართა ვარაუდით, შესაძლებელია არსენი იყოს უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ავტორი.

არსენ იყალთოელს მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ („ანატომიკოსად“; ანტონ I, იოანე ბაგრატიონი), მასვე შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო*, რითაც ასწავლიდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში.

არსენ იყალთოელი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-ეთოლოგიური სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისმა ფილოლოგიურმა ნააზრევმა გარკვეულად შეუწყო ხელი ქართული გრამატიკული აზრის განვითარებას.

მ. „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის საწყისი, მართალია, ჯერჯერობით წყვედადითაა მოცული, მაგრამ V—X საუკუნეების წერილობითი ძეგლების ენა, იოანე პეტრიწის, ეფრემ

* ამის შესახებ მიუთითებს ანტონ I.

შვირის, არსენ იყალთოელისა და სხვათა მიერ გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობა უდავოდ ცხადყოფს ძველი ქართული ენობრივი ტრაქტატის არსებობას... „X—XII საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ, არამედ ჰქონდათ კიდევ საკუთარი გრამატიკული ლიტერატურა“ (ალ. ფოცხიშვილი).

მართლაც, ახლახანს ცნობილი გახდა შესანიშნავი ძველი „სიტყუა ართრონთათჳს“, რომელიც სპეციალური გამოკვლევითურა გამოსცა მზ. შანიძემ 1990 წელს.

„სიტყუა ართრონთათჳს“ საფარის ლავრაში სვიმონ კარგარეთელის მიერ 1541 წელს გადაწერილ ხელნაწერში მიაკვლია 1951 წელს ქრისტინე შარაშიძემ, რომელმაც აღწერა ეს ნაშრომი, მაგრამ მისი გრამატიკული ანალიზი არ მოუყია, ამიტომ იგი მეცნიერული შესწავლისათვის გადასცა მზ. შანიძეს.

მეცნიერმა ტექსტის კვლევა დაიწყო ხელნაწერის ერთადერთი საფარული ნუსხის მიხედვით, მაგრამ დაზიანებული ხელნაწერი არ იძლეოდა სრულყოფილი ანალიზის საშუალებას. მთავარი გამოირკვა, რომ იოანე ოქროპირს ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია სასულიერო თხზულება. თარგმანისათვის საჭირო გამხდარა, სხვა ავტორს დაეწერა გარკვეული გრამატიკული შენიშვნები, რაც ჩამოუყალიბებია შრომაში „სიტყუა ართრონთათჳს“.

შალე, 1981 წელს, თბილისის უნივერსიტეტმა მიიღო ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, სადაც აღმოჩნდა არა მარტო გრამატიკული ტრაქტატის ადრეული XII—XIII საუკუნეებში გადაწერილი ტექსტი, არამედ ოქროპირის სახელით ცნობილი ის ნაწარმოებებიც, რომლის თარგმნაც გამხდარა გრამატიკული ნაშრომის დაწერის უშუალო მიზეზი. გრამატიკული ტრაქტატი ჩართული იყო ოქროპირისეული თხზულების თარგმანში.

გრამატიკული ტრაქტატზე დაკვირვება საცნაურს ხდის, რომ ავტორის ენათმეცნიერული შეხედულებანი ძირითადად ემყარება დიონისე ტრაკეელის გრამატიკასა და მისი მრავალრიცხოვანი კომენტატორის მიერ შემუშავებულ სისტემას, ამავე დროს ამკარაა ბერძნული გრამატიკული მოძღვრების გავლენაც.

ქვესაველში ავტორი მსჯელობს ბერძნულ სახელზე, რომელსაც გრამატიკული სქესის მიხედვით ყოფს სამ ჯგუფად (მამალი, დედალი, შუა). სქესის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი „ნათესავი“.

საგულისხმოა ისიც, რომ ავტორი ხშირად უპირისპირებს ერთმანეთს ბერძნულ და ქართულ ენებს და მიუთითებს მათ შორის მსგავსება-განსხვავებებზე, თუმცა არაფერს ამბობს ქართულში სქესის შესახებ.

ტრაქტატის ავტორი აღნიშნავს, რომ ბერძნულში სახელს შეესაბამება თავთავისი ართრონი*, რომელიც სიტყუას თავში დაერთვის. იქვე ხაზგასმულია, რომ ბერძნული ართრონიანი სიტყვები ქართულად უართრონოდ უნდა ითარგმნოს, „რამეთუ ჩვენსა ენასა არა ჰქონან სახელთა წინა დამასხმელნი ართრონი“.

ტრაქტატში დაწვრილებითაა მიმოხილული ბერძნული ართრონი, მოცემულია მსჯელობა ტერმინის შესახებაც. ბერძნული ტრადიციის მიხედვით, სახელთა და ართრონთათვის გამოყოფილია სამი რიცხვი: ერთობითი, ორობითი და განმრავლებითი. იქვეა შენიშნული, რომ ორობითი რიცხვი ქართულს არ ახასიათებს.

ბერძნულ ართრონთათვის დასახელებულია ხუთი ბრუნვა: ადვილობითი (ე. ი. სახელობითი), შობილობითი ანუ ნათესაობითი, მიცემითი, მიზეზობითი (ე. ი. აკუსატივ-შემასმენლობითი), საწოდებო. იგივე ბრუნვებია ნაგულისხმევი ქართული ენისთვისაც და, შესაბამისად, განხილულია თითოეული მათგანი.

„სიტყუა ართრონთათჳს“ ცხადყოფს, რომ მისი ავტორი არა მარტო ფლობდა ბერძნულ ენას, არამედ საფუძვლიანად იცნობდა იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურასაც და თავისუფლად ერკვეოდა გრამატიკის საკითხებშიც.

გრამატიკული ტრაქტატი ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში დიდი მნიშვნელობის თხზულებაა. იგი „არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI—XII საუკუნეებში მართლაც ჰქონათ გრამატიკული ლიტერატურა. ეს იმასაც მოწმობს, რომ XVII—XVIII საუკუნეების მწიგნობართ წინ დაუშვდათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები“ (მზ. შანიძე).

ამ უძველესი, ორიგინალური ქართული გრამატიკული თხზულების ავტორად ვარაუდობენ ეფრემ მცირეს ან არსენ იყალთოელს. დაწერილი უნდა იყოს XI საუკუნეში.

* თანამედროვე გაგებით, ართრონი ეტოლება განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლს. აქვე შენიშნავთ, რომ ტრაქტატის ავტორი არხად არ ახსენებს ნაწერის საშუალებით ქართულ სიტყვათა განსაზღვრულობა — განუსაზღვრულობას.

4. უცხოელთა მიერ შედგენილი პირველი ნაბეჭდი და ხელნაწერი ქართული ენათმეცნიერული ნაშრომები

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში გარკვეული ადგილი უჭირავს XVII საუკუნეში შექმნილ ენათმეცნიერულ ნაშრომებს, რომელთა საერთო მნიშვნელობა — ღირებულება უფრო ისტორიულია, ვიდრე წმინდა ენათმეცნიერული. ასეთებია: ქართულ-იტალიური ლექსიკონი¹, ბერნარდო ნეპოლელის ხელნაწერი ლექსიკონები, მაჯოს „ქართული გრამატიკა“ და ა. შ.

„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ დაიბეჭდა 1629 წელს იტალიაში, რომში. ავტორები არიან იტალიელი სტეფანე პაულინი (პარლინი) და ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი).

ნიკიფორე ირბახის ვინაობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ზოგის აზრით, იგი ქართველ დიდებულთა წრიდან ყოფილა გამოსული, ქართველთა ჯარის მხედართმთავრის ჩოლოყაშვილის შვილია, სხვა თვალსაზრისით, ესაა ნიკოლოზ მიტროპოლიტი, ტომით ბერძენი.

ნიკიფორე თეიმურაზ I-ს ელჩად ჰყოლია გავზავნილი ესპანეთსა და იტალიაში. იტალიაში იგი ერთ წელს დარჩენილა, უსწავლია იტალიური. თავის მხრივ, სტეფანე პაულინისათვის „უსწავლებია“ ქართული და შეუდგენიათ ზემოაღნიშნული ლექსიკონი. თანვე გაუწყვიათ ქართული სტამბა და დაუწყიათ ლექსიკონის ბეჭდვა. მიუთითებენ, რომ ლექსიკონის ბეჭდვის პროცესში ნიკიფორე იტალიაში აღარ უნდა ყოფილიყო.

ავტორებს ლექსიკონი შეუდგენიათ „სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების მისიონერთათვის“, ე. ი. მას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონია.

ლექსიკონი შეიცავს 3084 სიტყვას. ტექსტი სამ სვეტად მიდის: I — ქართული, II — ლათინური ტრანსლიტერაცია, III — იტალიური შესრულება. ქართულ დაწერილობაში ზშირია შეცდომები (მაგალითად: აბრეშოში, ავადარი...). აშკარაა, რომ სტეფანე პაულინს კარგად არ სცოდნია ქართული, ვერ ერკვეოდა ქართული მეტყველების თავისებურ ბგერებში. ლექსიკონში ქართული სიტყვების ნაცვლად არაერთგან ნახმარია ბერძნული სიტყვა.

არნ. ჩიქობავას აზრით, საფიქრებელია, ლექსიკონი შედგა რაღაც სხვა (მაგ., ბერძნული) ლექსიკონის სიტყვებიდან გამოკრები-

ლი მასალის ქართულად თარგმნით და ამ დროს ზოგი სიტყვა (ბერძნულისა) დარჩა უთარგმნელად.

მიუხედავად შეცდომებისა, ამ ლექსიკონს აქვს ისტორიული ღირებულება. იგი იყო პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი, პირველი ქართული ლექსიკონი.

რადგან XVII — XVIII საუკუნეებში ქართულ-იტალიური ურთიერთობა შესამჩნევად გაფართოვდა, საქართველოში ჩამოსული კათოლიკე მისიონერებისათვის აუცილებელი იყო დაუფლებოდნენ ქართულ ენას, მაგრამ ამ მოთხოვნილებას, ცხადია, ვერ დაქმყოფილებდა 1629 წელს გამოსული ქართულ-იტალიური ლექსიკონი. უნდა შეედგინათ ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოები, ლექსიკონები.

XVII საუკუნეში მართლაც დაწერილა რამდენიმე ასეთი ნაშრომი. პირველ რიგში უნდა დავახსენოთ ბერნარდო ნეპოლელის მიერ შედგენილი ლექსიკონები, რომლებიც ხელნაწერის სახით დაცულია ნეპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო იტალიიდან ამ ლექსიკონების მიკროფილმი).

მისიონერი ბერნარდო ნეპოლელი საქართველოში ჩამოსულა 1670 წელს. აქ დარჩენილა თითქმის 10 წელი. ისე კარგად შეუსწავლია ქართული ენა, რომ იტალიურად კიდევ თარგმნიდა, ქართულად თხზულებაც დაუწერია რელიგიის საკითხებზე, ამავე დროს იგი ასწავლიდა მისიონერების მიერ გახსნილ ქართულ სკოლაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ბერნარდო ნეპოლელის მიერ შედგენილი იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები, რომლებიც განკუთვნილი იყო საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერებისათვის სახელმძღვანელოდ. მართალია, ლექსიკონები არაა დასრულებული, დაშვებულია ზოგი უზუსტობა თარგმნისას, მაგრამ მოცულობითაც უფრო დიდია და თვისობრივად შედარებით სრული, ვიდრე 1629 წლის ლექსიკონი. ჩანს, ავტორი ერკვევა ქართული გრამატიკის თავისებურებებში. ამიტომ, რომ ლექსიკონში თარგმნანთან ერთად შეტანილია გრამატიკული მასალა. ბერნარდო ნეპოლელის ლექსიკონები იყო უცხოელების მიერ ქართული ენის შესწავლის საქმეში წინამორბედებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი.

საქართველოში იტალიელთა მისიონერული მოღვაწეობა კვლავ მოითხოვდა უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელოების შედგენას. სწორედ ამ მიზნით დაიწერა მაჯოს მიერ ქართული ენის გრამატიკა (ლათინურ ენაზე)*.

ფრანცისკ მარიო მაჯოს „ქართული გრამატიკის“ სრული სათაურია „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეში იხმარება. წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკულ წესებს. შედგენილი ფ. მ. მაჯოს მიერ... რომში, 1670 წ.“

ავტორს ნაშრომი მიუძღვნია უწმინდესი და უნეტარესი მამის ურბანოს VIII პაპისადმი.

„ქართული გრამატიკა“ ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1) ორთოგრაფია, 2) ეტიმოლოგია, 3) სინტაქსი, 4) პროსოდია (მხველიახი და უმხველო ბგერების საკითხი).

ორთოგრაფიაში დახასიათებულია ქართული ანბანი, დიფერენცირებულია თანხმოვნები. მეორე ნაწილში (ეტიმოლოგია) წარმოდგენილია მეტყველების ნაწილთა წარმოების წესები, ჩათვლილია ცხრა მეტყველების ნაწილი: სახელი, ნაცვალსახელი, შთოვლილია ცხრა მეტყველების ნაწილი: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღობა, ზმნისართი, წინდებული, თანდებული, შორისდებული, კავშირი (ჩანს, ავტორი ემყარებოდა დიონისე თრაკიელის კლასიფიკაციას).

არნ. ჩიქობავა მაჯოს გრამატიკას ასე აფასებს: ესაა დღემდე ცნობილი პირველი ქართული გრამატიკა, ანუვე დროს პირველი საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. სანამ მარი ბროსეს გრამატიკა გამოვიდოდა, ევროპელი სწავლულები მაჯოს შრომის საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას.

მართალია, მაჯომ ქართული ენა არ იცოდა კარგად და შეცდომაც ბევრია, მაგრამ ეს გრამატიკა საყურადღებო დასკვნებს შეიცავს:

1. ქართული ენა სქესს არ განარჩევს,
2. სახელთა ბრუნება ერთია,
3. ქართული ენა პირების გასარჩევად ხმარობს ვ, გ, მ ასოებს...
4. ქართულში არის თანდებულები,

* პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1643 წელს, მეორე — 1670 წელს.

5. სინტაქსიდან სახელის სახელთან, ზმნისა და სახელის ურთიერთობის შესწავლა ქართულში პირველად აქ არის მოცემული.

6. შორისდებულებში მაჯოს შეტანილი აქვს შინაურ ფრინველთა და ცხოველთა მოსახმობი დაძახილები.

7. თანხმოვანთა კლასიფიკაციის ცდაც საინტერესოა.

5. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“

„სიტყვის კონა“ პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. სულხანის თქმით, ქართველებს მანამდეც ჰქონიათ განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც დაკარგულა. საბამ დამოუკიდებლად შეიმუშავა და ჩამოაყალიბა ლექსიკოგრაფიული სისტემა და ლექსიკოგრაფიული მუშაობის ორიგინალური პრინციპები.

ლექსიკონზე საბას მუშაობა დაუწყო 1685 წელს და დაუმთავრებია 1698 წლამდე პირვანდელი სახით, თუმცა „სიტყვის კონას“ ავტორი სიკვდილამდე თანდათან ავსებდა და ამუშავებდა.

„სიტყვის კონაში“ აღბეჭდილია 17 ათასამდე ლექსიკური ერთეული. წიგნში ქართული სიტყვები ქართულადვეა ახსნილი. ზოგიერთ სიტყვასთან ქართული დაწერილობით მოცემულია სომხური, თურქული და იტალიური თარგმანიც.

საბას ლექსიკონისათვის გამოუყენებია მრავალი წყარო. მასში შესულია ძველი და საშუალო საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ლექსიკა. ლექსიკონი პირველად გამოსცა პოეტმა რაფაელ ერისთავმა 1884 წელს.

საბას „სიტყვის კონა“ პირველხარისხოვანი ლექსიკონია. მას უღარესად დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

ლიტერატურა

- კ. დანელია — ქართული გრამატიკული შრომის სათავეებთან: „ცისკარი“, 1990, № 8.
- ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1970.
- კ. გველიძე — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

- დ. მელიქიშვილი — იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
5. ორლოვსკაია — XVII საუკუნის ქართული-იტალიური ლექსიკონები: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1974, № 4.
- ზ. სარჯველაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად), ტ. II, თბ., 1966.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- აღ. დლონტი — ქართული ენის ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1974.
- მზ. შანიძე — სიტყვად ართრონასაჲს ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.
- არნ. ჩიქობავა — იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

აქავე

თაზი VII

ძველი ქართველი გრამატიკოსები

ქართულ საენათმეცნიერო გრამატიკულ აზროვნებას უძველესი ტრადიციები აქვს საქართველოში.

XVIII — XIX საუკუნეთა ქართულ ორიგინალურ სახელმძღვანელოებს შორის ყველაზე მეტი რაოდენობით გრამატიკის სახელმძღვანელოები გვხვდება.

ძართალია, ქრონოლოგიურად პირველი ქართული გრამატიკის ავტორია იტალიელი ფრანცისკ მარიო მაჯო, მაგრამ ქართულ ენაზე შედგენილი გრამატიკებიდან პირველი ზურაბ შანშოვანის „მოკლე გრამატიკაა“, რომელსაც მალე მოჰყვა ანტონ პირველის ძიერ ორ რედაქციად დაწერილი ვრცელი გრამატიკა — „ქართული ღრამატიკა“.

ანტონის გრამატიკიდან იღებს სათავეს და მეტ-ნაკლებად იმეორებს მის დებულებებს შემდგომი ხანის არაერთი ძველი ქართული გრამატიკა, რომელთა ავტორები არიან გაიოზ რექტორი, ი. ზაგრატიონი, ი. ქართველიშვილი, სოლ. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დიმ. ყიფიანი, პ. კვიციანიძე, ა. ქუთათელაძე, თ. ყორანია, ა. ბენაშვილი, ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი,

ი. ნიკოლაიშვილი, მ. კელენჯერიძე, დ. კარიჭაშვილი, ი. სიხარულიძე* და სხვები.

ძველი გრამატიკოსების ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის სწავლებისა და კვლევის საქმეში

ზურაბ შანშოვანი

ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში ზურაბ შანშოვანს გარკვეული ადგილი ეთმობა. მან 1737 წელს დაწერა „მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“. ეს არის ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკა ქართული ენისა**.

ზ. შანშოვანი თბილისის მკვიდრი ყოფილა, ცხოვრობდა მოსკოვში ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადახვეწილ ემიგრანტთა შორის. მას გრამატიკა დაუწერია ვახტანგ მეფის დავალებითა და ვახუშტი ბატონიშვილის დახმარებით. თავად ავტორს ნაშრომი დამთავრებულად არ მოაჩნდა, რადგან აკლდა სინტაქსი. წიგნში განხილულია მხოლოდ სახელები (ისიც მოკლედ).

ზ. შანშოვანს გრამატიკა ესმის, როგორც ხელოვნება დასახელებულია 8 მეტყველების ნაწილი („ეგრძონი სიტყვისანი“): სახელი, ზმნა, შეწყნარება (მიძღვობა), სახელდართული (ნაცვალსახელი), იოტი (ნაწევარი), ართრონი (თანდებულს გულისხმობს), ზმართული (ზმნისართი), შემკურელი (კავშირი).

ზ. შანშოვანის გრამატიკა ფოლოლოგიურია. ავტორს გამოუყვებია დიონისე თრაკიელისა და სომხურის გრამატიკები.

მოთხრობითი ბრუნვა ქართულისა ზ. შანშოვანს შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ მისი უდავო დამსახურებაა ზოგი ქართული ენობრივი ფაქტის მიგნება. მაგალითად, ზ. შანშოვანმა გაამახვილა ყურადღება ქართული ზმნის თავისებურებებზე (რაც ავტორის ყველაზე ფასეული დაკვირვებაა). მანვე გამოიყენა ბევრი ტერმინი, რომლებიც დამკვიდრებულია ქართული ენის გრამატიკებში.

* ამჯერად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ვასახელებთ.
 ** აღ. ფიცხიშვილის აზრით, ზ. შანშოვანმა მხოლოდ ქართულად თარგმნა სომხური ენის გრამატიკა, მას ქართული ენის გრამატიკა არ დაუწერია.
 1. ე. ფეიქრიშვილი

* ანტონ I (კათალიკოსი)

ა) ანტონ I-ის ბიოგრაფია

ანტონ I იყო დიდი ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კათალიკოსი, მწერალი, მეცნიერი, ვახტანგ VI-ის ძმის იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის ვაჟი, ღრმად განსწავლული და განათლებული პიროვნება.

ანტონ I-ის ერისკაცობის სახელია თეიმურაზ ბაგრატიონი. იგი დაიბადა 1720 წელს. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1727 წლიდან, თეიმურაზი იზრდებოდა თელავის სასახლეში თავის ბიძაშვილთან — ერეკლე II-სთან ერთად. ყმაწვილის აღზრდაში მონაწილეობას იღებდა დავით გარეჯის წინამძღვარი არქიმანდრიტი სპირიდონი.

თეიმურაზს მიუღია ფართო განათლება. მას ამზადებდნენ დიდი საერო კარიერისათვის — სამეფო ტახტისათვის. იგი დანიშნეს ქართლის მძლავრი თავადის — გივი ამილახვრის ასულზე, მაგრამ 1735 წელს თბილისში ლაშქრით შემოსულმა თამაზ-ხანმა (ნადირ-შაჰმა) თეიმურაზს საცოლვე წაპყვარა და სასიმაპროც აიძულა უხშიოდ დამორჩილებოდა მის ნებას. თავზარდაცემული თეიმურაზი ჯერ დავით გარეჯს შეეხიზნა, შემდეგ იმერეთს გადავიდა, ერთხანს რუსეთშიც იყო, 1738 წელს კი ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით გელათის მონასტერში.

1739 წელს ანტონ I-მა მიიღო გელათის წინამძღვრობა, 1740 წელს კი ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა.

1743 წელს ანტონი დაბრუნდა გარეჯის უდაბნოში, 1744 წელს აირჩიეს საქართველოს კათალიკოსად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა 24 წლის ახალგაზრდა კათალიკოსი გახდა. აქედან დაიწყო მისი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს გაძლიერებისათვის ბრძოლასთან. ანტონი ყოველთვის მხარში ედგა ქართლ-კახეთის მეფეებს (თეიმურაზ II და ერეკლე II) და მათთან ერთად იღვწოდა ქვეყნის ბედნიერებისათვის.

ანტონ I მტკიცედ შეუდგა ნიადაგშერყეული და შევიწროებული ეკლესიის გაძლიერებისათვის ზრუნვას, იბრძოდა მეფისა და კათალიკოსის ძალაუფლების განსამტკიცებლად, დაიწყო სწავლავანათლებლისა და სასტამბო საქმის მოწესრიგება, გარს შემოიკრა-

ბა საქმიანი და განათლებული ადამიანები ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

ანტონ I ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო და განსაკუთრებით დაუახლოვდა თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. ამით ისარგებლა მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელსაც კარსს მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი მეთაურობდა.

ანტონს გაკათოლიკება დასწამეს და „მწვალებლად“ აღიარეს. მცხეთის საგანგებო საეკლესიო კრებამ 1755 წელს ის კათალიკოსობიდან გადააყენა. 1756 წელს ანტონ I გაემგზავრა რუსეთს, სადაც მან თავი იმართლა სინოდის წინაშე.

1757 — 1762 წლებში ანტონ I ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იყო. 1762 წელს იგი ერეკლე II-მ რუსეთიდან დააბრუნა, ზოლო საეკლესიო კრებამ კვლავ აირჩია საქართველოს კათალიკოსად. 1772 წელს ანტონ I გაემგზავრა რუსეთში დიპლომატიური მისიით „გეორგიევსკის ტრაქტატის“ შესამუშავებლად.

ანტონი გარდაიცვალა 1788 წელს.

ანტონი ღრმად განსწავლული პიროვნება იყო. მას სცოდნია 7 უცხო ენა (ბერძნული, ლათინური, სომხური, რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური). „როცა ანტონის პიროვნებას ეცნობით, თვალში გხვდებათ წინააღმდეგობებითა და უიღბლობით სავსე მისი ცხოვრების გზა: ყმაწვილობის პერიოდში ტრაგიკული ბედის მქონეს ისიც დაემატა, რომ იგი, ერთი ყველაზე უპირველესი და უგანათლებულესი კათალიკოსი, რომელსაც ეს თანამდებობა 36 წლის განმავლობაში ეჭირა, ერთ დროს თანამდებობიდან ჩამოგდებული და გაძევებული იყო.

ქართულ ენაზე მეტად მაღალ დონეზე დაწერილი პირველი გრამატიკის ავტორი, წიგნების ბეჭდვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მრავალი ორიგინალური სახელმძღვანელოს ავტორი და გადმომქართულებელი ამ ენის განვითარების შემჩერებლად იყო გამოცხადებული.

დაბოლოს, თავად პოეტსა და ლიტერატურის ისტორიკოსს, უდიდეს ბიბლიოფილსა და კულტურის მოამაგეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწვა თუ მტკვარში გადაგდებაც კი დასწამეს — „უსახლვროა უგუნურება ბოროტთა კაცთა“ (ალ. ფოცხიშვილი).

ბ) ანტონ I-ის ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში

ანტონი იყო დიდი საზოგადო მოღვაწე. მრავალმხრივია მისი სახელმწიფო, საეკლესიო და სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობა.

ანტონი ყოველნაირად უწყობდა ხელს კალიგრაფიული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის შექმნას, მხატვრობის, პოეზიისა და ხელოვნების დარგების განვითარებას. მისი მეცადინეობით 1762-1763 წლებში განახლდა ვაზტანგ მეექვსისეული სტამბა, რომელიც 1782 წლიდან რეორგანიზებულ იქნა „ახალ სტამბად“.

ანტონ I-მა ძველ ნიადაგზე დააყენა განათლების საქმე. ერეკლე მეორის დახმარებით თანდათან გარდაქმნა ნახევრად კერძო ეპარქიული დაბალი სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად. დიდი ამაგი დასდო მან ჯერ თბილისის (1755 წ.) და შემდეგ თელავის (1782 წ.) სემინარიების დაარსებას. ერეკლე II-სთან ერთად შეიმუშავა უმაღლესი სასწავლებლების შექმნის პროექტი (თბილისში, გორსა და თელავში). მან თვითონვე მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს, ამ მიზნით გამოიყენა თავისი „ქართული დრამატია“, მის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი ვოლფის „ფიზიკა“ (ესაა ჩვენამდე მოღწეული ფიზიკის პირველი ქართული სახელმძღვანელო), რომლითაც თვითონ ასწავლიდა ფიზიკას თბილისის სემინარიაში (მის ლექციებს ერეკლე მეორემც ესწრებოდა). ანტონ I-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში. იგი ღრმად იყო განსწავლული ბუნებისმეტყველებაშიც.

ანტონმა მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული შემკვიდრება დატოვა. მან მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში, ხელი შეუწყო კლასიკური ხანის ტრადიციების აღდგენას, ძველი ქართველი ფილოსოფოსების იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირისა და სხვათა ნაზრების შესწავლას.

ანტონის შემოქმედებაში საინტერესოა პოლემიკური ხასიათის თხზულება „მუსმეტყველება“, რომელშიც საეკლესიო საკითხებთან ერთად განხილულია ფილოსოფიის პრობლემებიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომი „წყობილსიტყვაობა“, რომლის 7 თავში 40-მდე სასულიერო მწერლის მოღვაწე-

ობაა განხილული, მე-8 თავი კი ეძღვნება საერო მწერლობას. აქ განალიზებულია რუსთაველის, პეტრიწის, სარგის თხოველის, ჩახრუხაძის, საბა ორბელიანისა და სხვათა მემკვიდრეობა. მეცნიერთა აზრით, მართალია, აქ წარმოდგენილი ზოგი ცნობა არა-ხუსტია, მაგრამ ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეს არის ქართული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველი ცდა.

„წყობილსიტყვაობის“ ერთი ნაწილი საისტორიო თხზულებაა. ენციკლოპედიური ხასიათისაა ანტონის ნაშრომი „საეკალი“, სადაც თავისებურად არის შორიგებული ეკლესია და ფილოსოფოსთა მოძღვრება. აქ განხილულია არისტოტელეს, პლატონის, ამონიოსის, გრიგოლ ნოსელის, იოანე დამასკელის, მაქსიმე აღმსარებლის, პროკლეს, პეტრიწის, ალბერტ დიდისა და სხვათა შეხედულებანი.

ანტონს 4 ტომად აქვს დაწერილი „ღვთისმეტყველება“, რომელიც გადმოკეთებული უნდა იყოს ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიიდან. მნიშვნელოვანია აგრეთვე ანტონის პიბნოგრაფიული შემკვიდრება, საკითხავები წმინდანთა დღესასწაულებზე.

ანტონს ეკუთვნის საყურადღებო ისტორიული ნაშრომები: „მოკლე ისტორია საქართველოსი“, „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“. მან თარგმნა კეინტ კურციუსის „ისტორია აღ. მაკედონელისა“.

გ) ანტონ I და სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში

მე-18 საუკუნის II ნახევრის ქართულ მწერლობაში დაინერგა ე. წ. სამი სტილის თეორია, რომლის დამკვიდრება ტრადიციულად ჩვენში უკავშირდება ანტონ კათალიკოსის სახელს.

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, სამი სტილის თეორია ჯერ კიდევ ძველმა რომმა იცოდა, გასავალი ჰქონდა მას საშუალო საუკუნეებში და შემდეგ უფრო მეტად—აღორძინების ხანაში. რუსეთში მას დიდი პატივი მოუპოვა მიხეილ ლომონოსოვმა, საქართველოში კი—ანტონ პირველმა. ლომონოსოვისთვის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს რუსულ სალიტერატურო ენაში ორი

ენის არსებობა: 1) მწიგნობრულ-საეკლესიო სლაური, 2) ცოცხალი სასაუბრო რუსული ენა.

ქართულ ლინგვისტიკაში ანტონისა და მისი სკოლის როლზე სამი სტილის თეორიის დანერგვის საქმეში ვრცლად მიუთითა არნ. ჩიქობავამ. იგი წერს: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი ხაზი მე-18 საუკუნის მე-60 წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებული იყო ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში— მე-18 საუკუნის მესამოცე წლებიდან მე-19 საუკუნის მესამოცე წლებამდე.“

სამი სტილის თეორია პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას. ერთი სალიტერატურო ქართული ნაცვლად უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნური მეტყველება— სამი სტილის ქართული“.

ანტონის როლზე სამი სტილის თეორიის დანერგვაში საგანგებოდ მსჯელობს ა. შანიძეც. იგი უარყოფითად აფასებს ანტონის საქმიანობას ამ ასპექტით.

სამი სტილის თეორია ანტონის გრამატიკაში (და საერთოდ ქართულ მწერლობაში) საგანგებოდ შეისწავლა ე. ბაბუნაშვილმა. მისი აზრით, XII და განსაკუთრებით მომდევნო საუკუნეებში, როცა ძველი სალიტერატურო ენის შკატრი ნორმები დაირღვა და განსხვავება ძველ სალიტერატურო ენასა და ახალ (ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოებულ) სალიტერატურო ენას შორის განსაკუთრებით ცხადი გახდა, შესაძლებელი შეიქნა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ენაზე წერა. ძველი (V—XI საუკუნეების) სალიტერატურო ენა შემორჩა საეკლესიო ხასიათის ნაწარმოებებს. ამავე პერიოდში უკვე დამკვიდრდა ცოცხალ მეტყველებაზე დამყარებული ახალი სალიტერატურო ენა. საერო და საეკლესიო მწერლობაში ნაირგვაროვანი ენის გამოყენება ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ სულხან-საბაო კ. ზოგჯერ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილს მიმართავდა.

ამგვარად, ანტონ პირველს ნაირგვაროვანი სტილის დამკვიდრებაში უდავოდ ჰყავდა წინამორბედი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანტონი მძიმე, ძველად გასაგები ენით ჯერ კიდევ მაშინ წერდა, როცა ის არ იცნობდა სამი სტილის თე-

ორიას. ანტონი სამი სტილის თეორიაზე მსჯელობს თავისი გრამატიკის მხოლოდ I რედაქციაში, მეორეში იგი საერთოდ არ არის შეტანილი. სამი სტილის თეორიას ანტონი პირველად გასცნობია მხითარის სომხური ენის გრამატიკის წყალობით და თითქმის უცვლელად გადმოუტანია თავის გრამატიკაში.

ანტონი, მხითარის მსგავსად, მოითხოვს, რომ ნაწარმოების ხასიათი განსაზღვრავდეს ნაწარმოების სტილს. თუ ნაწარმოები ხალხისთვის არის განკუთვნილი, იგი პირველი სახის ენით უნდა იწერებოდეს. თუ ნაწარმოები სწავლას ან მოძღვრებას გადმოგვცემს, ანდა წმინდანთა წერილებს განმარტავს, მაშინ საჭიროა მეორე სახის ენა, რომ სიტყვათა კეთილშობილება წინადადებათა კეთილშობილების შესაბამისი იყოს და ღრმა აზრმა უზიძვოს მეცნიერთა გონებას მეტი სიღრმისაკენ. ხოლო, თუ ნაწარმოები ბრძენთა და განსწავლულთათვის არის დანიშნული, მაშინ ის უნდა იწერებოდეს მესამე სახის ენით, რადგანაც სიტყვათა ბრწყინვალეობა და ფრაზების მკვერმეტყველება მკითხველების გონებას გადააჩვევს სიზარმაცეს, აღაფრთოვანებს და, ამგვარად, უფრო დაინტერესებს ასეთი ნაწარმოებებით.

ანტონის გრამატიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი ავტორი უთუოდ იცნობდა ლომონოსოვის თეორიას სამი სტილის შესახებ (ცნობილია, რომ ანტონი 1757—1762 წლებში რუსეთში ცხოვრობდა), მაგრამ შეგნებულად არაფერი თქვა ამაზე, სამაგიეროდ, ძალაში დატოვა ამ თეორიის ძველი, მხითარისეული გაგება. ალბათ, ამის გამოც არ შეიტანა ეს თეორია თავისი გრამატიკის მეორე რედაქციაში.

როგორც ჩანს, თვით ანტონისათვის ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია მისაღები იყო იმდენად, რამდენადაც ეს თეორია მას შესაძლებლობას მისცემდა ეწერა და, საერთოდ, გაეგრძელებინა მაღალი—ხელოვნური სტილი. საშუალო და განსაკუთრებით დაბალი სტილი მისთვის არსებობდა მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად კი ის მოითხოვდა მძიმე, მწიგნობრული ენით წერას.

სამი სტილის თეორია განსაკუთრებით დაამახინჯეს ანტონის სკოლის მიმდევრებმა, რომლებიც ხელოვნურად ცვლიდნენ გრამატიკულ კონსტრუქციებს... „მაღალი სტილით“ წერა იქცა თავმოყვარეობისა და პრესტიჟის საგნად

ამდენად, ანტონისეული სამი სტილის თეორიის ბატონობა უფრო მისი მიმდევრების საქმეა, ვიდრე თვით ანტონისა, რომელმაც თავისი გრამატიკის მეორე რედაქციაში სამი სტილის თეორია სულაც არ შეიტანა (ე. ბაბუნაშვილი).

ზემოთ წარმოდგენილ მიმოხილვიდან ჩანს, რომ, ტრადიციული შეხედულებით, ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობამ გარკვეულად შეაფერხა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება. მაგრამ სავანეებოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებიდან ქართულ ფილოლოგიაში არაერთგზის გამოითქვა განხვავებული თვალსაზრისი, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ანტონ პირველის საზოგადოებრივსა და მეცნიერულ ხელვაწს. ეს პირველყოფლისა, ალ. ფოცხიშვილის დამსახურებაა. მეცნიერ შეეცადა სათანადო მასალებზე დაყრდნობით გაეზათილებინა ანტონის მიმართ წამოყენებული ორი დიდი ბრალდება: 1) ანტონის დაწვევინა „ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდი ცალები, 2) ანტონის მიერ საუკუნით შეაჩერა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება „სამი სტილის“ თეორიის შემოღება-დამკვიდრებით. ალ. ფოცხიშვილის აზრით, ანტონი არც ავტორია სამი სტილის თეორიისა, არც შემომტანი და არც დამწერავი. სამი სტილის თეორიის სათავე ანტიკური ხანის რიტორიკაში უდევს. ჩვენში ამ თეორიის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი იყო იოანე პეტრიწი, რომლის გავლენას უთუოდ განიცდიდა ანტონი. მართალია, ანტონი შიშვენიერად წერდა, რამაც გარკვეული ზიანი მოუტანა ქართული სალიტერატურო ენის გამარტივების საქმეს, მაგრამ ანტონის ენას არ გაუწყვეტია და არც შეეძლო გაეწყვიტა ქართული ენის განვითარების ბუნებრივი ხაზი... ანტონი იყო არა მხოლოდ ქართული გრამატიკული აზრის, არამედ ენათმეცნიერების ფუძემდებელიც.

ე. წ. ანტონისეული სამი სტილის თეორიაზე საინტერესო თვალსაზრისი გამოთქვა, აგრეთვე. თ. უთურგაიძემ, იგი წერს: „რაც შეეხება სამი სტილის თეორიას, არსებითად ბრძოლა იყო არა ანტონ I-ის წინააღმდეგ, არამედ სამი სტილის ლომონოსოვისეული გაგების წინააღმდეგ. ანტონს არასოდეს დაუცავს სამი სტილის თეორია და, რაც მთავარია, იგი იბრძოდა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის მთელ საქართველოში, რასაც მაიღწია კიდევ. ეს ყოველმხრივ დადებითი მოვლენა იყო.“

ანტონ I-ის მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვიდანაც კი ჩანს, რომ იგი იყო ფართო პროფილის სწავლული (ფილოლოგი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ბუნებისმეტყველი, ფიზიკოსი, თეოლოგი...); ამგვარად ჩვენთვის მაინც განსაკუთრებით საინტერესოა მისი წიგნი „ქართული ღრამატიკა“.

თავად ავტორი „ქართული ღრამატიკის“ შექმნის მთავარ მიზნად ასახელებდა საჭირო სახელმძღვანელოების უქონლობას სემინარიაში. რადგან ძველი ქართველი ავტორების ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებებში გრამატიკული ხასიათის არც ერთი წიგნი არ აღმოჩნდა, ამიტომ გადაწყვიტა ანტონმა შეესწავლა ქართული ენის ბუნება და შემდეგ შეექმნა სახელმძღვანელო.

მართლაც, მან ამ მიზნით გაიცნო მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი (ორბელიანთა საგვარეულოდან, აზნაური, დიდად განათლებული პიროვნება), დაუმეგობრდა მას და განიზრახა მისი დახმარებით სხვა წიგნებთან ერთად ეთარგმნა ან დაეწერა გრამატიკა.

თუმცა ანტონი თავის თავს ამ საქმეში არაკომპეტენტურად თვლიდა, მაგრამ ფილიპეს დახმარებით შეუსწავლია ზოგადად გრამატიკის სისტემა (მორფოლოგია, სინტაქსი) როგორც მხითარის (სომხური), ისე ლათინური გრამატიკების მიხედვით.

ანტონის აზრით, გრამატიკა სიბრძნის კარია, რადგან იგი სწორად ლაპარაკისა და წერის ხელოვნებაა (დიონისე თრაკიელის გაგებით), სიბრძნის სიყვარული კი არ შეიძლება სწორად საუბრისა და წერის გარეშე. სწორედ ამიტომ გასწია ანტონმა უდიდესი მუშაობა ქართული გრამატიკის შესაქმნელად.

მართალია, ანტონი ქართული გრამატიკის შედგენისას იყენებდა ევროპული ენების გრამატიკებს და ბევრი რამ კიდევ აქვს გამოღებულ მათი მოდელის მიხედვით, მაგრამ მან მაინც გამოკვეთა ქართული ენის სპეციფიკურობა, მისი განმასხვავებელი ნიშნები ევროპულ ენებთან შედარებით.

ანტონის „ქართული ღრამატიკის“ ორი რედაქცია არსებობს. პირველი დაიწერა 1753 წელს, მეორე კი — 1767 წელს (შესწორებული, ვრცელი რედაქცია). ეს უკანასკნელი დაიბეჭდა 1885 წელს რაფიელ ერისთავის რედაქტორობით.

„ქართული დრამატიკა“ შედგება წინასიტყვაობისა და სამოძიროთადი ნაწილისაგან. პირველსა და მეორე ნაწილში განხილულია მორფოლოგიური საკითხები, მესამეში — სინტაქსური.

ანტონის გრამატიკის ძირითადი დებულებებია შემდეგი:

1) გრამატიკის შესასწავლი ობიექტებია: ასო, მარცვალი, სატყვა, წინადადება.

2) ასო უნდა იყოს იმდენი, რამდენი ბგერაცაა (ანტონის გრამატიკაში 40 ასო იყო). ბგერები იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად.

3) ანტონი გამოყოფს 8 მეტყველების ნაწილს („სიტყვის ნაწილს“): სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღობა, თანდებული, ზმნიხედა, კავშირი, შორისდებული.

4) არსებით სახელს აქვს 5 კატეგორია (სქესი-ნათესავი), ფუძის აგებულება, ფუძე, რიცხვი, ბრუნვა, ბრუნება).

5) არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფებია: საზოგადო, საკუთარი, კრებითი.

6) სახელს აქვს 8 ბრუნვა. ესენია: წრფელობითი (ანუ სახელობითი) მარჯამ ნათესაობითი (ისი, ისა, ს, ა სა, აქ ვითარებითიცაა მარიამისა შემოტანილი უსა)

მიცემითი (ს, სა, დ, ად, და, მი, მიმართ მდე) მარჯამი შემასმენლობითი მარჯამს დაწყებითი (ესაა გან თანდ. ნათესაობითი) მარიამისაგან მარჯამისგან

მოთხრობითი (მან) მარჯამსან მოქმედებითი (ითა, თა, თ, ათა, მიერ) მარჯამითა წოდებითი (ჟ. ო) მარჯამ

სახელობითთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს შემდეგი: არს. ჩიქობავას მიხედვით, სახელობითი ქართულ გრამატიკებში პლ. იოხელიანის გრამატიკიდან მოდის, ანტონი სახელობითის ნაცვლად ხმარობს წრფელობითს. ე. ბაბუნაშვილი კი შენიშნავს: „ანტონთან სახელობითი ისეთივე სრულფუნქციონირებელია ტერმინია, როგორც წრფელობითი“. კიდევ მეტიც: მეორე რედაქციაში სახელობითს მეტი უპირატესობაც კი ენიჭება. მოვუხსინოთ ავტორს: „დასაბამ ბრუნვათა არს წრფელობითი, რომელი-

საცა უფრორე სამართალ არს, რათა ეწოდებოდესმცა სახელობითი“.

საზოგადოდ, ანტონს ბრუნვათა სახელწოდებები ევროპული გრამატიკებიდან აქვს გადმოღებული. მოთხრობითი ბრუნვის სახელწოდება სომხურის თარგმანია და განმარტებაც ამის მიხედვითაა: მოთხრობითი აღმნიშვნელია იმ საგნისა, რომლის შესახებაც არის მოთხრობა ან სმენა და ა. შ.

მზითარის გრამატიკაში მოთხრობითი ირიბი ბრუნვაა. ანტონმა სწორად შეამჩნია, რომ მოთხრობითი არაა ქართულში ირიბი ბრუნვა. იგი, როგორც წრფელობითი (resp. სახელობითი), პირდაპირი ბრუნვაა. მათ ერთნაირი მნიშვნელობა და ფუნქცია აქვთ.

ანტონმა სამართლიანად შეიტანა ეჭვი, რომ შემასმენლობითი (ბრალდებითი — Akkusativ) არასპეციფიკურია ქართულისათვის. იგი არაა ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე ბრუნვა.

7) ანტონმა სწორად გამოყო ბრუნვათა ნიშნებიც, ოღონდ მათ შემადგენელ ნაწილებად ჩათვალა ემფატიკური ა. გარდა ამისა, მან მიუთითა, რომ ქართულში, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, ერთი ბრუნებაა.

8) სქესის კატეგორიაზე მსჯელობისას ანტონმა აღნიშნა, რომ ქართულში (სხვა ენებისაგან განსხვავებით) სქესის აღმნიშვნელი სპეციალური მაწარმოებელი არ არსებობს.

9) რიცხვი ორგვარია: მხოლობითი და მრავლობითი.

10) სახელის ფუძე შეიძლება იყოს: მარტვი, რთული და ზერთული; აგრეთვე: „პირველსახე“ და ნაწარმოები. ნაწარმოებია სახელი, როცა მას ერთვის მნიშვნელობისმცვლელი აფიქსები.

11) ზედსართავი სახელი იყოფა: დადებითად, შედარებითად და აღმატებითად.

12) ნაცვალსახელის ჯგუფებია: პარის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი.

13) ზმნა არის მოქმედების ან ენებითის გამომხატველი მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს დროსაც და პირსაც. ზმნები იყოფა კანონიერად და უკანონოდ.

14) ზმნას აქვს 8 კატეგორია: გვარი, ფუძე, რიცხვი, პირი, დრო, კალო, უღვლილება...

15) ანტონმა გამოყო 3 გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და სა-

შუალი თუშა საშუალი გვარის ფორმებში გარკვევა მანც ვაუ-
ჭირდა.

16) ზმნის ფუძე შეიძლება იყოს: მარტივი, რთული და „ზედ-
შესრული“. ზმნა „ზედშესრულია“, თუ მას ზმნისწინი ახლავს.

17) ზმნისწინები ან სამკაულად გამოიყენებიან, ან აორკეცავენ, ავითარებენ და ცვლიან ზმნის მნიშვნელობას.

18) ზმნას აქვს ორი რიცხვი მხოლოდითი და მრავლობითი.

19) ზმნას სამი პირი აქვს: I, II, III.

I პირის ნიშანია ვ.

II პირის ნიშანია ის ბგერა, რომელიც ვ-ს მოსდევს სათანადო ზმნაში. გაცვრითაა აღნიშნული, რომ II პირის ნიშნებად შეიძლება იყოს ხ, ხ, ჰ-ც. (მაგალითად, ხვალ ზმნაში ხ პირის ნიშანია); თან-
ვე მიუთითებს, რომ II პირში ჰ, ხ-ს ხმარება შერყეულია.

III პირის ნიშნებია მხ. რიცხვში: ხ, ნ, ა, ო; მრავლობითში: მწ, უწ, აწ, ვან, ყე, ს, დ, ედ, ნ, ნეს, ნენ.

გამოყოფილია მ, გ, გვ ნიშნებიც. ზოგ ზმნას I პირის ნიშნად მ პრეფიქსი აქვს, მაშინ II პირში მოსალოდნელია გ.

ანტონს ისიც შეუშინებია, რომ I და II პირის ნიშნები პრე-
ფიქსებია, III-ისა — სუფიქსები.

20) დრო სამია: აწმყო, წამყო, მყოობადი. წამყო (წარსული) ოთხგვარია: წამყო უსრული, წამყო სრული, წამყო უსრულესი, წამყო უსრულესი.

21) კილო შეიძლება იყოს თხრობითი, ბრძანებითი, კავშირე-
ბითი, პირობითი და „უჩინოებითი“ ანუ „განუაზღვრებელი“.

22) ზმნა შედგება ოთხი ელემენტისაგან: 1) ზმნის ძირი, 2) მაუღლებელი ასო, 3) პირის ნიშანი, 4) მრ. რიცხვის ნიშანი.

23) ანტონმა სწორად შეამჩნია, რომ კუხატიური ფორმა (შუალობითი კონტაქტი) სამპირიანია და ინებ სუფიქსთან ერთად აუცილებლად უნდა თავში ა თავსართი.

24) ანტონი საგანგებოდ მსჯელობს დეფექტურ ზმნებზე (უკანონო ზმნებზე).

25) თანდებული დახასიათებულია როგორც მეტყველების ნა-
წილი.

26) ზმნიზედა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც არსების მოქმედებისა და ვნებითი გვარის აღმნიშვნელია. მისი კბუფებია:

ვითარებითი, რაოდენობითი, უმობითი, დროებითი, ადგილობითი და ა. შ.

27) შორისდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც სხვა-
დასხვა ვითარებას აღნიშნავს.

28) კავშირი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც ერთმა-
ნეთთან აკავშირებს წინადადების ნაწილებს.

29) ანტონმა ძირითადად სწორად გაიგო ქართული ენის სინ-
ტაქსის თავისებურება; მსჯელობს წინადადების შესახებ, წინადა-
დებაში სიტყვათა შეკავშირებაზე (შეთანხმება, მართვა).

30) ანტონმა სხვა გრამატიკოსებისაგან დამოუკიდებლად შე-
მოიტანა სინტაქსში ცნებები „ქვემდებარე“, „შემასმენელი“ (ეს
ცნებები ლოგიკიდან შემოვიდა, საერთოდ, სინტაქსში. ალბათ.
ანტონმაც აქედან შემოიტანა). მან შეამჩნია და საგანგებოდ აღ-
ნიშნა, რომ ქართულში ქვემდებარე სამ ბრუნვაშია (სახ., მოთხ.,
მც.): შენიშნა, რომ 3/0 (მისი ტერმინით — საძიებო) ქართულში
ხან წრფელობით ბრუნვაშია, ხან მიცემითში, განსხვავებით ევრო-
პული ენების 3/0-საგან, რომელიც მუდამ შემასმენლობითშია.

ე) ანტონ I-ის ენათმეცნიერულა დეწლის შეფახება თანამედროვე ლინგვისტიკაში

ანტონი არის პირველი ვრცელი ქართული გრამატიკის ავტორი.
მართალია, ანტონამდე არსებობდა მანჯოსა და ზ. შანშოვანის მოკ-
ლე ქართული გრამატიკები, მაგრამ მისი ენათმეცნიერულად
ხაკლებლირებულნი არიან.

ანტონის გრამატიკას წინამორბედი არ ჰყოლია. ერთი შეხედ-
ვით, ანტონის გრამატიკაზე ერთგვარად იგობნობა მხითარის გრამა-
ტიკის გვლუნა აღწავობის, ზოგადი დებულებებისა და ტერმი-
ნოლოგიის ასპექტით, მაგრამ პრაქტიკულად, როცა საქმე ეხება
ქართული მასალის გრამატიკულ ანალიზს, ანტონი განსაკვიფრე-
ბელ ინტუიციას იჩენს და სწორად ითვალისწინებს ქართული ენის
(ძველი ქართული ენის) იმ თავისებურებებს, რომლებიც დიდი
ხანი არ არის, რაც მსჯელობის საგანი გახდა.

ანტონ I-ის გრამატიკის მნიშვნელობა არა მარტო იმით განისა-
ზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა,

არამედ იმითაც, რომ დიდი იყო მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე. გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა არ გავითვალისწინეთ. ეს არის პირველი ძველი ქართული ენის გრამატიკა (ე. ბაბუნაშვილი).

ანტონის გრამატიკის დადებითად აფასებდა არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, მართალია, ანტონისეულმა სამი სტილის თეორიამ გარკვეულად შეაფერხა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი ხაზი, მაგრამ შეუძლებელია, არ დაეინახოთ ამ გრამატიკის მნიშვნელობა ქართულ ენათმეცნიერებაში.

ანტონის გრამატიკაში, მიუხედავად სხვაგვარი წყობის ენათა გრამატიკების გავლენისა, მაინც აისახა ქართული ენის დამახასიათებელი რიგი თავისებურება:

1) მოთხრობითი ბრუნვა როგორც დამოუკიდებელი ერთეული; 2) სახელთა ბრუნების ერთგვარობა (ბრუნება ერთია); 3) სახელთა ფუძის კუმშვა და კვეცა; 4) ზმნის უღვლილება და სხვა.

ბევრი ტერმინი, გამოყენებული ანტონის გრამატიკაში, ახლაც ინმარება, ასეთებია: სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი, მიმღობა, თანდებელი, კავშირი, ზმნისხედა, შორისდებული, უღვლილება, ბრუნვა, მხოლობითი, მრავლობითი, პირი, რიცხვი, წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი, დაწყებითი, ქვემდებარე, შემასმენელი და ა. შ.

მართალია, ყველა ეს ტერმინი ანტონის დადგენილი არაა, მაგრამ დაინერგა მისი გრამატიკის მეშვეობით.

ანტონის გრამატიკა საფუძვლად დაედო მომდევნო ხანის გრამატიკებს.

ანტონის გრამატიკა არსებითად იყო ფილოლოგიური, მაგრამ მისთვის რაციონალური გრამატიკის მომენტებიც არაა უცხო. ეს გრამატიკა აწესებდა მართლწერისა და წესიერი უბნობის ნორმებს.

გრამატიკა მეცნიერულ დისციპლინად იქცა მას შემდეგ, რაც მიზნად დაისახა ენის შესწავლა მის განვითარებაში (არნ. ჩიქობავა).

ანტონ კათალიკოსის ენათმეცნიერულ ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევს თ. უთურგაიძე. იგი აღნიშნავს, რომ ანტონ კათალიკოსის სკოლამ შეინარჩუნა ძველი ქართულის ყველა ნიშანი, ან-

ტონმა მზამზარეული ნორმები მიიღო XI—XII საუკუნეებისაგან. ეს იყო დიდი ათონელებისა და „ღვთაებრივი ფილოსოფოსის“ — იოანე პეტრიწის ხელში გამოვლილი ქართული. ანტონის სკოლას ხელი არ უხლია ზედმეტი ნიშნებისათვის. პირიქით, ამ პერიოდში მოემატა ქართულ ანბანს ბერძნული ფ(Ϝ). ძველთან შედარებით კლასიკურ პერიოდში ორთოგრაფია უფრო დასცილდა ენის ბუნებას და უფრო ხელოვნურიც გახდა. ანტონმა სცადა ზოგი ორთოგრაფიული წესის სრულქმნა: უმარცვლო უ-ს საგანგებო ნიშანი უ (უ ბრჯგუ) შეუქმნა იტალიელი მისიონერების მიხედვით.

ანტონმა სახელებს შეუდგინა ისეთი პარადიგმები, რომლებიც დღემდე ძალაშია. ასევე ბევრი საყურადღებო აზრი გამოთქვა სახელისა და ზმნის კატეგორიებზე.

ანტონის გრამატიკის წესები უდავოდ იყო ახალი ქართულისაგან წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ პირადად ანტონის სტილი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ ქმნიდა ხელოვნურ ფორმებს, მაინც XI—XII საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაშრომების სტილს მიჰყვებოდა მეცნიერული მსჯელობის დროს. ანტონის ნორმებს მისდევდა XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის I ნახევრის ქართულაც არა იმის გამო, რომ ვადამწყვეტი იყო ანტონის პიროვნება (როგორც ფაქობენ), არამედ მიზეზი იყო რაციონალური პრინციპები, რომლებიც მთელს ევროპაში, მათ შორის რუსეთის იმპერიაშიც, ბერძნულ-ლათინური გრამატიკების მიხედვით შედგენილ წესებს საუკუნოვან გამძლეობას აძლევდა.

ეს დიდი შედეგა, რომელსაც ანტონ პირველმა მიიღწია ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებაში, „შუალედური და ამავე დროს შენაკავშირებელი რგოლია XII საუკუნეში ი. პეტრიწისა და მისი სკოლის, ხოლო XIX საუკუნეში — ი. ჭავჭავაძისა და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმებისა.

ანტონის მიერ შემოღებული ბევრი გრამატიკული ნორმა დღემდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს, თუმცა ძველი ქართულის ტრადიციებზე აღზრდილი ანტონი ყოველთვის ცდილობდა ახერხებდა ამ წესების დაცვას (თ. უთურგაიძე).

გაიოზ რექტორი

გაიოზის გვარი ზუსტად არაა ცნობილი, დასახელებული ოთხი გვარიდან, გავრცელებული აზრით, იგი იყო **ბარათაშვილი** (თაყაიშვილთა შტოსი).

გაიოზი დაიბადა 1746 წელს ხილნაღის რაიონში, 1765 წელს დაამთავრა თბილისის სემინარია. მისი მასწავლებლები იყვნენ ანტონ I და ფილიპე ყაითმაზაშვილი.

გაიოზი მონაწილე იყო ანტონ I-ისა და ლევან ბატონიშვილის დიპლომატიური მისიისა რუსეთში 1772 წელს, იქვე დარჩა და 1778 წელს დაამთავრა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია, იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და ერთხანს ზელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას. ხოლო 1782 წლიდან იყო მისივე ინიციატივით გახსნალი თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი.

1783 წელს გაიოზი გაემგზავრა რუსეთს და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. იგი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მსახურობდა, როგორც სასულიერო პირი. 1808 წლიდან გარდაცვალებამდე ასტრახანის მთავარეპისკოპოსია.

გაიოზ რექტორი ყოველთვის იყო ერეკლე II-ის პოლიტიკის მიმდევარი და რუსეთის მეფის კარზე საქართველოს ინტერესების დამცველი.

გარდაიცვალა 1821 წელს, დაკრძალულია ასტრახანში.

დიდაა გაიოზის დეაწლი ქართული კულტურის ისტორიაში. იგი იყო მეცნიერი, ლიტერატორი, მთარგმნელი, დიპლომატი, პედაგოგი.

გაიოზ რექტორი არის სამასზე მეტი ორიგინალური თუ ნათარგმნი შრომის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნები „ქართული ანბანი“, „ქართული გრამმატიკა“. ეს უკანასკნელი (დაიწერა 1789 წელს) არის ქართულ ენის გრამმატიკის პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

გაიოზის „ქართული გრამმატიკა“ ძირითადად მისდევს ანტონ

I-ის „ქართულ გრამმატიკას“, მაგრამ მისგან განსხვავდება ნათელი სტილითა და ორიგინალური დაკვირვებებით.

გაიოზის „ქართული გრამმატიკა“ შედგება შემდეგი ნაწილები-საგანს: ა) შესავალი, ბ) პირველი ნაწილი — მორფოლოგია, გ) მეორე ნაწილი — სინტაქსი, დ) მესამე ნაწილი — ორთოგრაფია, პუნქტუაცია.

გაიოზი, როგორც ვთქვით, ანტონის უახლოესი მოწაფე და მიმდევარი იყო, მაგრამ ყოველთვის არ ვადმოქონდა მისი ნააზრევნი უკრიტიკოდ და უცვლელად. მან ნაშრომის ენა ისე ხათელი და მარტივი გახადა, საკითხებიც ისე ოპტიმალურად დაალაგა, რომ სახელმძღვანელო მოხერხებული და პრაქტიკული იყო მოსწავლეთათვის, თანაც მოგვცა ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე.

გაიოზის სამეცნიერო მოღვაწეობიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ორიგინალური ნაშრომი „საქართველოს ისტორია“. გაიოზი ყოფილა ბრწყინვალე მჭევრმეტყველი, ორატორი.

1796 წელს გაიოზის ინიციატივით დაარსდა ქართული სტამბა ჭოხდოყში (სადაც ის მსახურობდა), აქ მან 1797 წელს დაბეჭდა ქართული ანბანი (ასომთავრული, ხუცური და მხედრული შრიფტით).

1796—1800 წლებში ამავე სტამბაში დაიბეჭდა გაიოზის „ქართული გრამმატიკა“.

იოანე ქართველიშვილი

იოანე ქართველიშვილი დაიბადა 1722 წელს. მან მიიღო სასულიერო განათლება—მღვდელი იყო. ასწავლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართულ ენას. გარდაიცვალა 1816 წელს.

იოანე ქართველიშვილმა შეადგინა ქართული გრამმატიკა, რომელშიც შეძლებისდაგვარად ვადმოიტანა ანტონისა და გაიოზის გრამმატიკების დადებითი დებულებებს უმეტესი ნაწილი.

ი. ქართველიშვილმა საბოლოოდ დახვეწა ბრუნების სისტემა, თითქმის უშეცდომოდ მოგვცა ყველა ბრუნვის ნიშანი;

წრფ. —

ხათ. — ის, ისა

შიც. — ს, სა

8. გ. ფიქრიშვილი

შემასმენ. — ი
დაწყებითი — ისაგან
მოთხ. — მან
მოქმ. — ითა
წოდ. — ო

იოანე ქართველიშვილის დამსახურებაა ქართულ ზმნაში ძირითადად ორი უღლების გამოყოფა (ვინიანისა და მახიანისა).

დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი)

დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დაიბადა 1767 წელს თბილისში. იგი იყო მეფე გიორგი XII-ის უფროსი ძე. 1787—1798 წლებში სწავლობდა და მსახურობდა რუსეთში. 1803 წელს დავითი ბაგრატიონთა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გადასახლეს პეტერბურგში.

დავით ბაგრატიონი ეწეოდა მრავალმხრივ მეცნიერულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ენათმეცნიერულ-ლექსიკოგრაფიული საქმიანობა. ჯერ კიდევ 1790 წელს დავითმა შეადგინა ქართული ენის „მცირე ღრამმატიკა“, რომელიც თავიდან ბოლომდე დაწერილია კითხვა-მიგების წესით (როგორც ჩანს, იგი სასკოლო სახელმძღვანელოდ იყო გახუთებული).

„მცირე ღრამმატიკაში“ გამოყოფილია 8 მეტყველების ნაწილი (სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღებობა, თანდებული, ზმნიზედა, შორისდებული, კავშირი) და განხილულია ცალ-ცალკე.

ალ. ფოცხიშვილის აზრით, დავით ბაგრატიონის გრამატიკა გაიოზის გრამატიკის გვერდით ბირველი ცდაა ანტონის გრამატიკათა შეკუმშულად გადმოცემისა დავითის დამსახურება ისაა, რომ მან მოახერხა გამიჯნოდა ანტონის გრამატიკათა წყობას და ამით შრომა გაეხადა მეთოდიკურად უფრო გამართლებული.

დავით ბაგრატიონმა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ დაუმატა ცალკეული სიტყვები, შეავსო განმარტებანი, მიუწერა სომხურ-თურქულ-რუსული შესატყვისები, შეადგინა სტატემა ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის.

1814 წელს დ. ბაგრატიონმა ქართულ ენაზე გამოსცა ისტო-

რიული ხასიათის ნაშრომი „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, 1818 წელს დაასრულა „შემოკლებული ფიზიკა“...

დავით ბაგრატიონი გარდაიცვალა 1819 წელს პეტერბურგში

იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი)

იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი დაიბადა 1768 წელს თბილისში. იგი იყო შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ისა. მამის გარდაცვალების შემდეგ (1800 წელს) იოანე რუსეთში გადასახლდა და მთლიანად ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. სამაგიეროდ, გულმოდგინედ განაგრძო სამწიგნობრო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომ ამით მაინც მოეტანა სარგებლობა თავისი ქვეყნისათვის.

იოანე ბაგრატიონის მთავარი ნაწარმოებია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“, რომელიც საკმაო სისრულით ასახავს საქარველოში მეცნიერული ცოდნის დონეს XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე. აქ წარმოდგენილია ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან, ზოგ შემთხვევაში მასალა თარგმნილია რუსული და უცხოური წყაროებიდან. განსაკუთრებით ფასეულია ავტორისეული მოსაზრებანი და დაკვირვებანი საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე: „კალმასობა“ ანუ (როგორც ავტორი უწოდებს), „ხუმარსწავლა“ თრიგინალური ნაწარმოებია. მეცნიერული მსჯელობანი მკითხველისათვის მოსაწყენი და ძნელად ასათვისებელი რომ არ იყოს, ავტორმა თხრობის შესაქცევი მანერა აიძრია. სიუჟეტურ ღერძს ქმნის ორი მთავარი პერსონაჟი — იონა ხელაშვილი და მისი მზღებელი გლეხი ზურაბა ღამბარაშვილი. მათი ფაქტობრივით აღსაყვამოგზაურობის ფონზე გაშლილია მეცნიერული მსჯელობანი, წარმოჩენილია საქართველოს იმდროინდელი ვითარება, დაუზოგავადაა მხილებული საზოგადოების მაღალი ფენების ზნეობრივი დაკნინება. თხზულება გამსჭვალულია ღრმა პატრიოტული და ჰუმანიტარი ტენდენციით. ამ პოეზიციიდან ქვეყნის დამღუპველ გარემოებად მიჩნეულია საყოველთაო უმეცრება, რაც ნიადაგს უქმნის ყოველგვარი ჭურბის ბოროტებას.

„კალმასობა“ რეალისტური ნაწარმოებია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ქართული მწერლობისა და ახალი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლად.

„კალმასობა“ მოიცავს ენათმეცნიერულ ნაწილსაც, ესაა კომპილაციური ხასიათის ნაშრომი „ღრამმატიკისათვის“, რომელშიც გაერთიანებულია იმდროისათვის ცნობილი ანტონ I-ის „ქართული ღრამმატიკა“, დავით ბაგრატიონისა და გაიოზ რექტორის გრამატიკული ნაშრომები. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ იოანე დასახელებულ გრამატიკათა კომპილაციისას უბრალო გადაწერას კი არ ახდენს. არამედ ამედავნებს ორიგინალურ მიდგომას, ხშირად ურთავს თავის კრიტიკულ შენიშვნებსაც, თუმცა მანაც ძალაში ტოვებს არსებულ მისაზრებებს ნორმატიული გრამატიკის პრინციპების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში ავტორ-შემდგენელი შემოქმედებითა კომპილაციის მეთოდს მიმართავს და ამ გზით წარმოგვიდგენს შესაბამისი ეპოქის ამსახველი კომპლექსური გრამატიკის ახალ სტრუქტურულ მოდელს. ამ თვალსაზრისით იოანე ბაგრატიონას „კალმასობისეულ“ გრამატიკას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში (ნ. კოტინოვი).

„კალმასობა“ დაწერილია 1813—1828 წლებში, გრამატიკული ნაწილი კი 1810—1813 წლებისათვის უნდა დათუშავებულიყო

„კალმასობისეული“ გრამატიკა რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- 1) ფონეტიკისა და მორფოლოგიის,
- 2) სინტაქსისა და სტილისტიკის,
- 3) ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საკითხები;

ავტორი მსჯელობს ენათმეცნიერების ზოგად საკითხებზეც. ცალკეა გამოყოფილი თავი „ენებთათვის“.

იოანე ბაგრატიონს 1829 წელს პეტერბურგში დაუწერია მეორე გრამატიკაც, იგი გამოჩნული ყოფილა „ყრმათათვის სასწავლებლად“. რამდენადაც „ქართული გრამატიკა“ სასკოლო სახელმძღვანელო იყო, ამიტომ წიგნი შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით გამარტივებულია.

ი. ბაგრატიონს ეკუთვნის აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნი-

ერებათა ენციკლოპედია (1814), რუსულ-ქართული ლექსიკონა, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ გამოკრებილი მეორე ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ნარევი ტიპის (განმარტებითი, ენციკლოპედიური, თარგმნითი) „ქართული ლექსიკონი“, რომლის მხოლოდ მეორე ნაწილია მოღწეული.

იოანე ბაგრატიონი ვარდაიცვალა 1830 წელს პეტერბურგში.

პლატონ იოსელიანი

პლატონ იოსელიანი დაიბადა 1809 წელს, 1829 წელს წარჩინებით დამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში.

პლ. იოსელიანი 1835 წელს დაბრუნდა თბილისში. იგი განუწყესებიათ თბილისის სემინარიაში ფიზიკისა და ფლოსოფიის მასწავლებლად. ამ პერიოდში გასცნობია პლ. იოსელიანი აკად. ანდ. რია შეგარენს.

1840 წელს პლ. იოსელიანმა გამოაქვეყნა „პირველდაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისანი“.

გარდაიცვალა 1875 წელს.

დიდი დამსახურება მიუძღვის პლ. იოსელიანს ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. მას აქვს ბევრი მნიშვნელოვანი ორიგინალური მიხედვა, განსაკუთრებით ფონეტიკისა და სახელთა მორფოლოგიაში.

პლ. იოსელიანი არკვევს ქართული ენის ფონეტიკის მრავალ საკითხს: იხილავს სიტყვის ბგერით შედგენილობას, ლამაზაკობის მარცვალზე, იძლევა ქართული მახვილის ხმარების წესებსაც და, რაც მთავარია, იგი არის ქართული ენის ფონეტიკური მოვლენების შესწავლის დამწყები.

სახელთა ბრუნების ბევრი პრობლემა დასმული და გადაჭრილი პლ. იოსელიანის მიერ. მაგალითად, მისი დამსახურებაა ბრუნვათა რიგიდან შემასმენლობითისა და დაწყებითის ამოღება, სამაგიეროდ, მან პირველმა შეიტანა ბრუნვათა სისტემაში სახელობითი, თუმცა ტერმინი „სახელობითი“ პირველად იხმარა ანტონმა.

პლ. იოსელიანის გრამატიკით თავდება ქართული გრამატიკული აზრის განვითარების პირველი პერიოდი (XVIII ს. 60-იანი — XIX ს. 50-იანი წლები).

დომიტრი ყიფიანი

დომ. ყიფიანი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურა. დომიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წელს (სხვა ცნობით: 1811 წ.) გორის მაზრაში.

1830 წელს დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და იქვე დაინიშნა მასწავლებლად, იგი იყო 1832 წლ. შეთქმულების მონაწილე.

დომ. ყიფიანი და ნიკ. ბარათაშვილი ახლო მეგობრები ყოფილან. ისინი ხშირად გვიან ღამემდე მსჯელობდნენ თურმე საქართველოს ბედზე ბარათაშვილთან მეგობრობის პერიოდში თარგმნა დომ. ყიფიანმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

დომ. ყიფიანი ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა. იგი იყო აგრეთვე ტფილისის ქალაქის თავი, ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურთა მარშალი.

მართალია, გარეგნულად დომ. ყიფიანს რუსული მუნჯი იცოდა, მაგრამ მასში მამუღლიშვილობით შთაგონებული ქართველის გული ძვრდა. ილია ქავჭავაძემ ასე შეაფასა დომ. ყიფიანის პიროვნება: „იგი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „პოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“... ის იყო ხასიათის კაცი“. დომ. ყიფიანი აღმოფთვებას გამოთქვამდა იმის გამოც, რომ იმ დროისათვის მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოთხოვნით ქართველ ყმაწვილებს პირველდაწყებითი განათლება რუსულ ენაზე უნდა მიეღოთ. ამ პრინციპის განხორციელებას იცავდა განათლების მხრუნველი იანოვსკი. ყიფიანი არაერთგზის გამოეკამათა ამ საკითხზე იანოვსკის და მოაგონა ვორონცოვისდროინდელი პედაგოგიური სისტემა, როცა საქართველოს სასწავლებლებში ქართული ენას სავალდებულო იყო. „ასე იყო წინათ, — წერდა დომ. ყიფიანი, — ახლა კი ჩვენც აღარ გვასწავლიან სამშობლო ენას და ათასგვარ დაბრკოლებას გვიქმნიან... ხალხს ენის შეზღაღვა ხომ ხალხს წმიდათაწმიდის შეზღაღვაა. ქართველებს არ უხდა აკადრონ ეს. ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არის, ქართველები (რუსეთის მონარქთა ქვეშევრდომობაში შევიდნენ ნებაყოფლობით და შეგნებულად“.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველების შევიწროება თბილისის სემინარიაში ყოველ ზღვარს გაცილდა. ჯერ ერთა, ქართველებს აქ თითქმის აღარ ღებულობდნენ. მეორედ, სასტიკად უკრძალავდნენ სემინარიელებს ქართულად ლაპარაკს. 1886 წელს ქართველმა სემინარიელმა იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეკაი. ამან განარისხა მთავრობა. ხოლო ეგზარხოსმა პავლემ ჩუდეკაის დაკრძალვის დროს საჯაროდ დაწვევლა და შე-ჩვენა ის ერი, რომელმაც წარმოშვა მკვლელი.

დომ. ყიფიანმა ეგზარხოსს საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იგი თანამდებობიდან გადააყენეს და გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც მეფის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს 1887 წელს. ქართველმა ერმა გულწრფელად დაიტირა სასიკაძელო მამულიშვილი. აკაკი წერეთელმა უძღვნა მას შესანიშნავი ლექსი „განთიადი“.

დომ. ყიფიანი იყო მრავალმხრივი მოღვაწე. ბუნებით ნიჭიერმა ყმაწვილმა თითქმის დამოუკიდებლად მიიღო ბრწყინვალე ევროპული განათლება, შეისწავლა ევროპული ენები, მოხუცებულობაში დაიწყო ლათინურის სწავლა, რომ შეედგინა ქართული ენის გრამატიკა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დომ. ყიფიანის „ახალი ქართულის გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შეიღებისათვის“ (1882 წ.), რომელსაც ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში ღირსეული ადგილი უჭირავს.

მართალია, „ახალი ქართული გრამატიკა“ დაიწერა პრაქტიკული მიზნით — სახელმძღვანელოდ — მაგრამ სხვა მსგავსი წიგნებისაგან გამოირჩევა შედგენის პრინციპებით, საყრდენი მასალით. ქართული ენის სპეციფიკაში წვდომის თვალსაზრისით.

დომ. ყიფიანის გრამატიკა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში წარმოდგენილია ეტიმოლოგია (მოიფხლოგია), მეორეში — ლექსიკონი.

ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს მეტყველების ნაწილებს (ესენია: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული) და გამოაქვს საყურადღებო დასკვნები:

- 1) გრამატიკა შეისწავლის ენის კანონებს, ენის აგებულებას;
- 2) გრამატიკულ კანონებს ენა ქმნის;
- 3) გრამატიკა უნდა ემყარებოდეს ცოცხალი ენის ფაქტებს;

ქართველოლოგიური მუშაობა რუსეთსა და საქართველოში

I. ქართველოლოგიური მუშაობა პეტერბურგში ქართველოლოგიის სათავეებთან

XIX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი აცხადებდა, თითქოს აზიის ხალხებს არასოდეს ჰქონიათ და არც ახლა გააჩნიათ კულტურული წარსული. მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებში მოწყობილმა ექსპედიციებმა და მეცნიერულმა დაკვირვებებმა, მწერლობისა და მატერიალური კულტურის ღრმად შესწავლამ ასეთ მცდარ მოსაზრებებს ძალია დაუყარა.

რუსეთში დაიწყო ორიენტალისტიკის (აღმოსავლეთმცოდნეობის) სწრაფი ტემპით განვითარება. ეს პრაქტიკული აუცილებლობითაც იყო გამოწვეული, რადგან მეფის მთავრობის თვითმპყრობელური პოლიტიკა აღმოსავლეთში მოითხოვდა აღნიშნული ხალხების ენის, ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ღრმად შესწავლას.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტში შეიქმნა აღმოსავლურენათა კათედრები. გადაწყდა, რომ უნივერსიტეტში გახსნილიყო ქართულ-სომხური და მაჰმადიანური ენების კლასები.

ქართულმა ენამ და, საერთოდ, ქართველოლოგიამ თუ დღესაც ხანს ვერ დაიმსახურა რუსეთის ოფიციალური მმართველობის ყურადღება. ეს კვალიფიციურ სპეციალისტთა სიმცირითაც უნდა აიხსნას.

ქართული ენის სწავლება პეტერბურგში შედარებით ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ პარიზიდან სამუშაოდ მოიწვია მარი ბროსე, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქართველოლოგიას. მან მთელი ძალეები იქითვე წარმართა, რომ ქართული ენა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში შესულიყო. პეტერბურგში ჩამოსვლამდე ბროსე კარგად იცნობდა ქართულ კულტურას, იცოდა ქართული ენაც.

მ. ბროსეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ის იყო, რომ 1839 წლის 6 სექტემბრიდან საკუთარი ინიციატივით საჯარო ლექციებს

- 4) მოთხრობითა ბრუნვა სპეციფიკური ბრუნვაა ქართულისათვის;
- 5) ქართულს არა აქვს სქესის კატეგორია;
- 6) ქართულ ზმნას აქვს პირის ნიშანთა ორი რიგი: ვინისა და მანის;
- 7) ობიექტი ბრუნვაცვალეზადია;
- 8) ქართულ ზმნას გააჩნია კაუზატივის კატეგორია... და ა. შ. „ახალი ქართული გრამატიკა“ ნათელყოფს ავტორის ენათმეცნიერულ აღდოს. დიდ ერუდიციასა და ფართო მომზადებამ (ლ. ლევაჯა).

ლიტერატურა

- ა. ბაბუნაშვილი — ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
- ბ. ბაბუნაშვილი — სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში: თხზ., შპ., ტ. 96, 1963.
- ბ. ბაგრატიონი — კალმასობისეული ქართული გრამატიკა (ტექსტი გამოცემად მოამზადა, გამოკლეუა და ლექსიკონი დაურთო ნ. კოტიხოვმა), თბ., 1986.
- ბ. დარჩია — გაიზ რექტორი, თბ., 1972.
- ბ. კოტიხოვი — იოანე ბაგრატიონის სასკოლო გრამატიკისა და კალმასობისეული გრამატიკის ურთიერთმიმართებისათვის: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1971, № 4.
- ლ. ლევაჯა — დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა: იქვ. XXV, 1986.
- ე. ნიკოლაიშვილი — გაიზ რექტორი, თბ., 1972.
- ზ. სარჯველაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- თ. უთურგაიძე — ილია და სალიტერატურო ქართული; ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IX, თბ., 1989.
- აღ. ფოცხიშვილი — ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
- აღ. ფოცხიშვილი — პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო, თბ., 1980. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- არნ. ჩიქობავა — იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- არნ. ჩიქობავა — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქველ, I, 1950.

ატარებდა რუსეთის სატახტო ქალაქში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებისათვის, შემდეგ კი, 1841—1842 წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ფილოლოგიის კურსს ამიერკავკასიელი სტუდენტებისათვის. ორი სემესტრის მანძილზე მ. ბროსემ 29 ლექცია წაიკითხა და მსმენელებს გააცნო ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები. მაგრამ მალე მ. ბროსე დანიშნეს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად და ველარ შეძლო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა. ერთუხიანებით დაწყებული ქართველოლოგიური მუშაობა დროებით შენელდა, თუმცა საკიროებდა მის განახლებას, რადგან დიდი იყო ახალგაზრდების სწრაფვა მშობლიური მწერლობის შესწავლისადმი.

სწორედ ამ დროს პეტერბურგში მოღვაწეობდა ახალგაზრდა ქართველი სწავლული დავით ჩუბინაშვილი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის სწავლების საქმეს.

ქართული ენის სწავლება უნივერსიტეტში 1845 წელს შემოუღიათ. ამ საენის პირველი ლექტორი გახლდათ დ. ჩუბინაშვილი. ამიერიდან ქართულმა ენამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკვიდრა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას: სკოლებში შემოიღეს მშობლიური ენის სწავლება... მომზადდა ნიადაგი ქართული თეატრის შექმნისა და ქართული ჟურნალის დაარსებისათვის...

ამ დიდმნიშვნელოვან წამოწყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პეტერბურგელი ქართველოლოგები. ქართული სიძველეების შესწავლაზე კვლავ დიდი ერთუხიანებით მუშაობდნენ თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი და სხვები. ისინი სიტყვითა და საქმით ხელს უწყობდნენ საქართველოში მომუშავე მკვლევარებს. აქვეყნებდნენ და სამშობლოში ავზავნიდნენ თავიანთ ნაშრომებს.

დ. ჩუბინაშვილმა წინადადება მიიღო, კავკასიის ოლქის გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის შეედგინა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული გრაზტიკა და საკითხავი წიგნი. მართლაც, ახალგაზრდა მეცნიერის მიერ

შედგენილმა სახელმძღვანელოებმა იმ დროისათვის სათანადო წვლილი შეიტანა ქართული ენის სწავლების საქმეში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება მაღალ დონეზე იდგა. დ. ჩუბინაშვილი ცდილობდა სწავლების პროცესში გამოეყენებინათ ქართული კლასიკური მწერლობა, თავად ხრუნავდა სახელმძღვანელოებით სტუდენტთა მომარაგებაზეც. 1845 წელს მან შეადგინა ქართული ქრესტომათია, რომელიც 1847 წელს დაიბეჭდა.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს შემუშავებული არ დარჩენია დ. ჩუბინაშვილის მეცნიერული დამსახურება და 1848 წელს იგი ქართული ენის ადიუნქტად აირჩიეს (ადიუნქტი ლათინურ სიტყვაა და ნიშნავს თანაშემწეს; უმცროს მეცნიერ მუშაკს უდრდა და დღევანდელი გაგებით).

ქართული, სომხური და თათრული ენების კვლევა განსაკუთრებით მას შემდეგ გაფართოვდა, რაც მიიღეს დებულება „კავკასიელებისა და ამიერკავკასიელი აღსაზრდელების შესახებ“.

დებულების თანახმად, რუსეთის სატახტო ქალაქის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში დაიწყეს ქართული ენის სწავლება, რაც ნაკარნახევ იყო პრაქტიკული მოთხოვნილებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ამიერკავკასიელი სტუდენტების რიცხვი. ლექციების წაკითხვა აქაც დ. ჩუბინაშვილს შესთავაზეს.

1855 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, რომლის ერთ-ერთ განხრად დ. ჩუბინაშვილის აქტიურობითა და მისი დაყენებული მოთხოვნით გამოიყო ქართულ-სომხურ-თათრული განყოფილება. ეს იყო არა მარტო დ. ჩუბინაშვილის გამარჯვება, არამედ ქართველოლოგიური საქმიანობის აღმავლობა. ამიერიდან ქართული ენა საფაკულტეტო საგნიდან საუნივერსიტეტო დისციპლინად იქცა და მისი შესწავლა საეალდებულო გახდა აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ამ დროიდან დაარსდა ქართული ენის კათედრა.

მართალია, მაშინ უნივერსიტეტში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება მაღალ დონეზე მდგარა, მაგრამ 60-იანი წლებიდან იგი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩენილა.

1863 წელს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე გაერთიანდა ქარ-

თულო და სომხური ენების კათედრები, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფ. დ. ჩუბინაშვილი.

კათედრათა გაერთიანებამ სწავლების ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა, ვერ შეიზღუდა ქართული ენის სწავლება, ხოლო შემდეგ მიუხედავად დ. ჩუბინაშვილის დაუღალავი საქმიანობისა, დროებით კიდევ გაუქმდა. მაგრამ მეცნიერი გულს მაინც არ იტეხდა. იგი ახალგაზრდებს ამხნევებდა და მოუწოდებდა მეტა-მონდომებით შეესწავლათ მშობლიური ენა და ჩვენი წარსულის მონაპოვარი.

ე. ბოლხოვიტინოვი

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში რომ გაიზარდა ინტერესი ქართული ენისა და საერთოდ ქართული კულტურისადმი, ამაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის რუს სწავლულსა და მოღვაწეს ე. ბოლხოვიტინოვს. მან მიაწოდა ევროპელ მკითხველს პირველი ცნობები ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. ამიერიდან ქართველოლოგიამ უცხოელთა მეცნიერული კვლევის სფეროში დაიკავა ჯეროვანი ადგილი.

ეგგენი (ერისკაცობაში — ექვთიმე) ბოლხოვიტინოვი დაიბადა 1767 წელს ვორონეჟში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. მან 1788 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო (სლავურ-ბერძნულ-ლათინური) აკადემია, აქვე დაუფულა ევროპულ და კლასიკურ ენებს და 1789 წელს დაუბრუნდა მშობლიურ ვორონეჟს. აქ იგი დანიშნეს სემინარიის საეკლესიო ისტორიის მასწავლებლად.

ე. ბოლხოვიტინოვი ოჯახური უბედურების შემდეგ (გარდაიცვალა მეუღლე და სამი შვილი) 1800 წელს აღიკვეცა ბერად და გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქის მონასტრებში (ბოლოს კიევის მიტროპოლიტი იყო).

ე. ბოლხოვიტინოვი გარდაიცვალა 1837 წელს, დაკრძალულია კიევის, სოფის ტაძარში.

ე. ბოლხოვიტინოვი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, თავისი დროის ცნობილი სწავლული და მოღვაწე. მეტად მრავალფეროვანია მისი მეც-

ნიერული შემკვიდრება, რომელიც მოიცავს ფილოსოფიის, ისტორიის, მუსიკის, არქეოლოგიის, ბიბლიოგრაფიისა თუ ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ე. ბოლხოვიტინოვის, როგორც ქართველოლოგის, რუსთველოლოგის ღვაწლი.

1802 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии“. თუმცა ზოგიერთი ქართველი თუ რუსი მკვლევარი წიგნს კოლექტიურ (თანაც ანონიმურ) ნაშრომად თვლიდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, რადგან ე. ბოლხოვიტინოვს საერთოდ არ სცოდნია ქართული ენა და პირადად არ შეეძლო ქართული წყაროების გაცნობა, ზემოაღნიშნული წიგნის დაწერის დროს კონსულტანტებად გამოუყენებია იმხანად პეტერბურგში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი ვარლამი (ერისთავა)*. და ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკი.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი გამოსვლისთანავე უთარგმნიათ გერმანულად** (გ. შარაძე). მან პირველმა გააცნო კულტურულ მსოფლიოს არა მარტო ჩვენი ლექსთწყობის ზოგიერთი პრინციპი, არამედ რუსთაველის სახელიც, მანვე მიაწოდა ცნობები უცხოელ მკითხველს ქართული ანბანისა და ქართული ენის ბუნების შესახებ.

როცა გერმანულ ენაზე ითარგმნა ზემოაღნიშნული წიგნი (1804 წ.), მის შესახებ დაიწერა ვრცელი რეცენზია-ახოტაციებ*, რამაც საბოლოოდ შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების ევროპაში გატანასა და პოპულარიზაციას. სწორედ ამ ნაშრომის გაცნობამ გაუღვიძა ინტერესი ახალგაზრდა

* ვარლამი (1763—1830) — საქართველოს ეგზარქოსი, 1801—1808 წლებში იყო სინოდის წევრი. 1811 წელს დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მმართველად. 1817 წელს კვლავ გაიწვიეს პეტერბურგის სინოდში, სადაც ღარიბა 1825 წლამდე. 1825—1830 წლებში განაგებდა მოსკოვის დაბელის მონასტერს. ვარლამი ცნობილი იყო მკვერმეტყველებით, ფართო განათლებით მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ენის მოკლე გრამატიკა. 1805 წელს მოსკოვში გამართა ქართული სტამბა.

** ზოგიერთი ცნობით, წიგნი მამიხვე უთარგმნიათ ფრანგულ და რუსულ ენებზეც. გარდა ამისა, იმხანად არსებულ ნაშრომის ფრანგულზელი ქართული თარგმანიც.

ფრანგ ორიენტალისტს, შემდგომში ცნობილ აკადემიკოსს, მარ ბროსეს, ქართული ენისა და, საერთოდ, საქართველოსადმი.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნში სხვა საკითხებთან ერთად დასმულია რუსთველოლოგიური პრობლემატიკა. როგორც მოუთხოვებენ, ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომის მიუხედავად, ავტორი ძირითადად სწორ ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს გვაწვდის „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე. ამავე წიგნში დაცულია ცნობა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ განადგურების შესახებ: ამ საქმეში დამნაშავე ანტონ პირველი კი არ იყო, არამედ რეალურ-ისტორიული კატასტროფა — 1723 წელს მტრთა თავდასხმა თბილისზე.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი 7 თავისაგან შედგება. აქედან მეოთხეა — *О языке и писменах Грузинских*, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ საზოგადოდ, ავტორი ემყარება ცალმხრივ (არასწორ) ინფორმაციას ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია საინტერესო დაკვირვებანიც: ძველი ქართული ენა საესეებით განსხვავდება მეზობელი ხალხის ენებისაგან, მას გააჩნია საკუთარი ძირები და ეტიმოლოგია, ძველი ქართული ენა წარმოთქმაში დიდებულია, გამომეტყველი. ქართულ ენაში სიტყვათა წყობა საესეებით თავისუფალია, რაც მას ანიჭებს უპირატესობას, მოქნილობასა და მრავალფეროვნებას. ქართული მათიანე ქართული დამწერლობის შექმნას შიამყერს მეფე ფარნავაზის დროს...

ე. ბოლხოვიტინოვის ზემოდასახელებულ წიგნს სათანადო მნიშვნელობა აქვს ისტორიული თვალსაზრისით.

მარი ბროსე

მარი ბროსე იყო ფრანგი მეცნიერი, ორიენტალისტი, აკადემიკოსი, ქართველოლოგიის მამამთავარი ევროპაში.

მარი ბროსე დაიბადა 1802 წ. ზელმოკლე ვაჭრის ოჯახში. იგი პირველად სწავლობდა ორლეანის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ ისმენდა ლექციებს კოლეჟ დე ფრანსში, სწავლობდა ჩინურ ენისა და ლიტერატურას, ამავე დროს ხელი მოჰკიდა ქართულსა და სომხურს (როცა გაეცნო ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს).

მარი ბროსემ შესწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი, მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. ბროსეს მუშაობაში დახმარებას უწევდნენ სენ-მარტენი და თეიმურაზ ბატონიშვილი (მიწერ-მოწერით).

1834 წელს მარი ბროსემ გამოსცა ქართული ენის თვითმსწავლებელი, ქართული ენის გრამატიკა. (შრომა შედგება 17 თავისაგან. ყოველ თავს მოსდევს საილუსტრაციო მასალა თარგმანითურთ). რომელშიც გათვალისწინებული იყო ანტონის, მაჯოსა და ბატონიშვილის გრამატიკები. ბროსემ წამოაყენა ვარაუდი, რომ ქართული ენა ეკუთვნის ინდოევროპულ ენათა ინდოირანულ შტოს.

ბროსე პირველი სპეციალისტია, რომელმაც სცადა ქართული ენის ნათესაობის საკითხი განეხილა არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვათა შეპირისპირებით, არამედ გრამატიკულ მოვლენათა ჩვენების მიხედვითაც.

1837 წელს მარი ბროსე რუსეთში მიიწვიეს. იგი აირჩიეს პეტერბურგის აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით, წაიკითხა ლექციების ციკლი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესახებ. 1847—1848 წლებში იმოგზაურა საქართველოში. ფრანგულად თარგმნა და 7 ტომად გამოსცა 1849—1853 წლებში „ქართლის ცხოვრება“ და სხვა საისტორიო თხზულებანი, დაიწყო „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლა, სცადა დაეწერა საქართველოს ისტორიის კურსი.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მარი ბროსე იკვლევდა ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებს, ფრანგულ ენაზე თარგმნიდა საქართველოს ისტორიას, ქართველი მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომებს.

მ. ბროსეს დამსახურება და ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე შეიძლება მოხდენილად გადმოვცეთ ცნობილი აკადემიკოსის ბეტლინგის სიტყვებით: „ბროსემ ხელთ აიღო ქართული ხელნაწერებით აღსავსე ტომარა, გადმოატრიალა და დაცალა ისე, რომ არაფერი დატოვა შიგ რაიმე ინტერესის შემცველი“.

მ. ბროსე გარდაიცვალა 1880 წელს. 1902 წელს ქართველმა სალხმა მას გადაუხადა დაბადების 100 წლისთავის იუბილე ი. ჭავჭავაძის ინიციატივით.

თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი)

თ. ბაგრატიონი იყო ქართველი მწერალი და მეცნიერი, მეფე გიორგი XII-ის ძე. დაიბადა 1782 წელს თბილისში. სწავლობდა თელავის სემინარიაში, მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში. როცა აღმოსავლეთ საქართველო შეუერთდა რუსეთს, 1803 წელს თეიმურაზი სპარსეთში გაიქცა და იქ თავის ბიძასთან — ალექსანდრე ბატონიშვილთან ცხოვრობდა.

1810 წელს თეიმურაზ ბატონიშვილი დაბრუნდა საქმობლოში, მაგრამ მალე გაგზავნეს პეტერბურგში, დაუნიშნეს წლიური ჯამაგირი და პენსია. აქვე 1813 წელს შეიძინა საკუთარი სახლი, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა.

თ. ბაგრატიონი ეწეოდა ფართო მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობას, დაკავშირებული იყო რუს მოღვაწეებთან, სწავლულებთან, პოეტებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

თ. ბაგრატიონმა შემოიკრიბა პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მწიგნობრები. 1830 წლიდან ჩაეყარა საფუძველი მის მეცნიერულ თანამშრომლობას მარი ბროსესთან (რომელიც თავს თვლიდა თეიმურაზის მოწაფედ) და შემდგომ მასთან ერთად შექმნა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა.

თ. ბაგრატიონი ეწეოდა მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობას. იგი იყო ისტორიკოსი, დაწერა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან (ადამიანის გაჩენიდან) საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებამდე (როგორც ისტორიკოსი, თ. ბაგრატიონი რომანტიკოსია. იგი აიდეალებს საქართველოს წარსულს).

თეიმურაზმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას, ტექსტის დადგენასა და პოემის 1841 წლის გამოცემას, გამოიკვლია ქართული ლექსთწყობის საკითხებიც. მასვე ეკუთვნის ლექსთა კრებული „სამოცეფლი“, პოემა „გაბილი ანუ დარღვევა ტრთადისა“ და სხვანი.

თ. ბაგრატიონი იყო პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი 1837 წლიდან, პარიზის საახლო საზოგადოებისა და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოების წევრი.

თ. ბატონიშვილი გარდაიცვალა 1846 წელს.

თ. ბატონიშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც ქართული დამწერლობის აღმოცენებისა და ფორმირების ისტორიული პირობების შესახებ ანტონ პირველის, ანტონ მეორის, ანტონ ჭყონდიდელის, ფილიპე ყაითმახაშვილისა და სხვათა არქივებში მოიძია მეტად ფასეული წყაროები და მათზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა უაღრესად საყურადღებო მეცნიერული მოსაზრებანი. საგახვებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ მისი მეშვეობით გახდა ჩვენთვის ხელმისაწვდომი „მატიანე შემეცნებათა“ და მასში ჩართული მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობა.

დავით ჩუბინაშვილი

დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი იყო ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი. იგი დაიბადა 1814 წელს თბილისში. დავითის წინაპრები სამცხის აზნაურები ყოფილან. ერთ-ერთი მათგანი, გიორგი, მე-18 საუკუნეში გადმოსახლებულა ქართლში.

ჩუბინაშვილები, როგორც ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მოამაგნი, თხზავდნენ და ბეჭდავდნენ წიგნებს, ზრუნავდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის.

დავითის მამა იესე დიდად განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ქართულ ენას, მასვე შეუდგენია ქართული ენის გრამატიკა, რომელსაც სემინარიაში იყენებდნენ სახელმძღვანელოდ.

1821 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა იესე (41 წლის ასაკში), რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი სამი შვილი. ერთი თვის თავზე მიწას მიაბარეს მისი მეუღლეც.

უდემამო ბავშვების მოვლა იკისრა ბიძამ (მამის ძმამ) ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა. მან, მართლაც შესწირა მთელი სიცოცხლე მათს აღზრდას. ნიკოლოზმა შეასწავლა დავითს წერა-კითხვა.

ნ. ჩუბინაშვილი იყო ცნობილი ენათმეცნიერი და ლექსიკოგ-

რ. ე. ფიქრიშვილი

რადი. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იდორობდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები. აქ მსჯელობდნენ საქართველოს ისტორიაზე, მის წარსულსა და მომავალზე. პატარა დავითიც ხშირად უსმენდა თურმე უფროსების საუბარს. ოჯახურმა გარემომ ჩაუნერგა ბავშვს წიგნისა და ქართული მწერლობის სიყვარული.

ნ. ჩუბინაშვილი 1825 წელს პეტერბურგში გადავიდა სამუშაოდ. იგი დანაშნეს საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში ქართული ენის მთარგმნელად. ნიკოლოზმა თან წაიყვანა ძმისშვილები: დავითი და მისი და. ბავშვები მიაბარა სასწავლებლებში.

დავითი გამოირჩეოდა მეტიობითა და განსაკუთრებული ნიჭიერებით. იგი ბიძის ხელმძღვანელობით იღრმავებდა ცოდნას, რადგან არ აკმაყოფილებდა სკოლის პროგრამა. ამავე დროს საფუძვლიანად ეცნობოდა ქართულ მწერლობას, ზეპირად სწავლობდა „ვეფხისტყაოსნიდან“ ადგილებს, ადგენდა ძნელადგასაგები სიტყვების ლექსიკონს.

დავითის პედაგოგები გაკვირვებას ვერ ფრავდნენ ქართველი ჰაბუკის ასეთი შრომისმოყვარეობისა და ნაკითხობის გამო.

დავითის მუყაითობა და ნიჭიერება ცნობილი გახდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მისდამი თეიმურაზ ბაგრატიონი. მან გიმნაზიელ ჰაბუკს თავისი ბიბლიოთეკით სარგებლობის ნებაც დართო.

თეიმურაზთან ურთიერთობამ დავითის მუშაობა უფრო მიზანსწრაფული გახადა. იგი დიდ დროს ანდომებდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ხელნაწერების შესწავლას.

1835 წელს დ. ჩუბინაშვილი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის აღმოსავლური სიტყვიერების ფაკულტეტის სტუდენტი.

სტუდენტობის პერიოდში დ. ჩუბინაშვილი აქტიურად ჩაება კვლევის მუშაობაში, სწავლობდა აღმოსავლურ ენებს, კითხულობდა რეფერატებს ქართულ საისტორიო მწერლობაზე.

პეტერბურგელი ქართველების მეცნიერული მოღვაწეობის განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მარი ბროსემ, რომელიც რუსეთში ჩამოსვლისთანავე პირადად გაეცნო და დაუახლოვდა თეიმურაზ ბაგრატიონსა და სხვა ქართველ სწავლულებს,

მათ შორის პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტ დ. ჩუბინაშვილს.

დ. ჩუბინაშვილმა 1837 წელს მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც სარეცენზიოდ გადასცეს აკად. მარი ბროსეს.

მ. ბროსემ მოიწონა ნაშრომი და ავტორს ურჩია ლათინური ნაწილი შეეცვალა ფრანგულით. თანვე აკადემიის წიხაზე უშუაპდგომლა ლექსიკონის გამოცემაზე.

დ. ჩუბინაშვილმა მ. ბროსეს რჩევითა და დახმარებით შეადგინა **ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი** და გამოსცა 1840 წელს, 1846 წელს დაბეჭდა **რუსულ-ქართული ლექსიკონი** და **ქართული ენის ქრესტომათია**, ხოლო 1855 წელს — **ქართული ენის მოკლე გრამატიკა რუსულად** (რომელშიც ძირითადად მოცემულია ახალი ქართული ენის ანალიზი), 1887—1891 წლებში დაასრულა **ქართულ-რუსული ლექსიკონი**.

დ. ჩუბინაშვილმა დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემისათვის. მან 1841 წელს დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“ დაურთო ლექსიკონი. 1842 წელს გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური გამოკვლევა „ქართული პოემის“ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“.

დ. ჩუბინაშვილმა უდიდესი ღვაწლი დასდო ქართველოლოგიურ საქმიანობას პეტერბურგში. იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პირველი გამგე, 1855 წელს მიენიჭა ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება.

1871 წელს დ. ჩუბინაშვილი გავიდა პენსიაზე, მაგრამ კვლავაც ეწეოდა შეუწყვეტელ სამეცნიერო მუშაობას, მუდამ მზრუნველობდა და ეხმარებოდა ქართველ თანამემამულეებს, რომლებიც თავის მხრივ, არ აკლებდნენ პატივისცემასა და ყურადღებას მზცოვან მეცნიერს.

დ. ჩუბინაშვილი 1891 წელს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალეს პეტერბურგში აღმქსახდრე ნეველის სასაფლაოზე. მის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც სათანადოდ შეაფასა ქართველი მეცნიერის ღვაწლი და დამსახურება ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

მრავალმხრივი იყო დ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო ნაღვაწი. აქ

შეიძლება გამოიყოს: რუსთველოლოგიური დაკვირვებანი, საქართველოს ისტორიის კვლევა, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, ლექსიკოლოგიური ნაშრომები და სხვა.

დ. ჩუბინაშვილი იყო თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეც. იგი გახდა პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში. მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთში ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლების შემოღება, პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის გახსნა და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულად ლექციების კურსის წაკითხვა. მის მიერ გამოცემული ლექსიკონები, ქართული ქრესტომათიები, შ. რუსთაველის „ფეხისტყაოსანი“, ქართლის ცხოვრება, ქართული გრამატიკები... ხელს უწყობდა ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის პროპაგანდას.

ვუკოლ ბერიძის სიტყვით, ქართველთაგან დავით ჩუბინაშვილი ევროპული მასშტაბის პირველი ქართველოლოგია, რომელმაც ჩვენი კულტურის დიდება რუსეთის ფარგლებს გარეთ გაიტანა.

2. ქართველოლოგიური კვლევის ახალი ეტაპი პეტერბურგის უნივერსიტეტში

პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კვლევის ახალი ეტაპი დაიწყო XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან.

მართალია, დ. ჩუბინაშვილი იყო პირველი ქართველი პროფესორი, ქართული ენის სპეციალისტი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე, მის მიერ შედგენილი გრამატიკა-ლექსიკონები სასწავლო მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ დ. ჩუბინაშვილი არ დაინტერესებულა საკუთრივ ენათმეცნიერული საკითხებით, არ უმსჯელია ენათა ნათესაობის შესახებ და სხვ.

სწორედ ამგვარ პრობლემებს მიექცა განსაკუთრებული ყურადღება პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ სკოლაში XIX საუკუნის მიწურულიდან, როცა საკითხების კვლევა ხდებოდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კვლევის ახალი ეტაპი დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, ალ. ცაგარლის სახელთან.

ალექსანდრე ცაგარელი

ქართველი ფილოლოგი და ისტორიკოსი ალ. ცაგარელი დაიბადა ქართლში 1844 წელს. მამამისი იყო მღვდელი. ალექსანდრე მიაბარეს სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ, 1859 წელს, გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ოსურს სწავლობდა დანიელ ჭონჭაძის ხელმძღვანელობით, ბერძნულს — ბერძენი ამხანაგებისაგან, ფრანგულს — დამოუკიდებლად (სემინარიაში ამ დროს ფრანგულსა და ბერძნულ ენებს არ ასწავლიდნენ).

1867 წლიდან ალ. ცაგარელი პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიული აკადემიის სტუდენტია, მაგრამ იქიდან მალე გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1868 წელს ექიმის რჩევით (იქ ჰავა ვერ აიტანა) სწავლა განაგრძო ვერმანიაში, მიუნხენში, შემდეგ — აუსტრიაში, ვენაში.

1871 წელს ალ. ცაგარელი დაუბრუნდა პეტერბურგის უნივერსიტეტს და სათავეში ჩაუდგა ქართული ენის კათედრას, თანვე ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას. 1872 წლისათვის დაიწერა მისი პირველი სამეცნიერო შრომა „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“.

1872 წლის 9 აპრილიდან ალ. ცაგარელი დამტკიცებულ იქნა პრივატ-დოცენტად, 1874 წლიდან — დოცენტად, 1886 წლიდან — ორდინალურ პროფესორად, 1897 წლიდან — დამსახურებულ პროფესორად. 1874—1875 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში.

ალ. ცაგარელი 1922 წელს გადმოვიდა თბილისის უნივერსიტეტში და 78 წლის მოხუცი ერთხანს კითხულობდა ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. გარდაიცვალა 1929 წელს, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ალ. ცაგარელმა დაიწყო ქართულ ხელნაწერთა მოძიება. აღწერა და შესწავლა, საგანგებოდ მოიარა მთელი საქართველო.

1883 წელს ალ. ცაგარელი გაემგზავრა საზღვარგარეთ, მოვიდა პალესტინის, ათონის მთის, სინის მთის ქართული კულტურის კერები და აღწერა იქ არსებული ხელნაწერები.

ალ. ცაგარელმა მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, მაგრამ მისი ნაშრომების დიდი ნაწილი

მაინც ქართულ ენათმეცნიერებას ეხება. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა შედარებითს შესწავლას.

ალ. ცაგარელი იცავდა კავკასიური ენების მიმართ ადრე გამოთქმულ დებულებას (რომ ეს ენები არ ენათესავენებიან არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს). აკრიტიკებდა თეორიებს, რომლებიც ქართულ ენას აკუთვნებდნენ ინდოევროპულ და ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახებს, გამოაქვეყნა ქართულისა და ქართველური ენების შესწავლის ვრცელი ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა.

ალ. ცაგარლის ყველა საენათმეცნიერო შრომა დაიწერა მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. ესენია: კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა (1872), ქართული ენის ინდოევროპულ და თურანულ ენებთან ნაყარაუდგვი ნათესაობის შესახებ (1872), ქართული ენის შესახებ საგრაამატიკო ლიტერატურის მიმოხილვა (1873), „მეგრული ეტიუდები“ (1880) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ცაგარლის მიერ ჩაწერილი მეგრული ტექსტები იყო საენათმეცნიერო მიზნით პირველად ჩაწერილი ქართველურ ენათა მასალა.

დიდა ალ. ცაგარლის დამსახურება ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში. მართალია, ქართული ენის ნათესაობის საკითხში მან გაიმეორა გერმანელი მეცნიერის ფრ. მიულერის მიერ 8 წლით ადრე (1864 წ.) გამოთქმული თვალსაზრისი, მაგრამ ახალი იყო გზა, რომელიც მან დასახა საკითხის გადასაწყვეტად. ალ. ცაგარლის აზრით, აუცილებელია ყოველმხრივ შევსწავლოთ ქართული ენა, უმწერლობო ქართველური ენების იდიომები (ჭანური, მეგრული, სვანური), ქართული ენის კილო-თქმები, აღვადგინოთ ქართულის ლინგვისტური ტიპი და იგი შევუდაროთ სხვა ენებს. ერთი სიტყვით, შესადარებლად ავიღოთ არა თანამედროვე სახე ქართული ენისა, არამედ ისტორიულ-შედარებითი ანალიზის შედეგად აღდგენილი არქეტიპი.

ალ. ცაგარლის სახით პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე დასაბამი მიეცა ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა პოზიტიურ კვლევას ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერების პრინციპზე დაყრდნობითა და სათანადო მეთოდის გამოყენებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელოვანმა მეცნიერმა რუსულ ენაზე თარგმნა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

ალ. ცაგარელი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის; ი. ჭავჭავაძესთან ერთად ილაშქრებდა. აგრეთვე, კატკოვის ცილისმწამებლური გამოხვედრის წინააღმდეგ.

ნიკო მარი

ნ. მარი იყო ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი.

ნიკო იაკობის ძე მარი დაიბადა 1864 წელს ქუთაისში. მამა შოტლანდიელი იყო, განათლებით ბუნებისმეტყველი. დედა—ალათი ძალღულარია გურული იყო. გიმნაზიაში ნიკომ განსაკუთრებულა ნიჭიერება გამოიჩინა ენების შესწავლაში, იცოდა ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური.

ნიკო მარმა ბრწყინვალედ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია 1884 წელს, შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ერთდროულად სწავლობდა სამი განხრით: სომხურ-ქართული ფილოლოგიის, არაბულ-თურქულისა და სემიტური ენების.

ქართულს ისმენდა ალ. ცაგარელთან, სომხურს — ბატკანოვთან, არაბულს — ვიქტორ როზენთან (რომელიც წარმართავდა მარის ფილოლოგიურ წვრთნას).

ნიკო მარმა უნივერსიტეტი დაამთავრა ვერცხლის მედლით 1889 წელს. პატკანოვის წინადადებით, იგი დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად სომხური სიტყვიერების გახხრით.

1891 წელს მარი დაინიშნა პრივატ-დოცენტად და დაიწყო ლექციების კითხვა. 1892 წელს შეუდგა საშუალო საუკუნეების ქალაქის—ანისის არქეოლოგიურ გათხრებს. 1894—1896 წლებში იმუშაობდა საზღვარგარეთ — შტრასბურგის უნივერსიტეტში, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში, ვენეციაში და სხვაგან. გერმანიაში ყოფნის დროს იგი ისმენდა მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორების ლექციებს.

1898 წელს ნ. მარი მონაწილეობდა ნ. კონდაკოვის ექსპედიცია-

ში ათონის მთაზე ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლთა გასაცნობად.

1899 წელს ნ. მარმა პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის სამეცნიერო წოდება. იმავე წლიდან კთხულობს ქართული ლიტერატურის კურსს. 1901 წელს მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1902 წელს ივ. ჯავახიშვილთან და ა. ვასილიევთან ერთად მოაწყო ექსპედიცია სინის მთაზე ქართული ხელნაწერების შესასწავლად. შემდეგ ამავე მიზნით გაემგზავრა იერუსალიმში.

1902 წელს ნ. მარი დაინიშნა ორდინარულ პროფესორად ქართული და სამხური სიტყვიერების კათედრაზე, 1909 წელს კონამდვილ წევრად. 1913 წელს ირჩევენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად. ამავე დროს ნ. მარი ზრუნავდა საქართველოში სამეცნიერო ცენტრის შესაქმნელად. მას ამ მიზნით 1905 წელს კიდევ შეუდგენია პროექტი — წესდება.

1918 წელს ნ. მარის პროექტების საფუძველზე პეტერბურგის უნივერსიტეტში გაერთიანდა აღმოსავლურ ენათა და ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტები, მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტი კი გადაკეთდა წინა აზიის (აღმოსავლურ) ინსტიტუტად (აქ მარი პროფესორად ინიშნება შეთავსებით). ასევე, მისი პროექტით არქეოლოგიური კომისიის ბაზაზე იქმნება ახალი საკვლევადიებო ცენტრი, რომელსაც ეწოდა „სახელმწიფო მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია“, აკადემიის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ნ. მარი (რომელსაც ეს თანამდებობა სიცოცხლის ბოლომდე ეკავა), აკადემიას მისი სახელი მიენიჭა.

ნ. მარი განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში, ვესელოვსკის სახელობის ინსტიტუტში და კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტსა და აღმოსავლურ ინსტიტუტში.

1921 წელს ნ. მარმა მეცნიერებათა აკადემიაში დააარსა „იაფეტური ინსტიტუტი“. იგი დანიშნეს დირექტორად. მარი ხელმძღვანელობდა სხვა სამეცნიერო ცენტრებსაც. 1930 წლიდან ვარდაცვალებამდე იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ნ. მარი გარდაიცვალა 1934 წელს ლენინგრადში.

ნ. მარმა თავისი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე დააარსა 15 სამეცნიერო უძრავი თუ სერია და იყო ამ გამოცემების უცვლელი რედაქტორი.

ნ. მარის მეცნიერული კვლევის სფერო უზომოდ ფართოა: ქართული ლიტერატურა და ენა, ისტორია და არქეოლოგია, სამხური სიტყვიერება...

ნ. მარმა პირველი მეცნიერული ნათლობა მიიღო ალ. ცაგარლის საუნივერსიტეტო კურსებისა და სემინარების საშუალებით. ჯერ კიდევ სტუდენტს დაუწერია უამრავი სამეცნიერო ნაშრომი ძველი ქართული მწერლობიდან. სტუდენტობის წლებშივე დაინტერესდა იგი ქართული ენის გენეზისის საკითხებით და შემდგომში წამოაყენა ახალი თეორია, რომლის მიხედვით, ქართული ენა გამოაცხადა სემიტური ენების მონათესავედ. ეს თეორია ლინგვისტიკაში ცნობილია „იაფეტური თეორიის“ სახელით. მან ქართველურ ენებს უწოდა იაფეტური ენები (ბიბლიური ნოეს შვილის — იაფეტის სახელიდან. ნოეს შვილები იყვნენ: სემი, ქამი და იაფეტი). სემიტური და იაფეტური ენები ნოეტური ოჯახის ორ შტოდ ჩათვალა. მთის კავკასიური ენების შესწავლის შედეგად მარმა იაფეტური ენების წრეში შეიტანა აფხაზურ-ადიღეურნი, ჩაჩნური და დაღესტნის ენები და იაფეტური დამოუკიდებელ ენათა ოჯახად მიიჩნია. შემდგომში ამ ოჯახს მიაკუთვნა ბასკური, აგრეთვე, წინა აზიის მკვდარი ენები (ეტრუსკული, პელაზგური...). მოგვიანებით მარმა იაფეტური ენები უფრო ძველად ცნო, ვიდრე სემიტური და ინდოევროპული. ამის გამო სემიტურ და იაფეტურ ენათა ნათესაობა მოიხსნა. აღიარებულ იქნა იაფეტურ ენათა შეჯვარება ჯერ სემიტურ, ხოლო უფრო გვიან ინდოევროპულ ენებთან.

აღსანიშნავია, რომ მარის მიერ წამოყენებული თეორიები ენათა ნათესაობის საკითხზე ქართულ ლინგვისტიკაში მთლიანად არაა განაირებული. ამ თეორიის დადებითი ის იყო, რომ მან დასვა ქართველურისა და კავკასიური ენების ნათესაობის საკითხი, მაგრამ ვერ დაასაბუთა.

ნ. მარი არ იყო პროსესა და დ. ჩუბინაშვილის დროინდელი ქართველოლოგიის უბრალო გამგრძელებელი. მან კვლევაში და-

ნებრა ბევრი სიახლე. მაგალითად, პირველმა დაიწყო უძველესი ძეგლების წინასწარი კრიტიკულ-ფილოლოგიური ანალიზი.

მართლაც, ნ. მარმა დღის სინათლეზე გამოიტანა ძველი მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლები. მართალია, ზოგიერთი მათგანი შესახებ არასწორი თვალსაზრისი გამოთქვა, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ ჩრდილავს მის უდიდეს მეცნიერულ ღვაწლს.

ნ. მარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ტექსტოლოგიას — აღწერა და შეისწავლა საზღვარგარეთულ ცენტრებში დაცული უძველესი წერილობითი ძეგლები (ათონზე, სინის მთაზე, პალესტინაში).

ნ. მარი არ იყო მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსი (იგი უპირატესად ფილოლოგ-ენათმეცნიერი), მაგრამ ძველი ქართული მწერლობის ტექსტების გამოცემით მან მტკიცე ბაზა შეუქმნა ქართული ლიტერატურის ისტორიას. მკვლევართა აზრით, ნ. მარი არის ქართული ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის საფუძვლის ჩამყრელი (ა. კაკელიძე). იგი 1899 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. განსაკუთრებული ამაგი დასდო ნ. მარმა რუსთაველოლოგიურ პრობლემებს.

ნ. მარის შემოქმედებაში მაინც მთავარია ლინგვისტური ხასიათის ნაშრომები.

1908 წელს გამოვიდა დიდმნიშვნელოვანი წიგნი „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“. ამ დროისათვის მარის წინაშე დასახული იყო შემდეგი პერსპექტივა: ქართული ენის გრამატიკული კატეგორიების რაობის გამორკვევა და მათი ევოლუციის შესწავლა სალიტერატურო ენის ისტორიის მთელს მანძილზე, მეგრულ-ჭანურ-სვანურის სტრუქტურის დადგენა, ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, მათი ლექსიკური საუნჯის გამომზეურება, ქართულ-ქართველური ენების დავშირება მსოფლიოს ენებთან.

ამ მრავალმხრივი სამუშაოს შესრულებაში ნ. მარს გვერდით ედგნენ მისივე დაზრდილი „შავარდნები“ (ასე უწოდებდა თავის მოწაფეებს). მართლაც, მარმა სამეცნიერო მუშაობაში ჩააბა თავისი ენათმეცნიერი მოწაფეები: ი. ყიფშიძის ინტერესები მეგრულ-ჭანურის კვლევისაკენ წარმართა, აკ. შანიძე თავდაპირველად ქართული დიალექტოლოგიისა და ძველი ქართულის საკი-

თხებს იკვლევდა, გუგოლ ბერიძე ლექსიკოლოგია-ტერმინოლოგიის სფეროს „მიუჩინა“.

ნ. მარმა უფრო დაახუსტა და შეავსო ალ. ცაგარლის მიერ დადგენილი კანონზომიერება ქართველურ ენათა ფონეტიკისა. ასევე მეტად ფასეულია მისი დაკვირვებანი სვანური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებზე.

ნ. მარმა დიდი წვლილი შეიტანა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. მან სათავე დაუდო ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას; შეისწავლა ტო-კლარჯული კილოს ლექსიკა, შეაგროვა საყურადღებო მასალები იმერზეში (სამხრეთ საქართველოში) მოგზაურობის დროს. ჩაწერილი მეტყველების ნიმუშები გამოიკვლია ენობრავად, დაურთო სათანადო დიალექტოლოგიური ლექსიკონი.

ვ. ბერიძემ ნ. მარის დავალებით შეისწავლა იმერული და რაჭული კილოები, მათი ლექსიკა და გამოსცა წიგნი „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რომელიც არის პირველი მეცნიერული დიალექტოლოგიური ლექსიკონი.

1908 წელს გამოსული ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“, რომელშიც მოცემულია ბგერათა კლასიფიკაციის, ბრუნების, უღვლილების ტაბულები, არის პირველი მეცნიერული გრამატიკა ქართული ენისა (შ. ძიძიური). მართალია, ეს წიგნი განკუთვნილი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, მაგრამ მისი მნიშვნელობა დიდად სცილდება სასწავლო მიზნებს. იგი ძირითადად ქართული ზმნის პირველი მეცნიერული კლასიფიკაციაა. სწორედ ამ ნაშრომის საფუძველზე მარს ირჩევენ პროფესორად აკადემიაში.

1925 წელს გამოვიდა ნ. მარის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“. მიუხედავად მასში გატარებული ზოგიერთი არასწორი დებულებისა, წიგნი ძველი ქართულის პირველი მეცნიერული გრამატიკაა.

ნ. მარმა გამოსცა ახალი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოც, რომელიც იყო სავალდებულო წიგნი ქართული ენის პრაქტიკული კურსის მსმენელთათვის.

1927—1928 წლებში ნ. მარი მიიწვიეს პარიზის აღმოსავლეთის ცოცხალი ენების ინსტიტუტში ძველი ქართული ენის თეორიული კურსის წაშაკითხავად. იგი თვეების მანძილზე კითხულობ-

და ლექციებს. მისი მსმენელები იყვნენ ქართული ენის სტრუქტურით დაანტირესებული მეცნიერებიც, მათ შორის პროფესორი **მორის ბრიერი**, რომელიც თურქმე სტენოგრაფიულად იწერდა მის ლექციებს.

1931 წელს ბრიერის თანავეტორობით პარიზშივე ქვეყნდება (ფრანგულ ენაზე) მარის მიერ წაკითხული ქართული ენის მთლიანი კურსი (800 გვერდიანი წიგნი) — „ქართული ენა“.

ნ. მარი თავის საენათმეცნიერო ნაშრომებში მსჯელობდა ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნისა და განვითარების კონკრეტულ საკითხებზე. იგი ვარაუდობდა, რომ მწერლობა თავდაპირველად იბერიულ ენა-კილოზე ვითარდებოდა, შემდეგ სალიტერატურო ენას საფუძვლად ქართების კილო დაედო: „სალიტერატურო ქართული ენა ქრისტიანობაზე ადრე გამოჩნდა ვიდრე უნდა ყოფილიყო. ქრისტიანული მწიგნობრობა მას მხოლოდ თავის საინტერესო ნაწილში განუვითარებია“. ე. ი. თავდაპირველად მწერლობის ენის საფუძველი იყო ქართული კილო და შემდეგ, ასე VI—VII საუკუნეებიდან, სალიტერატურო ენის განვითარებაში მონაწილეობას იღებენ სხვა ქართველი ტომებიც. ქართველი ტომების შემადგენლებელი სწორედ სამწერლობო ენაა, ერთ დიალექტზე დაფუძნებული სალიტერატურო ენა თანდათან „გადაიქცა საერთო ეროვნულ ენად“. ეს თვალსაზრისი მეცნიერულად გამართლებულია.

ნ. მარი საგანგებოდ მსჯელობს ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობებზე.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მეცნიერები აღიარებდნენ, რომ სომხური ინდოევროპული წარმოშობის ენაა, ე. ი. ამ ოჯახის დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ აქვე მიუთითებდნენ, რომ ამ ენაში დაიძებნება მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც არ აიხსნებიან ინდოევროპული ენების საფუძველზე. ნ. მარმა ხახგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად წამოაყენა თეზისი სომხური ენის თავდაპირველ ფორმირებაში ქართველური ენების მონაწილეობისა: ამის შედეგი უნდა იყოს თანამედროვე სომხურში აუხსნე-ლი ელემენტების არსებობა, ე. ი. სომხური ნარევი ენაა — ორბუნიბოვანია: ერთი ფენა, შენარევი და შეზრდილი სხვა ფენასთან, ქართველურ-კავკასიურ სამყაროსთან სიახლოვეთ არის აღ-ბეჭდილი.

კ. **დონდუას** აზრით, წინააღიურ სომხურში ქართველურ ფენის აღმოჩენა იყო „ნამდვილი რევოლუცია სომხური ენის შესწავლის დარგში“.

ნ. მარი იკვლევდა ქართულის მონათესავე ენებს მსოფლიოს ენათა შორის. იგი უამრავ ენას ფლობდა (60-მდე ენა იცოდა), მაგრამ მშობლიური ენის ღირსება-უპირატესობასა და გამორჩეულობას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა (ქართული შინაგანი თვისებებით მსოფლიურიაო), გატაცებით ქადაგებდა მისი შესწავლის საჭიროებას უცხოეთის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, საჯარო ლექციებით ასაბუთებდა ამ ქეშმარიტებას.

მართლაც, დღეს საზღვარგარეთის ქვეყნებში რომ ასე მასშტაბურია ქართველოლოგიური კვლევა, ამაში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის სახელოვან მეცნიერს ნიკო მარს.

ნ. მარის ავტორიტეტით დამკვიდრდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი „Витязь в тигровой шкуре“. ეს ტერმინი ეკუთვნის პეტრე კაბუჯიანს. მანამდე იხმარებოდა „Барсова кожа“. ნ. მარს სტუდენტე კაბუჯიანის ახალი თარგმანი მოსწონებია და კიდევ მისცა გზა მწერლობაში.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნ. მარმა ქართული ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა.

არნ. ჩიქობავა ნ. მარის ენათმეცნიერულ მემკვიდრეობას იხილავს და თან იძლევა მის შეფასებას. მარის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

- 1) მარი სამართლიანად თვლიდა, რომ იაფეტურ-ქართველურა ენები ძველისძველი წარმოშობისანი არიან.
- 2) იაფეტურ ენებს მიეკუთვნება ბასკური.
- 3) იაფეტური ენები კავკასიურ ენებს ენათესავენ (სამწუხაროდ, თითოეული ამ პრობლემის დასაბუთება-მტკიცება არ მოუცია).
- 4) განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის მარს ქართველური ენების შესწავლის საქმეში. დაწერა რამდენიმე წიგნი.
- 5) ენათმეცნიერულად ფასეულია ქართველურ ენათა ფონეტიკური ტიპების მიზედვით დახასიათება.
- 6) სუბიექტური და ობიექტური უღვლილების გარჩევა ქართულ (და ქართველურ ენათა) ზმნაში მნიშვნელოვანი შეხატენია.

7) მეტად საინტერესოა ქართველურ ენათა მასალის ეტიმოლოგიური ძიება (ზოგი მათგანი ბრწყინვალე მიხვედრისა და ანალიზის ნიმუშია).

8) ძველი ქართული ენის ძველთა გამოცემა შალალ მეცნიერულ დონეზე დგას. ერთი მეცნიერის სასიცოცხლო საქმედ იკმარებდა, რაც ამ შირივ მარს აქვს გაკეთებული.

9) ნ. მარმა მოგვცა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებას ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტის ესკიზები, ზოგი უფრო რეალური, ზოგიც ფანტასტიკური. ყველა ამ საკითხზე მარი წერდა ჩვეული გატაცებითა და მომხიბლავი სინთეზური ნიჭით. ბევრი თქვა მეტად საინტერესოდ, შეუღარებლივ ცოტა — დამაჯერებლად. ეს ნათქვამი სამეცნიერო აზრს აღძრავს, კატალიზატორის როლში გამოდის, თუ მკითხველს ეს შესასწავლი სამყარო გულთან ახლოს მიაქვს. მაგრამ გარეშე პირს ჩვეულებრივ სკეპტიკურ განწყობილებას უქმნის არა მხოლოდ ნ. მარის ნათქვამის მიმართ, არამედ თვით საკითხის მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ. და მაინც: იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შესახებ.

ნ. მარს, როგორც მკვლევარს, ახასიათებდა გატაცებით მუშაობა, კოლოსალური ენერჯია და სინთეზის ძლიერი ნიჭი. მისი სტიქია იყო განზოგადება, მთლიანი სურათის მოხაზვა, კონკრეტული ფაქტების ჩვენებათა ბოლომდე განალიზება უმძიმდა. „ფაქტების მოწოდის გამო“ (როგორც თვითონ მარი იტყობდა) ერთი განზოგადება ცვლიდა მეორეს (არნ. ჩიქობავა).

ოსებ ყიფშიძე

ოსებ ალექსის ძე ყიფშიძე დაიბადა 1883 წელს მხვა ცნობებით: 1882 ან 1885 წელს) ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში. ჯერ უსწავლია სოფლის სკოლაში, შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ როგორც პირველი მოწაფე — სწავლის ფრიადოსანი — გაუგზავნიათ სასულიერო სემინარიაში იქაც წარჩინებით უსწავლია.

ი. ყიფშიძე ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნე-

ბისმეტყველო ფაკულტეტზე. პარალელურად ესწრებოდა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ლექციებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. პოლიტიკური მუშაობისათვის ის გადაეცეს პეტერბურგიდან 1907 წელს, მაგრამ ნ. მარის დახმარებით იმავე წელს დაბრუნდა უკან და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე გადავიდა. იგი პირველი კურსიდანვე გულმოდგინედ სწავლობდა ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, მეგრულსა და სვანურს, სომხურ ენასა და ლიტერატურას. გერმანულ ენას, ლურსმულ დამწერლობიან ენებს... ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ სტუდენტი ყიფშიძე ორჯერ მიავლინა სამეგრელოში მეგრული ენის შესასწავლად, ხოლო 1910 წლის აგვისტოში უნივერსიტეტმა გაგზავნა საქართველოს ლაზეთში ჭახური ენის შესასწავლად და მასალების შესაკრებად, რის შედეგადაც მომდევნო წელს დაიბეჭდა ბრწყინვალე ლინგვისტური ნაშრომი „დამატებითი ცნობები ჭახური ენის შესახებ“ და ეთნოგრაფიული ნაშრომი „ჭანები და ჭანეთი“.

სწავლის პერიოდში ი. ყიფშიძე აქტიურად მონაწილეობდა 1907 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, იყო გამგეობის პირველი თავმჯდომარე 1911 წლამდე (შემდეგ იგი შეცვალეს აკაკი შანიძემ და გ. ჩიტაიამ).

1911 წელს ი. ყიფშიძემ პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა სწავლა და უნივერსიტეტში დატოვეს ასპირანტად. აქ ნ. მარი ხელმძღვანელობდა მის მუშაობას.

ი. ყიფშიძე მიიწვიეს პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებასთან არსებულ კავკასიური ენების პრაქტიკული შესწავლის კურსებზე მასწავლებლად. ამ დროს (1911 წ.) მან გამოცა ლითოგრაფიული წესით „ქართული ენის გრამატიკა“. რომელიც არის სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულების აღწერილი გრამატიკა.

1914 წელს ი. ყიფშიძე აირჩიეს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-თანამშრომლად. ამავე წელს დაიბეჭდა მისი სოლიდური ნაშრომი — მონოგრაფია მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“ ტექსტებითა და ლექსიკონით, რომლის დაცვით მომზავა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი.

დისერტაციის ოფიციალური თპონენტები იყვნენ ნ. შარი და ივ. ჯავახიშვილი. ნ. შარმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა ნაშრომს და საჯაროდ განაცხადა: „ავტორს რომ სარეცენზიო ნაშრომში წარმოედგინა სადოქტორო დისერტაცია, მე სრულიად დამშვიდებული სინდისით მივანიჭებდი მას დოქტორის სამეცნიერო ხარისხს“.

„მეგრული ენის გრამატიკა“ შედგება ოთხი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ეძღვნება ფონეტიკას, მეორე განიხილავს მორფოლოგიას, მესამე — სიტყვაწარმოებას, ხოლო მეოთხეში მოცემულია მთავარი სინტაქსური თავისებურებანი.

1915 წელს ი. ყიფშიძე, როგორც პრევატდოცენტი, კითხულობს ლექციებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ძველ ქართულსა და მეგრულში.

ი. ყიფშიძე 1914 წელს აირჩიეს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ნამდვილ წევრად, 1917 წელს იმდროინდელი ლაზეთში და ჩაიწერა ტექსტები.

1918 წელს დაიბეჭდა ყიფშიძის წიგნი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“. როცა 1917 წლის მარტში ივ. ჯავახიშვილმა პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად შეიმუშავა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების პრაქტიკული გეგმა, ი. ყიფშიძე იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში, ერთგულად ამოუდგა გვერდით მასწავლებელს ამ დიდ ეროვნულ საქმეში და გახდა უნივერსიტეტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

ი. ყიფშიძე, როგორც უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი ივ. ჯავახიშვილის მოადგილე, მისი მარჯვენა ხელი ეწეოდა დიდ საორგანიზაციო მუშაობას: იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სწავლული მდივანი და ქართული ენის პირველი პროფესორი, ქართული ენის კათედრის გამგე 1918—1919 წლებში.

ი. ყიფშიძე მოულოდნელად (წინწყლებიანი სახადით) გარდაიცვალა 1919 წელს, 37 წლის ასაკში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ი. ყიფშიძე სამეცნიერო ასპარეზზე ათიოდე წელი იღვწოდა, მაგრამ მდიდარი ფილოლოგიურ მემკვიდრეობა შექმნა. მის ლინგვისტურ ნაშრომებს დღესაც დიდი მნიშვნელობა და ღირებულება

აქვს. მეცნიერი გატაცებით იკვლევდა ქართველურ ენებს, განსაკუთრებით მეგრულ-განურს.

ახალგაზრდა სწავლულმა აქტიური, თავდაუზოგავი საზოგადოებრივი მუშაობის გარდა დატოვა რაოდენობრივად მცირე, მაგრამ ხარისხობრივად მეტად ღირებული მეცნიერული ნაღვაწი, რაც ი. ყიფშიძეს წარმოაჩენს დიდი პოტენციის სამაგალითო პიროვნებად, რომელმაც მომავალ თაობებში უნდა აღძვრს არა მარტო მისაღები მოწონებითი თავყვანება, არამედ საქვეყნო საქმის უანგარო კეთების ძლიერი უნარი (ა. დანელია).

ივანე ჯავახიშვილი

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივ. ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წელს. 1895 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1899 წელს კი — პეტერბურგის უნივერსიტეტის ძღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილება და იმავე წელს დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ივ. ჯავახიშვილი 1903 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრაზე.

მრავალმხრივია ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის სფერო. 1907 წელს მან დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია თემაზე: „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“; 1907 წელს ჩამოაყალიბა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე, ამავე წლიდან იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი.

ივ. ჯავახიშვილი თაოსანი და სულისჩამდგმელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა, 1918-1919 წლებში იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, 1919-1926 წლებში — უნივერსიტეტის რექტორი, 1921-1930 წლებში — საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე. მუშაობდა აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელად.

ივ. ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს (საქარო ლექციის კითხვის დროს ცუდად გახდა და დაიღუპა). მან ი. ყ. ჯავახიშვილი

ღრმა კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტორიული მეცნიერების არც ერთი დარგი, რომ ივ. ჯავახიშვილს ფუძემდებლური ნაშრომი არ დაეწეროს.

მეცნიერმა დიდი ღვაწლი დასდო ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლას. მან 1902 წელს ნ. მართან ერთად იმპერატორის სინის მთაზე და მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოაგვიანა.

როგორც აღინიშნა, განუზომელია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული კვლევის სფერო. ამჯერად ჩვენ მხოლოდ გამოგვიფთ მის წმინდა ენათმეცნიერულ ნაშრომებს.

ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და გენეზისის საკითხებს. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების ნათესაობა მთის კავკასიურ ენებთან როგორც სტრუქტურული, ისე მასალობრივი იგივეობა მიხედვით, შეუმზადა ნიადაგი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას.

ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული იმ უძველესი პალიმფსესტური ხელნაწერებისა და მათ შორის V—VII საუკუნეებში ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა შექმნა მეტად საყურადღებო ნაშრომი „დამწერლობათმცოდნეობა ანუ ქართული პალეოგრაფია“. მას ძველი ქართული ასოების მონაზუნლობათა მიხედვით ივარაუდა ქართული ანბანის უძველესი წარმომავლობა: ძველი ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილი უნდა იყოს ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში ფინიკური ანბანის საფუძველზე (იმის შესახებ დაწერილებით იხ. IV თავში).

მეტად საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის ეტიმოლოგიური მივლინები. მან გამოიკვლია ქართული მეცნიერული და სამეურნეო ეკონომიურ-კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია. მისივე ხელმძღვანელობით (ინსტრუქციით) შეკრებილ იქნა ქართული შინამრეწველობის მდიდარი ლექსიკონი მასალა.

3. ქართველოლოგიური კვლევა მოსკოვის უნივერსიტეტში

თავდაპირველად რუსეთში ქართული ენის შესწავლისადგმ ზრუნვა პრაქტიკული აუცილებლობით იყო ნაკარხხევი.

1737 წელს სინოდმა რუსეთის მინისტრთა კაბინეტს საეკლესიო წიგნების ქართულად თარგმნის უფლება სთხოვა, რის შედეგადაც ნებართვასთან ერთად სინოდს „უმეტყვისი რეკომენდაცია“ გაეწია, ჰყოლოდა ისეთი ადამიანები, რომლებიც ქართულად არსებული წიგნების შემოწმების მიზნით ქართულ ენას შესწავლიდნენ.

პრაქტიკულმა მოთხოვნებმა უკარხახა რუსეთის მთავრობას აგრეთვე ისიც, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, 1803 წელს, თბილისში გაიხსნა ქართული და რუსული ენების ორკლასიანი სასწავლებელი ოცდახუთი მოსწავლით, შემდგომ ქართული სწავლება შემოიღეს მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში, ამიერკავკასიის სასწავლო დაწესებულებებსა და პეტერბურგში.

ამჯერად საგანგებოდ მოკლედ შევეხებით მოსკოვის ქართველოლოგიური ცენტრის მუშაობას.

მოსკოვის უნივერსიტეტში მთის კავკასიურ ენებზე დაკვირვება წარმოებდა XIX საუკუნის ოცდანი წლებიდან რუსი სპეციალისტების მიერ, შემდეგ ნელ-ნელა იყრება საფუძველი ქართველური ენებისა და ქართული მწერლობის შესწავლას. ნ. მარის მოღვაწეობამ მოსკოვის უნივერსიტეტში კიდევ უფრო მრავალშრივი გახადა ქართველოლოგიური კვლევა.

გამსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ოქრომჭედლიშვილისა და ალ. ხახანაშვილის ღვაწლი.

ილია ოქრომჭედლიშვილი

ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, ქველმოქმედი. იგი დაიბადა 1838 წელს სიღნაღში.

ი. ოქრომჭედლიშვილმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილება. აქვე წარადგინა სადისერტაციო ნაშრომი „თეოლოგიის ლექსიკონი საქართველოში“ (ნაშრომი დაკარგულად ითვლება) და მიენიჭა კანდიდატის ხარისხი.

1863 წელს ი. ოქრომჭედლიშვილი დაინიშნა ქართული ენის უფროს მასწავლებლად მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური განყოფილებაში.

ბის ინსტიტუტში. 1866 წელს იგი გადადის მოსკოვის უნივერსიტეტში კავკასიელ სტუდენტთათვის ქართული ენის მასწავლებლად. როცა აქ დაარსდა ქართული ენის კათედრა, ი. ოქრომჭედლიშვილი უკვე ასრულებდა დოცენტის მოვალეობას. იგი გულმოდგინედ მუშაობდა სტუდენტებთან, ცდილობდა შეეცვარებინა უცხოელებისათვის ქართული ენა და ლიტერატურა. 1889 წელს გავიდა პენსიაზე. გარდაიცვალა 1898 წელს იბილისში.

ი. ოქრომჭედლიშვილი ხშირად აქვეყნებდა წერილებს „ივერიაში“, „საქართველოს მოამბეში“ ქართველთა და სომეხთა ისტორიულ ურთიერთობაზე, ქართული ენისა და დამწერლობის პრობლემებზე, ქართული ენის სწავლების პრაქტიკულ საკითხებზე. განსაკუთრებით ფასეულია ი. ოქრომჭედლიშვილის შრომები: „გინ მოიგონა ქართული ანბანი“, „შენიშვნები ქართული მატრიანის შესახებ“ და სხვ.

ი. ოქრომჭედლიშვილის მეცნიერულმა გამოკვლევებმა და საზოგადოებრივმა საქმიანობამ უდავოდ დიდი როლი შეასრულა რუსეთსა და საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

ცნობილია ქართველმა მეცნიერმა **ალ. ხახანაშვილმა** მალალი შეფასება მისცა უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის ნალვაწს: „ქართული ენისა და ისტორიის სამაგალითო მცოდნე ი. ოქრომჭედლიშვილმა დატოვა მრავალი ძვირფასი ნაწარმოები, რომლებიც დღემდის ითვლებიან სამაგალითო გამოკვლევებად. მან პირველმა დაამტკიცა, რომ ქართული ანბანი შემოღებულია დიდი ხნის წინათ, ჩვენს ერამდე... დაარღვია ის ცრუ აზრი, ვითომც ქართული მატრიანე უცხო ტომის კაცებისაგან იყო შედგენილი“.

ი. ოქრომჭედლიშვილი ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია არა მარტო მეცნიერული ნალვაწით, არამედ საზოგადო საქმიანობით ერთგულდებითა და ქველმოქმედებით: 1884 წელს მისი ხელშეწყობით გამოიცა „ვისრამიანი“; მან დიდძალი თანხა გაიღო წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისათვის, ქართული თეატრისათვის, ქართული ხელნაწერების გამომცემისათვის, უცხოეთსა და რუსეთში მოსწავლე ღარიბი ქართველი სტუდენტებისათვის.

ალექსანდრე ხახანაშვილი

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი იყო ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი, ისტორიკოსი. იგი დაიბადა 1864 წელს გორში, 1883 წელს ოქროს მედლით დაამთავრა იბილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაასრულა 1887 წელს კანდიდატის ხარისხით. იქვე დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად. მიიღო ვერცხლის მედალი საკონკურსოდ დაწერილი თხზულებისათვის, ხოლო „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ რუსულ ენაზე გამოცემის შემდეგ ჯილდოდ გადაეცა ოქროს მედალი.

1888 წელს ალ. ხახანაშვილი ი. ოქრომჭედლიშვილის რეკომენდაციით მიიწვიეს მოსკოვის აღმოსავლურ ენათა (ლახარევის) ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ლექციების წასაკითხავად. ამერიიდან მოკიდებულა იგი განაგებდა ამ კათედრას.

ალ. ხახანაშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩათვალოს 1900 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დაარსება, სადაც იგი მიწვეული იყო პრივატდოცენტად და 12 წლამანძილზე უსასყიდლოდ კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ალ. ხახანაშვილს, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე მეცნიერს, განათლებულსა და უცხო ენების მცოდნეს, ირჩევდნ მრავალი მეცნიერული საზოგადოების წევრად. ყოველივე ამის გამო მას ხშირად უხდებოდა ყოფნა საზღვარგარეთ: საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ინგლისში, შვეიცარიაში, საბერძნეთში. მოგზაურობისას მისი მიზანი ყოველთვის იყო ის, რომ ეძია და მიეგნო საქართველოს ისტორიის ნაკვალევისათვის, ძველი ხელნაწერებისათვის.

ალ. ხახანაშვილი იყო ის პირველი მეცნიერი, რომელმაც მოახერხა საზღვარგარეთ დაცული ხელნაწერების, გუჯრებისა და წიგნების აღწერა.

1911 წელს ალ. ხახანაშვილის ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით მოსკოვში ჩამოაყალიბდა ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება.

ალ. ხახანაშვილი გარდაიცვალა 1911 წელს მოსკოვში.

კუმისის ცნობილ აფარაკზე ქ. სამარის მახლობლად სარეცელს მიეჭყვლი ალ. ხახანაშვილი ექიმებს ვეუდრებოდა: წამიყვანე უსამშობლოში, ერთელ კიდევ ჩამასუნთქეთ მისი ჰაერიო. მაგრამ მაშინ ახდენა არ ეწერა მის ნატვრას. ალ. ხახანაშვილი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, ი. გოგვაშვილის გვერდით.

ალ. ხახანაშვილს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. მან შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატური კურსი (უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით), ფუნდამენტური ოთხტომიანი ნაშრომი „ქართული სიტყვიერების ისტორიის ხარკევეები“, რამაც ქართული მწერლობის მონაპოვარი მსოფლიო სარბიელზე გაიტანა.

ალ. ხახანაშვილმა ნ. მართან ერთად პირველმა მიუთითა, რომ „სიბრძნე ბალავარისის“ ბერძნული თარგმანი გადაღებული უნდა იყოს ქართული თარგმნიდან (თუმცა ამ აზრს ევროპელი მკვლევრები მაინც არ იზიარებდნენ და ქართველ ემიგრანტ მეცნიერს მ. თარხნიშვილს მოუხდა მტკიცება ზემოაღნიშნული ფაქტისა).

საკვანებოდ უნდა გამოიყოს ალ. ხახანაშვილის ვრცელი ნარკვევი ანტონ I-ის მოღვაწეობის შესახებ. იგი პირუთენელად აფასებს კათალიკოსის დამსახურებას ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში.

ალ. ხახანაშვილი მრავალმხრივი პროფილის მოღვაწე იყო. იგი მონაწილეობდა ბროკჰაუზისა და ეფრონის ცნობილი ლექსიკონის შედგენაში. ქართველოლოგიაში და, საერთოდ, კავკასიის მეცოდნეობის დარგში იგი მუდმივი თანამშრომელი იყო. ლექსიკონის ტომებში შევიდა მისი მრავალი სტატია, მათ შორის „ი. ჰავკავაძე“.

ალ. ხახანაშვილის ღვაწლს დიდ შეფასებას აძლევდნენ ილია და აკაკი. აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხახანაშვილი მიუხედავად რუსეთში ყოფნისა, შორიდან უნათებდა საქართველოს“.

ხახანაშვილი იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო და როგორ ერთგულად უნდა ემსახურო მას.

გ. წერეთელი 1897 წელს წერდა: „გაბედვით შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთ ქართველ მეცნიერს და მოღვაწეს იმდენი დამსახურება არ მიუძღვის ერის წინაშე, როგორც ალ. ხახანაშვილს“. მის

წაბრებულობაზე, სიჭველესა და პატრიოტიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მან მთელი თავისი ქონება — სახლი, მდიდარი მონაწილეობა და დანახოვი თანხა ქართველ ერს უხადებდა სხვადასხვა საქველმოქმედო საქმისათვის.

მართალია, ალ. ხახანაშვილს ენათმეცნიერულ საკითხებზე სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომები არ დაუწერია, მაგრამ ის ცალკეულ წერილებში თუ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებთან დაკავშირებით საინტერესო ენობრივ დაკვირვებებს გვთავაზობს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისი ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. მეცნიერს საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ ქართული ანბანი უკვე არსებობდა ფარნავაზის ეპოქაში. ამხვე დროს იგი იზიარებს იმ მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით ქართული ანბანი უკავშირდება არამეულ დამწერლობას. მეცნიერულად მეტად ფასეულია ალ. ხახანაშვილის დაკვირვებანი ძველი ქართული ენის ზოგიერთ ართულ გრამატიკულ საკითხზეც.

4. ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნა თბილისის უნივერსიტეტში (ზოგადი მიმოხილვა)

ქართულ გრამატიკულ აზროვნებას ჩვენში უძველესი ტრადიციები გააჩნია. მართალია, XI საუკუნეზე აღრინდელ ლინგვისტურ ნაშრომებს არ მიუღწევია, მაგრამ აშკარაა, რომ ამგვარი მუშაობა, ემყარებოდა მდიდარ ტრადიციებს, რომლის საუკეთესო შედეგია სულხან-საბას „სიტყვის კონა“.

უდავოა, რომ ქართული ენათმეცნიერების სათავე ანტონ I-ის სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მას შემდეგ, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიზარდა ნომესტრ-ქართული ფილოლოგიის კათედრა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი, შემდგომში — ნ. მარი.

XIX საუკუნის დამდეგს პეტერბურგის უნივერსიტეტში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა ქართველოლოგიური კვლევის პერსპექტივა.

ტივები, თუმცა ამ დროისათვის საქართველოში მეცნიერული კვლევის ცენტრი არ არსებობდა.

და აი, 1918 წელს თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი, რომელიც გახდა ჩვენში ერთ-ერთი მეცნიერების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების მესაძირკვე. ამიერიდან ჩაეყარა საფუძველი ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებას ქართულ ენაზე, შეიქმნა მძლავრი ენათმეცნიერული სკოლა,

უნივერსიტეტში თავდაპირველად არსებობდა სამი განყოფილება (სამი ფაკულტეტი). აქედან ერთ-ერთი იყო სიბრძნისმეტყველებისა — ჰუმანურ მეცნიერებათა (ისტორიისა და ფილოლოგიისა). დამოუკიდებელ დისციპლინად ითვლებოდა ენათმეცნიერება, რომლისთვისაც იმთავითვე ფუნქციონირებდა ორი კათედრა: ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერებისა.

ქართული ენის კათედრის პირველ გამგედ დაინიშნა პროფ. ი. ყიფშიძე, ზოგადი ენათმეცნიერებისას ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ახვლედიანი.

1919 წლიდან (ი. ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ) ქართული ენის კათედრას განაგებდა ა. შანიძე.

ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ენათმეცნიერული სკოლის პირველი წარმომადგენლები — ი. ყიფშიძე, ა. შანიძე და გ. ახვლედიანი იყვნენ არა მარტო თვალსაჩინო სწავლულ-მეცნიერება, არამედ ერთგული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა სახელოვანი დასის აქტიური წევრებიც. ისინი უნივერსიტეტის დაარსების ძნელ გზაზე ყველგან და ყოველთვის ედგნენ გვერდით ივ. ჯავახიშვილის.

ახლადგახსნილ უნივერსიტეტში საენათმეცნიერო საქმიანობას (ქართველოლოგიურ მუშაობას) ფაქტობრივად ეს სამი დიდლინგვისტი ხელმძღვანელობდა.

ი. ყიფშიძე კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში, ა. შანიძე — არაბულ და სომხურ ენებში, ხოლო ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ — ქართულ ენაში, ქართულ დიალექტოლოგიასა და სვანურშიც.

გ. ახვლედიანი განაგებდა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას, შესაბამისად უძღვებოდა მრავალ საენათმეცნიერო დისციპლინას: ენათმეცნიერების შესავალს, ზოგად ენათმეცნიერებას, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიას, ზოგად ფონეტიკას, ექსპერიმენტულ

ფონეტიკას, ხანსკრიტს, ბერძნულ ენას, რუსული ენის ისტორიასა და დიალექტოლოგიას.

ქართველოლოგიური სკოლა იმთავითვე გამორჩეული იყო არა მარტო ინტენსიური მეცნიერული კვლევა-ძიებით, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობითაც. მაგალითად, უნივერსიტეტის სწავლულ მდივნად არჩეულ იქნა პროფ. ი. ყიფშიძე; სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივნად 1918—1919 წლებში მუშაობდა ა. შანიძე. იგი იყო ამავე დროს პროფესორთა საბჭოს მდივანი.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად დანიშნეს გ. ახვლედიანი, 1922 წლიდან ეს თანამდებობა ეკავა ა. შანიძეს.

ქართული ლინგვისტური სკოლის ისტორიაში საამაყოა ის ფაქტიც, რომ თბილისის უნივერსიტეტში პირველი დისერტაცია დაიცვა ა. შანიძემ 1920 წელს. მანვე მოაწყო პირველი სამეცნიერო მივლინება სვანეთში და აგრეთვე პირველი სამეცნიერო ექსპედიცია სომხეთში 1924 წელს.

ქართველი ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას იმთავითვე წარმოადგენდა ლინგვისტური სკოლის გაძლიერება საკუთარი კადრებით, ამიტომ იყო, რომ ისინი ნიჭიერსა და ბეჯითობით გამორჩეულ ახალგაზრდებს აბამდნენ სამეცნიერო საქმიანობაში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევდნენ საენათმეცნიერო ფაკულტეტის სტუდენტები არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია. ცხადი გახდა, რომ მათი სახით ქართულ საენათმეცნიერო სკოლას საუკეთესო ძალები შეემატებოდა. მართლაც, 1922 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ისინი დატოვეს ქართული ენის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ახლადშექმნილი ენათმეცნიერული სკოლა იზრდებოდა თვისობრივადაც, კიდევ უფრო მრავალმხრივი ხდებოდა მისი მეცნიერული კვლევის მასშტაბები. ამ თვალსაზრისით მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1923 წელს უნივერსიტეტის საენათმეცნიერო კათედრების ზაზაზე „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ შექმნა გ. ახვლედიანის თაოსნობით.

საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართული და ქართველური ენების, აგრეთვე, მთის კავკასიური ენების შესწავლას, იწვევდა სამეცნიერო-საჯარო სხდომებს, აწყობდა საზოგადოებრივ მივლინებებს, ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ზრუ-

წაედა საენათმეცნიერო წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნაზე, სწავლობდა მატერიალური კულტურის ძეგლებს და სხვა. ამ საზოგადოების მუშაობაში ენათმეცნიერების გარდა მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, დ. უზნაძე, კ. ქვეციანი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვები.

ახლადგახსნილ უნივერსიტეტში შექმნილმა ენათმეცნიერულმა სკოლამ მყარი საფუძველი მოამზადა. მის წიაღში აღიზარდნენ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები: არნ. ჩიქობავა, ე. თოფურია, გ. წერეთელი, თ. გამყრელიძე და მრავალი სხვა, რომელთაც წილად ზედათ ქართული საენათმეცნიერო აზროვნების შემდგომი განვითარება.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თბილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგების შექმნა სამი პირის — პროფესორების ი. ყიფშიძის, ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს“.

დღეს ქართველოლოგიის განვითარებას ემსახურება ბევრი სამეცნიერო ცენტრი: ენათმეცნიერების ინსტიტუტი (მეცნიერებათა აკადემიაში), თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები და სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

თანამედროვე ქართველოლოგიურ საქმიანობას კიდევ უფრო მასშტაბურსა და მრავალფეროვანს ხდის საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან მეცნიერული კავშირურობის თანხმობა. ათეულობით უცხოელი სწავლობს და იკვლევს ჩვენს ენას, ლიტერატურასა და ისტორიას.

ლიტერატურა

შ. ზადრიძე — ქართველმცოდნეობის გამოჩენილი მოჭირახულე — აღ. ხახანაშვილი, თბ., 1968.

შ. გოზალიშვილი — ი. ოქრომჭედლიშვილი, თბ., 1976.

კ. დანელია — იოსებ ყიფშიძე, ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბ., 1985.

კ. დანელია, ზ. სარჯველაძე — აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1987.

გ. იმნაიშვილი — ქართული ენის საკითხები — ალექსანდრე ხახანაშვილის შრომებში: ქართველურ ენათა სტრუქტურა, ტ. V, 1981.

კ. კანჭურაშვილი — დ. ჩუბინაშვილი, თბ., 1970.

კ. კანჭურაშვილი — აღ. ცაგარელი, თბ., 1974.

ა. მარტიროსოვი — ქართველური ენების შესწავლა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, 1974.

ი. მეგრელიძე — რუსთველოლოგები, თბ., 1970.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,

ა. შანიძე — პროფ. ა. ცაგარელი: ტფილისის უნივ. მოამბე, ტ. X, 1930.

ზ. შარაძე — თ. ბაგრატიონი, I, თბ., 1972.

ზ. შარაძე — ევგენი ბოლხოვიტინოვი, პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978.

არნ. ჩიქობავა — იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

А. Цагарели — Сведения о памятниках грузинской письменности. СПб. т. I, вып. I (1888), т. I, вып. II (1889), т. I, вып. III (1894).

ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1989.

შ. ძიძიგური — ნ. მარი — ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., 1963.

ხ. ჯორბენაძე — ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1981.

შინაარსი

წინასიტყვაობა
ქება და დიდება ქართულსა ენისაჲ

† თ ა ზ ი I. ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა

† 1. ქართველთა წარმოშობის საკითხი არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით 7

† 2. ქართველთა უძველესი ყოფა და რელიგიური წარმოდგენები. ქართველ ტომთა წარმართული პანთეონი 11

† 3. ქრისტიანობის რღლი და ქართული ფილოლოგიის ბიბლიოლოგიური პრობლემები 17

ლიტერატურა 21

† თ ა ზ ი II. ქართველური ენები

† 1. ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობა და მათი ზოგადი დახასიათება 22

† - ქართული ენა 25

† - სვანური ენა 27

† - ზნურული ენა 30

† 2. ქართველურ ენათა გენეზისის თეორიები 31

† 3. წინარე ქართველური ენის რეკონსტრუქციის პრობლემა 33

ლიტერატურა 36

† თ ა ზ ი III. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები

† 1. ეპიგრაფიკული წარწერები 37

† 2. ხელნაწერები 37

† 3. უძველესი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებანი 40

ლიტერატურა 44

† თ ა ზ ი IV. ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა

† 1. მსოფლიოს ანბანურა სისტემები. ფინიციური ანბანი და მისი განსტობანი 47

† 2. ისტორიული ცნობები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ 48

† 3. ქართული დამწერლობის წარმოშობის თეორიები 49

† 4. ქართული დამწერლობის წარმოშობის ქრონოლოგია 57

† 5. ქართული ანბანის აგების პრინციპები 63

† 6. ქართული ანბანის შექმნის პროცესი (რ. პატარიძის მიხედვით) 65

† 7. ქართული გრაფიკის აგების პრინციპები. მათი ისტორიულად ცვლის შედეგები (ქართული დამწერლობის განვითარების საფუძვლები) 68

ლიტერატურა 73

† თ ა ზ ი V. მწველი-განათლებლისა და კულტურის კერები ძველ საქართველოსა და საზღვარგარეთ

† 1. კულტურის ცენტრები საქართველოში 74

† 2. ქართული კულტურის ცენტრები საზღვარგარეთ 77

ლიტერატურა 80

† თ ა ზ ი VI. ქართული გრამატიკული აზრის ჩასახვა და განვითარება საქართველოში

† 1. ენათმეცნიერული აზროვნების მოკლე ისტორია 81

† 2. ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი) 84

† 3. „სიტყუთა აზრონათათის“ (ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი) 89

† 4. უცხოელთა მიერ შედგენილი პირველი ნაბეჭდი და ხელნაწერა ქართული ენათმეცნიერული ნაშრომები 92

† 5. ხელნაწ-სახა ორბელიანის „სიტყვის კონა“ 95

ლიტერატურა 96

† თ ა ზ ი VII. ძველი ქართველი გრამატიკოსები

† ზურაბ შანშოგანი 97

† ნიკონ I (კათალიკოსი) 98

† ვაიოზ რეკტორი 112

† იოანე ქართველიშვილი 113

† დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი) 114

† იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) 115

† პლატონ იოსელიანი 117

† დიმიტრი ყიფიანი 118

† ლიტერატურა 120

† თ ა ზ ი VIII. ქართველოლოგიური მუშაობა რუსეთსა და საქართველოში

† 1. ქართველოლოგიური მუშაობა პეტერბურგში

† ქართველოლოგიის სათავეებთან. ე. ბოლხოვიტინოვი 121

† მარი ბროსე 124

† თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი) 128

† დავით ჩუბინაშვილი 129

† 2. ქართველოლოგიური კვლევის ახალი ეტაპი პეტერბურგის უნივერსიტეტში

† ალექსანდრე ცაგარელი 132

† ნიკო მარი 133

† იოსებ ყიფშიძე 135

† იოანი ჯავახიშვილი 142

† იოანი ჯავახიშვილი 145

† 3. ქართველოლოგიური კვლევა მოსკოვის უნივერსიტეტში

† თლია თქომეშვილი 146

† ალექსანდრე ხახანაშვილი 147

† 4. ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ზოგადი მიმოხილვა) 151

† ლიტერატურა 154

